



ჯონ ოსბორნი

განრისხებულმა მოიხედე



2.02.2009 06

ჯონ ოსბორნის ნაწარმოებები

The Devil Inside Him with Stella Linden	1950	ეშმაკი კაცში სტელა ლინდენთან ერთად
Personal Enemy with Anthony Creighton	1955	პირადი მტერი ენტონი კრაიტონთან ერთად
Look Back in Anger Evening Standard Drama award	1956	განრისხებულმა მოიხვედ Evening Standard Drama-ის ჯილდო
The Entertainer	1957	კონფერანსიე
Epitaph for Georgian Dillon with Anthony Creighton	1958	ეპიტაფა ჯორჯ დილონისთვის, ენტონი კრაიტონთან ერთად
The World of Paul Slickey	1959	პოლ სლიკის სამყარო
Luther	1961	ლუთერი ტონის ჯილდო
Plays for England	1962	პიესები ინგლისისათვის
Tom Jones, a film script	1963	ტომ ჯოუნზი, კინოსცენარი მაილო ოსკარი
Inadmissible Evidence	1964	მიუღებელი მტკიცებულება
A Portrait for Me Evening Standard Best Play award	1965	პორტრეტი ჩემთვის ჯილდო "წლის საუკეთესო პიესა"
The Hotel in Amsterdam Evening Standard Best Play award	1968	სასტუმრო ამსტერდამში ჯილდო "წლის საუკეთესო პიესა"
Time Present	1968	ახლანდელი დრო
The Right Prospectus, a play for television	1970	სწორი პერსპექტივა, სატელევიზიო სპექტაკლი
Lifetime Achievement Award		ბრიტანეთის მწერალთა გილდიის ჯილდო "შემოქმედებითი მიღწევებისათვის"

Look Back in Anger

A Play in Three Acts
by

John Osborne

For My Father

Faber and Faber, London, 1971

...

Translated from English into Georgian
by Inga Matsaberidze-Papava

© P.H. Konstantine
ISBN 99940-67-74-5

Tbilisi
2006

ჯონ ოსბორნი

განრისხებულმა მოიხედე

პიესა სამ მოქმედებად

ავტორი უძღვნის მამას

გამომცემლობა "ფაბერ ენდ ფაბერ" ლონდონი, 1971

...

ინგლისურიდან თარგმნა
ინგა მაცაბერიძე-პაპავამ

© "კონსტანტინე"
ISBN 99940-67-74-5

თბილისი
2006

თარგმანს ვუძღვნი
ელენე შენგელაიას
ხსოვნას

გული - სიყვარულით სავსე,
ნიჭიერება - უსაზღვრო,
პიროვნება - სრულყოფილი,
ასეთი ახალგაზრდა დაკარგა
საზოგადოებამ.

მოქმედი პირები:

ჯიმი პორტერი
ქლიფ ლუისი
ელისონ პორტერი
ჰელენა ჩარლზი
პოლკოვნიკი რედფერნი

მოქმედება ვითარდება პორტერების ერთოთახიან ბინაში, მიდლენდზში.

I მოქმედება - საღამო. აპრილი

II მოქმედება - სცენა 1. ორი კვირის შემდეგ
სცენა 2. მომდევნო საღამოს

III მოქმედება - სცენა 1. რამდენიმე თვის შემდეგ
სცენა 2. რამდენიმე წუთის შემდეგ

ჯონ ოსბორნის პიესა "განრისხებულმა მოიხვე" დიდ ბრიტანეთში პირველად დაიდგა Royal Court Theater -ში 1956 წლის 8 მაისს. პიესა დადგა English Stage Company დასმა, დადგმის რეჟისორი - ტონი რიჩარდსონი, მხატვარი - ალან ტევი.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ:

ჯიმი პორტერი -	კენეთ ჰეი
ქლიფ ლუისი -	ელან ბეიტსი
ელისონ პორტერი -	მეარი იუე
ჰელენა ჩარლზი -	ჰელენა ჰიუზი
პოლკოვნიკი რედფერნი -	ჯონ უელში

I მოქმედება

პორტერების ერთოთახიანი ბინა მიდლენდზის პატარა ქალაქში. მოსაღამოვდა. აპრილი.
სცენაზე საკმაოდ მოზრდილი ოთახი სხვენში, დიდი, ვიქტორიანული სახლის თავზე. სახურავი დაქანებულია მარცხნიდან მარჯვნივ. მარჯვნივ ორი დაბალი, პატარა ფანჯარაა, ფანჯრებთან მუქი ფერის მუხის ტრელაჟია. უბრალო ავეჯი დგას, მოძველებული. ზედა ნაწილში მარჯვნივ ორადგილიანი საწოლი დგას უკანა კედლის გაყოფებით, დარჩენილ ადგილზე წიგნების თარობია განლაგებული. მარჯვნივ, საწოლის დაყოფებით მძიმე კომოდი ჩანს. ზედ დახვავებულია წიგნები, ჰალსტუხები, სხვა ხარახურა, მათ შორის, დაგლეჯილი დიდი სათამაშო დათუნა და რბილი მატყლის ციყვი. ზედა ნაწილში მარცხნივ კარია, დაყოფებით- პატარა გარდერობი. მარცხენა კედლის უმეტესი ნაწილი უკავია მაღალ ოვალურ ფანჯარას. ის გადის შემოსასვლელში, სინათლე შემოდის ფანჯრიდან. გარდერობის აქეთ გაზის ქურაა და მის გვერდით საჭმლის კარადა, რომელზეც მცირე ზომის პორტატული რადიო დგას. უფრო ქვემოთ, ცენტრში, მკვიდრად ნაგები მაგიდაა სამი სკამით, ზოლო სცენის წინა მხარეს, მარცხნივ და მარჯვნივ ორი ღრმა, გაქუცული ტყავის სავარძელია.
ფარდის ახლისას ჯიმი და ქლიფი სავარძლებში სხედან, ჯიმი- მარჯვნივ, ქლიფი- მარცხნივ. ჩვენ მხოლოდ ორ წყვილ ფეხს ვხედავთ, გაზეთების ქვეშ გამოლტილან, გაზეთები ფარავთ. ორივე კითხულობს. მათ შორის დახვავებულია გაზეთები და ყოველკვირეული გამოცემები. როდესაც გამოჩნდებიან, ვხედავთ, რომ ჯიმი არის მაღალი, გამხდარი ახალგაზრდა, ასე, ოცდახუთი წლის, აცვია საკმაოდ გახეხილი ტვიდის კოსტუმი და ფლანელის შარვალი. ჩიბუხს ეწევა და კვამლის ღრუბელი დგას ოთახში. ეს კაცი ერთგვარი ნარევია გულწრფელობის და თავნჯღობის, სინაზისა და გაბოროტების, მოუსვენარი, აფორიაქებული, სიამაყით სავსე. მასში შერწყმულია

მგრძობიარობა და გულგრილობა. სახეზე აწერია, შეუვალა მისი პატიოსნება, ეს კი ბევრს არ უბიძგებს მასთან სამეგობროდ. ბევრისთვის ის ვულგარულობაზე მგრძობიარება, სხვები იტყვიან, უბრალოდ ლაყბობა უყვარსო. როცა ადამიანი ამდენად ემოციურია, გარკვევით ვერ იტყვი, რა ბუნებისაა.

ქლიფი იმავე ასაკისაა, დაბალი, შავგვრემანი, ძვალმსხვილი. აცვია სეიტრი და ნაცრისფერი ახალი, მაგრამ დაჭმუჭნილი შარვალი. ის ღინჯი და მშვიდია, თითქოს ღრმა ძილშიაო; სევდიანი, თვითნასწავლი ინტელიგენტის გარეგნობა აქვს. თუ ჯიშისთვის უცხო ჩანს სიყვარული, ქლიფი სწორედ სიყვარულითაა სავსე. ყოველ შემთხვევაში, სიყვარული გამოსჭვავის მის ქცევაში, თუნდაც თავშეკავებულად. ის მშვიდია და თავისთავად ჯიშის საპირისპირო ხასიათია.

ელისონი დგას მარცხნივ საჭმლის კარადის იქით, საუთონების ფიცარს დაყრდნობა. მის გვერდით ტანსაცმლის გროვაა. ამ სამი ადამიანიდან, რომლებიც გარკვეულ მრავალხმიანობას ქმნიან, ის ყველაზე ბნელად დასახასიათებელია. სხვაგვარი ბუნებისაა: კარგად აღზრდილი, მელანქოლიური, ზშირად უჩინარი ორი სხვა ადამიანის ხმაურიან ორკესტრში. აცვია ჭუჭყიანი, მაგრამ ძვირფასი ქვედა კაბა და ზემოდან ჯიშის ალუბლისფერი პერანგი. თითქოს უცნაურია, მაგრამ ამ ჩაცმულობაში ელევანტურად გამოიყურება. ისიც დაახლოებით ბიჭების ასაკისაა. მათი ურთიერთ საპირისპირო გარეგნობის ფონზე ქალი უფრო ლამაზი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ის მაღალია, თხელი, შავგვრემანი; სახის ნაკვთები წაგრძელებული და ნატიფი უჩანს, თვალები - ეჭვით სავსე, თან ისეთი დიდი და ღრმა, შეუძლებელია არ ენდოთ.

ოთახში სიწყნარება, კვამლით სავსეა. მხოლოდ, ხანდახან გაისმის ელისონის უთოს ხმა, როცა ფიცარს ევახება. გაზაფხულის გრილი საღამოა, ღრუბლიანი, ჩრდილები ჩამოწოლილა. ჯიშის ძირს ადგებიან თავის გაზეთს.

ჯიში: რატომ ვაკეთებ ამას ყოველ კვირადღეს? წიგნების მიმოხილვაც კი თითქმის იგივეა, რაც წინა კვირას იყო. წიგნები სხვაა - მიმოხილვა იგივეა. ჯერ არ დაგიმთავრებია მაგის წაკითხვა?

ქლიფი: ჯერ არა.

ჯიში: ახლა სამი სვეტი წავიკითხე რუბრუკით "ინგლისური რომანი". მათგან ნახევარი ფრანგულ წიგნებს შეეხება.. კვირის გაზეთს რომ კითხულობ, შენ ისეთი გრძობა არ გეუფლება, თითქოს უვიცი ხარ?

ქლიფი: არა.

ჯიში: კარგი რა, შენ ნამდვილად უვიცი ხარ. გლეხი ხარ. (ელისონს) შენ რას იტყვი? შენ, რასაკვირველია, გლეხი არ ხარ!

ელისონი (გაფანტული): რას მეკითხები?

ჯიში: შეგეკითხე, გაზეთების კითხვისას ისეთი გრძობა არ გიჩნდება-მეთქი, რომ სულაც არ ხარ განათლებული?

ელისონი: ჰო.. გაზეთები ჯერ არ წამიკითხავს.

ჯიში: მაგას არ გეკითხები. მე შეგეკითხე -

ქლიფი: დაანებე თავი საწყალ გოგოს, საქმე აქვს.

ჯიში: ჰო, მაგრამ ლაპარაკი ხომ შეუძლია! ხომ

შეგიძლია, დაგველაპარაკო? ხომ შეგიძლია, შენი აზრი გამოთქვა. თუ თეთრი ქალის ტვირთი იმდენად მძიმეა, რომ ფიქრის თავიც არ გაქვს?

ელისონი: ვწუხვარ, მაგრამ ყურადღებით არ ვისმენდი.

ჯიში: ახლა არ ვისმენდიო. მე, ჯიში პორტერი ვლაპარაკობ, თქვენ კი გადამბრუნდებით და ძილს აძლევთ თავს. ქალბატონი პორტერი ამოქნარებს და მოქნარებს აყოლებს, რასაც მე ვამბობ.

ქლიფი: ვითხარი, თავი დაანებე-მეთქი.

ჯიმი: (ყვირის) კარგი, ძვირფასო. განაგრძე ძილი.

მხოლოდ მე ვლაპარაკობდი. გაიგე? ვლაპარაკობდი.
ღამიანსოვრე? ვწუხვარ, რომ შეგაწუხებ.

ქლიფი: ნუ ღრიალებ. ვცდილობ, წავიკითხო.

ჯიმი: შენ რატომ ნერვიულობ? ერთი სიტყვაც არ
გესმის, რასაც კითხულობ.

ქლიფი: ჰ.ჰ.

ჯიმი: მეტისმეტად უვიცი ხარ.

ქლიფი: ღიახ, და გაუნათლებელიც. ახლა, ჩაიწვიტე ხმა.

ჯიმი: რატომ არ მიმართავ ჩემს ცოლს. ის ყველაფერს
აგიხსნის. ის განათლებულია. (ცოლს) ხომ ასეა?

ქლიფი: (გაზეთის ქვეშ ფეხს გამოყოფს და ჯიმის ურტ-
ყამს.) გითხარი, თავი დაანებე-შეთქი.

ჯიმი: მიდი. ერთხელაც მომარტყი, შე მაწანწალავ, და
ყურებს აგახევ.

(ქლიფს გაზეთს გააგდებინებს ხელიდან)

ქლიფი: (წინ გადმოიხრება) მომისმინე. ვცდილობ კეთესი
გაეხდე. დამაცადე, რა, შე საზიზღარო ადამიანო.

ქლიფი: (ხელს გაიშვერს გაზეთისთვის)

ელისონი: მიეცი, ჯიმი, ღვთის გულისათვის! აზრები
მეფანტება.

ქლიფი: მიდი, მომეცი გაზეთი. აზრები ეფანტება!

ჯიმი: აზრები ეფანტება! (უკან ესვრის გაზეთს) წელი გდის და
ერთი აზრც არ მოსულა თქვენი რა? გქონა?

ელისონი: არა.

ჯიმი: (იღებს ყოველკვირეულს) მომშვივდა.

ელისონი: რას ამბობ, უკვე?

ქლიფი: ნამდვილი ღორია!

ჯიმი: ღორი არ ვარ. უბრალოდ ჭამა მიყვარს- სულ ესაა!

ქლიფი: ჭამა უყვარს! სექსუალური მანიაკივით ხარ-

შენ მხოლოდ საჭმელზე გიჟები. "მსოფლიოს ახალ
ამბებში" გამოსაცხადებელი გახდები, ბიჭო, ნახავ თუ
არა: ჯეიმზ პორტერი, ოცდახუთი წლის, დამართა
გულის შეტევა გასულ კვირას მას შემდეგ, რაც
წარედ-გინა ბრალდება, რომ მან მიირთვა ერთი
პატარა კომბოსტო და ორი ქილა ლობიო, როდესაც
სახლში დაბრუნდა სასადილოდან. ბრალდებულმა
განაცხდა, რომ ერთ ხანს თავს კარგად ვერ გრძობ-

და და ჰქონდა გათიშვებიც. მან ითხოვა, რომ ანგა-
რიში გაეწიათ, რამდენად კარგად ახასიათებდნენ მას,
როგორც საპერო განგამის მეორე კლასის ინსპექტორს.

ჯიმი: (შეუღრენს) ღიახაც, ღიახაც, ღიახაც. მიყვარს ჭამა.

ქლიფი: ან რატომ ჭამ? რა სარგებელს ნახულობ?
ოდნავადაც არ სუქდება.

ჯიმი: ჩემნაირები არ სუქდებიან. წინათაც აგიხსენი.
ჩვენს ორგანიზმში ყოველგვარი ცხიმი იწვის. ახლა,
ხმა გაიკმინდე, ვიდრე ვკითხულობ. შეგიძლია კიდევ
მომიმზადო ჩაი.

ქლიფი: ღმერთო ჩემო, ახლა არ დალიე ქოთნისხელა
ჭიქით ჩაი. მე ერთი ჩვეულებრივი ჭიქა ჩაი მაქვს
დალიული.

ჯიმი: ჯანდაბას! გამიკეთე კიდევ ერთი.

ქლიფი: (ელისონს) ხომ სიმართალეს ვამბობ? მე ხომ
მხოლოდ ერთი ფინჯანი დავლიე?

ელისონი: (არც აუხედავს) სიმართალეს ამბობ.

ქლიფი: ხედავ! ელისონმაც მხოლოდ ერთი ფინჯანი
დალია. მე დავინახე. შენ კი იმხელა გადააყუდე.

ჯიმი: (კითხულობს ყოველკვირეულს) დადგი ჩაიდან.

ქლიფი: თავად დადგი! როგორ დავისვრია ჩემი გაზეთი.

ჯიმი: ამ სახლში მხოლოდ მე ვიცი, როგორ მოვეპყრა გაზეთს ან სხვა რაიმეს. (მეორე გაზეთს იღებს). ერთი გოგო კითხულობს- რასაც მთხოვს ჩემი ბიჭი, რომ მივცე, მის თვალში ყოველგვარ პატივცემას დაკარგავო? უტვინო ბოზი.

ქლიფი: მე მიმიშვი და მე ვიცოდე.

ჯიმი: ვინ ყიდულობს ამ იდიოტობას? (ძირს ადებს) ეს დიდებული გაზეთი ჯერ არ წაგიკითხავს?

ქლიფი: რომელი?

ჯიმი: მხოლოდ ორი დიდებული გაზეთი გამოდის კვირაობით. ერთს შენ კითხულობ და ესეც მეორეა. მოდი რა, მომეცი ეგ და შენ ეს აიღე.

ქლიფი: კარგი. (გაცვლიან გაზეთებს)

ბრომლის ეპისკოპოსზე კითხულობდი. (ხელს იშვერს ელისონისკენ) როგორ ხარ, საყვარელო?

ელისონი: კარგად, კარგად, ძვირფასო.

ქლიფი: (ხელს მოჰკიდებს) რატომ არ დაანებენ თავს ყველაფერს და ერთს არ დაუღებდი. დალილი ჩანხარ.

ელისონი: (იღიმება) ბევრი აღარ დამჩნა.

ქლიფი: (ხელზე კოცნის და მის თითებს პირში იღებს). ხომ ლამაზი გოგოა?

ჯიმი: ყველა ამას მეუბნება! (მისი თვალები ქალის თვალებს ხვდება)

ქლიფი: რა ლამაზი და ნაზი თათი გაქვს. აჰჰჰ, უნდა მოგატყამო.

ელისონი: კარგი რა, პერანგს დავუწვავ.

ჯიმი: შეეშვი მის თითებს, გულს ნუ მირევ. რაო, რას ამბობენ ბრომლის ეპისკოპოსზე?

ქლიფი: (გაუშვებს ხელს ელისონს) სტატია გვამცნობს, რომ მან ამაღელვებელი სიტყვით მიმართა ყველა

ქრისტიანს- ყველაფერი გააკეთონ, რომ ხელი შეუწყონ წყალბადის ბომბის დამზადებას

ჯიმი: დიახ, დიახ, ძალიან ამაღელვებელია, ჩემი აზრით.

(ელისონს) შენც აგაღელვება, ძვირფასო?

ელისონი: ჰო, ბუნებრივია.

ჯიმი: ესეც ასე- ჩემი ცოლიც კი აღელვებულია. მე ახლა ეპისკოპოსს უნდა ვუგზავნიდე ხელმოწერას მის გამოცემებზე. აბა, ვნახოთ, კიდევ რას ამბობს. ასე- ასე- ასე- ოჰ, აი. იგი აღმფოთებულია, რომ ვიღაცას გამოუთქვამს აზრი, თითქოს ის მხარს უჭერს მდიდრებს ღარიბების წინააღმდეგ. ის უარყოფს კლასებად დაყოფას.. "ამ აზრს გამუდმებით უხეშად ნერგავენ მუშათა კლასები!" აუ! (ამოხედავს, რომ ორივეს რეაქცია დაინახოს, მაგრამ ქლიფი კითხულობს და ელისონი თავისი საუთოებლით არის დაკავებული).

ჯიმი: (ქლიფს) ეს წაიკითხე?

ქლიფი: ჰა? (მათ არსებობას არ აღიქვამს, მაგრამ ვითომ არაფერიო, არ იმჩნევს)

ჯიმი: (ელისონს) ხომ არ ფიქრობ, რომ მამაშენი დაწერდა ამას?

ელისონი: დაწერდა რას?

ჯიმი: აი, რაც წავიკითხე, რასაკვირველია.

ელისონი: რატომ უნდა დაეწერა ეს მამაჩემს?

ჯიმი: წააგავს შენი მამიკოს ნააზრევს, არა?

ელისონი: ვითომ?

ჯიმი: ბრომლის ეპისკოპოსი მისი ფსევდონიმია? როგორ ფიქრობ?

ქლიფი: ნუ აქცევ ყურადღებას. ხომ ხედავ, თავდასხმაზეა გადასული. ეს იოლად გამოსდის.

ჯიმი: (სწრაფად ლაპარაკობს) ეს წაიკითხე? ქალი მივიდა ერთი ამერიკელი ევანგელისტის მასობრივ შეკრებაზე. ცდილობდა წინა რიგში გასულიყო, რომ გამოეხატა თავისი სიყვარული, თუ რაღაც ასეთი. ჰოდა, წინ რომ მიიწევედა, ამასობაში ოთხი ნიკნი ჩაუმტვრიეს და თავშიც მოხვდა. ტკივილისაგან ღრიალი მორთო, მაგრამ 50,000 ადამიანი მთელი გულით და სულით ღაღადებდა “წინ, ქრისტეს ჯარისკაცებო!” და არავის მიუქცევია მისთვის ყურადღება. (ჯიმი უცებ ასწია თავი, გამოპასუხებას ელოდა, მაგრამ არცერთს ხმა არ გაუღია). ხანდახან ჩემს თავს ვაკვირდები, ხომ არაფერი მჭირს. ჩაიზე რა იტყვი?

ქლიფი: (გაზეთს უკან) რა ჩაი?

ჯიმი: ღაღგი ჩაიდან. (ელისონი გამოხედავს.)

ელისონი: კიდევ გინდა ჩაი?

ჯიმი: რა ვიცი. არა, არა მგონია.

ელისონი: შენ გინდა, ქლიფ?

ჯიმი: არა, არ უნდა. კიდევ რამდენ ხანს უნდა აკეთო ვგ საქმე?

ელისონი: ცოტა-ღა დამრჩა.

ჯიმი: ღმერთო, როგორ მძულს კვირა დღეები! დეპრესია მეუფლება, სულ ერთი და იგივეა. ახალი არაფერი ხდება, ერთფეროვნებაა. გაზეთებს ვკითხულობთ, ჩაის ვსვამთ, შენ აუთოვებ. რამდენიმე საათიც და კიდევ ერთი კვირა გავა. ახალგაზრდობა ხელიდან გვეცლება. გესმით ეს?

ქლიფი: (გაზეთს აგდებს) რა გინდა?

ჯიმი: (უბრალოდ) არაფერი, არაფერი, ჯანდაბას, ჯანდაბას თქვენი თავი. ჯანდაბას ვვლა.

ქლიფი: მოდი, კინოში წაიდე. (ელისონს) შენ რას იტყვი, საყვარელო?

ელისონი: არა მგონია, შეეძლო. ალბათ, ჯიმი წამოვა. (ჯიმის) წახეალ კინოში?

ჯიმი: და კვირა საღამოს გავიფუტო გუნება, წინა რიგში გამოჭიმულმა? არა, გმადლობთ. (პაუზა) პრისტლის ნაწარმოები ამ კვირაში წაიკითხე? ჯანდაბა, არ ვიცი, რატომ გეკითხები. ძალიან კარგად ვიცი, რომ არ წაგიკითხავს. რატომ ვზარჯავ ცხრა პენსს ამ წყველ გაზეთებზე ყოველ კვირას? ჩემს გარდა არავინ კითხულობს, არავინ იწუხებს თავს. სიზანტე დაუფლებიათ და თავს არ იწუხებენ, წამოიწონ. მალე თქვენ ორნი ჭკუიდან გადამიყვანთ. ეს ისე ვიცი, როგორც ახლა რომ აქ ვზივარ. ვიცი აპირებთ, გამავიფოთ. ო, ღმერთო, როგორ მენატრება ჩვეულებრივი, ადამიანური გრძნობები, სიცოცხლით სავსე ხმა- მეტი არაფერი. მინდა, მესმოდეს თბილი, ათრთოლებული ამოძახილი – ალილუია! (თეატრალური ჟესტით მკერდზე მუშტს ირტყამს) – ალილუია! მე ცოცხალი ვარ! მე იდეა მაქვს: რატომ არ გავერთოთ ცოტათი? მოდი, თავი მოვიკატუნოთ, რომ ჩვენ ცოცხალი არსებები ვართ, სულ მცირე ხნით თავი ადამიანებად წარმოვიდგინოთ. (ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს). ო, ძმაო, იცი, რა ხანია, არავინ შემხვედრია, ენთუზიაზმი გამოეთქვას რაიმესთან დაკავშირებით.

ქლიფი: რა თქვა?

ჯიმი: (გალიზიანებულია, რომ შეაწყვეტინეს, როცა ელისონს ჭკუას არიგებდა) ვიზე კითხულობ, რა თქვაო?

ქლიფი: ბატონმა პრისტლიმ.

ჯიმი: ალბათ, რასაც ყოველთვის ამბობს. ალბათ, ელისონის მამიკოსავით მძღარ მზერას მიაპყრობს

მეფე ედუარდის ბინდით მოცულ ეპოქას, თავის კომ ფორტულ სავარძელში მოკალათებული, კაცი, რომელსაც ყველა მოქალაქეობრივი უფლებები ჩამოართვეს. ეშმაკმა დალახვროს, რა უქნი მაგ შარვალს? ქლიფი: რა ვუქნი?

ჯიმი: ეს ის შარვალი არაა, გასულ შაბათ-კვირას რომ იყიდე? ერთი შეხედე, რა უქნია ამ ახალთ-ახალი შარვლისთვის!

ელისონი: რა დაუდეგარი ხარ, ქლიფ, საშინელი შესახედა. ჯიმი: ამხელა თანხას ხარჯავ შარვალზე და შემდეგ ველურივით მიჭმუჭნულ-მოჭმუჭნული დადიხარ. მე თუ არ მოგხედე, როგორ აპირებ ყოფნას? მითხარი ერთი, როგორ იქნები უნემოდ? მითხარი, რა?

ქლიფი: (იღრინება) რა ვიცი. (ელისონს) რა ვქნა, საყ ვარელო?

ელისონი: გირჩევნია, გაიხადო. ჯიმი: ჰო, მიდი, გაიხადე. ერთს ამოგარტყამ უკან, მოვიხდება.

ელისონი: დაგიუთოებ, სანამ უთო მაქვს ხელში. ქლიფი: კარგი. (იწყებს გახდას) ერთი, ჯიბეებს ამოვალავებ (ამოიღებს გასაღებებს, ასანთს, ცხვირსახოცს).

ჯიმი: მომაწოდე ეგ ასანთი. ქლიფი: ახლა, შენებურად არ დაიწყო იმ გრძელი ყალიონის მოწვევა. სულ ააყროლებ აქაურობას. (ელისონს) არ აყენებს საშინელ სუნს? (ჯიმი დაითრევს ასანთს და ანთებს)

ელისონი: მერე რა. მე შევეჩვიე. ჯიმი: შეჩვევა მაგრად ეხერხება. თუ მოკვდა და სამოთხეში გაიღვიძა, პირველი ხუთი წუთი და მერე შეჩვევა. ქლიფი: (გადასცემს თავის შარვალს) გმადლობთ, საყ-

ვარელო. სიგარეტი მომეცი, თუ შეიძლება. ჯიმი: ნუ მისცემ.

ქლიფი: აღარ შემიძლია ამ ძველი ყალიონის სუნის ატანა. სიგარეტი უნდა მოვწიო.

ჯიმი: ექიმმა ხომ აგიკრძალა მოწვევა.

ქლიფი: რატომ არ მოკვტავს?

ჯიმი: კი, ბატონო, წყლული შენია. მიდი და გექნება მუცლის ტკივილი, თუ ასე გინდა. მე თავს დაგანებებ. აღარ შემიძლია სხვებისთვის რალაცეების კეთება. რატომ უნდა ვაკეთო? (ელისონი ქლიფს აძლევს სიგარეტს. ორივე უკიდებს და ელისონი აგრძელებს უთოობას) არავინ ფიქრობს, არავის ადარდებს. რა რწმენა, რა პრინციპები! ან რა ერთუზიანობა! უბრალოდ, კიდევ ერთი კვირა საღამო გადის. (ქლიფი ისევ ჯდება, სეიტერსა და საცვალში). ალბათ, კონცერტი დაიწყო. (იღებს პროგრამების გაზეთს) ა.. (ქლიფს ფეხით ანჯღრევს) კიდევ გამიკეთე ჩაი.

(ქლიფი შეუღრენს, აგრძელებს კითხვას).

ო.. აი, ვილაც ვოგან უილიამსი.. ეს მაინცაა საინტერესო. ძლიერია, მარტივი, რალაც ინგლისური. ჩემნაირი ხალხი, ალბათ, პატრიოტიზმით არ გამოირჩევა. ვილაცამ თქვა- როგორ თქვა?- სამზარეულო საფრანგეთიდან გვაქვსო, (ისე, სასაცილოა), პოლიტიკა მოსკოვიდან და მორალი პორტ-საიდიდანო. რალაც ასეა ნათქვამი. ვინ თქვა? (პაუნა) თქვენ მაინც არ გეცოდინებათ. სულაც არ მინდა, მაგრამ უნდა დაგუშვა, რომ მესმის მამამისის, რასაც გრძობდა, როცა ინდოეთიდან დაბრუნდა, ამდენი წლის საზ-

ღვარგარეთ ყოფნის შემდეგ. მევე ეღუარდის ეპოქის ადამიანები, თავის პატარა სამყაროში გამოიწვევდნენ, საკმაოდ მაცდუნებელ წარსულს გაჰყურებენ. შინაურული ნამცხვრები და კროკეტის თამაში, ბრწყინვალე აზრები, ბრჭყვიალა სამხედრო ფორმა. ყოველთვის ერთიდაიგივე სურათია: შუა ზაფხული, გრძელი, მზიანი დღეები, ლექსების მცირე კრებული, შრიალა თეთრეული, კრახმალის სურნელით. როგორი რომანტიკული სურათია. მაგრამ, ყალბია, რასაკვირველია. ალბათ, ზოგჯერ მაშინაც წვიმდა. და მაინც, მეც კი სინანულით ვიხსენებ, ყალბია თუ არა ეს წარმოდგენები. თუ შენ თავად არ გაქვს საკუთარი სამყარო, ისიც სასიამოვნოა, როცა სინანულს გრძნობ, ვილაც სხვისი სამყაროს დღეები რომ გადის. ალბათ, სენტიმენტური ვხდები. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ დამრთავნეულია ამერიკულ ეპოქაში ცხოვრება – თუ თქვენ თავად არ ხართ ამერიკელი, რასაკვირველია. ალბათ, ჩვენი შვილები ყველა ამერიკელი გახდება. აი, რა აზრამდე მივდი!

(ქლიფს ხელს ჰკრავს და უყვირის)

გეუბნები, ამ აზრამდე შევედი-შეთქი.

ქლიფი: მართლაც?

ჯიმი: დამჯდარხარ მანდ, ცომივით დევხარ, მეგონა ჩაის მომიშადებდი.

(ქლიფი იღრინება. ჯიმი მიუბრუნდება ელისონს.)

შენი მეგობარი ბიჭი, უებსტერი, მოვა ამ საღამოს?

ელისონი: შეიძლება გამოიაროს. ხომ იცი, როგორია.

ჯიმი: მირჩევნია, თუ არ გამოივლის. დღეს რაღაც არ ვარ უებსტერის ხასიათზე.

ელისონი: აკი ამბობდი, ის ერთადერთია, ვინც ჩემს ენაზე ლაპარაკობსო.

ჯიმი: კი, ასეა, ჩემს ენაზე, მაგრამ სხვა დიალექტზე ლაპარაკობს. მომწონს. იკბინება, ბასრია, მიზანმიმართული.

ელისონი: ერთუზიაზმით ხავეს.

ჯიმი: სწორად გესმის. როდესაც ის მოდის, თავს უფრო ზრდადასრულებულ ადამიანად ვგრძნობ. მას არ მოეწონვარ, მაგრამ ის მაძლევს რალაცას, რაც უფრო მეტია, ვიდრე მე ვიღებ ირგვლივ მყოფი სხვა ადამიანებისაგან. არა, მას შემდეგ, რაც -

ელისონი: ჰო, ვიცით. მას შემდეგ, რაც შენ ცხოვრობდი მედლინთან. (კეცავს დაუთოვებულ ტანსაცმელს და მიდის საწოლისაკენ, თან მიატყვს ტანსაცმელი).

ქლიფი: (წინ კვლავ გაზეო აქვს აფარებული). ვინა მედლინი?

ელისონი: ო, გამოფხიზლდი, ძვირფასო, შენ გსმენია მედლინიზე, საკმაოდ ხშირად. ეს იყო მისი ქალი. გაიხსენე? როცა თითხმეტის იყო. თუ მაშინ ცამეტის იყავი?

ჯიმი: თვრამეტის.

ელისონი: ყველაფერს მედლინს უმაღლის.

ქლიფი: ამერია შენი ქალების სათვალავი. ეს ის ქალია,

შენზე უფროსი რომ იყო? რამდენი წლით?

ჯიმი: ათი წლით.

ქლიფი: მაგარი ხარ!

ჯიმი: როდის იწყება ის კონცერტი? (გაზეთში ამოწმებს)

ქლიფი: (ამთქნარებს) ო, მეძინება. სულაც არ მინდა, ხვალ დილით ისევ იმ ჯანდაბა ტკბილეულის დასლთან ვიდგე. შენ თავად რატომ არ წახვალ და არ დადგები იქ, მე კი გამოვიძინებდი.

ჯიმი: პირველ რიგში, ქარხანაში უნდა წავიდე. ცოტა

თანხა ხომ უნდა ვიშოვნო. ასე რომ, შენ თავად უნდა გაართვა თავი. კიდევ ხუთი წუთიც. (ელისონი დაუბრუნდა თავის საუთოებელს. დგას, ხელები დაუპყრია, სიგარეტს ეწევა, რაღაცას მიშტერებია).

იმას ნეკა თითში მეტი სიცოცხლე ჰქონდა, ვიდრე თქვენ ორივეს გაქვთ.

ქლიფი: ვის ჰქონდა?

ელისონი: მედლინს.

ჯიმი: ღიას, მას ყველაფერი აინტერესებდა, რაც ირგულივ ხდებოდა, საგნები, ადამიანები. ეს არ იყო ბავშური გულუბრყვილობა. ეს ქალი, უბრალოდ, სიცოცხლით სავსე იყო და ყველაფერს თვალს ადევნებდა. (ელისონი იწყებს ქლიფის შარვლის უთიობას).

ქლიფი: (გაზეთს იქით) მართლა, მოვამზადებ ჩაის.

ჯიმი: (წყნარად) უბრალოდ, მასთან ყოფნა საინტერესო იყო. ავტობუსის ზედა სართულზეც რომ მჯდარიყავი მასთან ერთად, ისეთი გრძნობა გქონდა, თითქოს ოდისევესთან ერთად მოგზაურობდი.

ქლიფი: არა მგონია უებსტერი ძალიან ჰგავდეს ოდისევსს. ერთი მაჩინჯი, ძაჭარა ემშავია.

ჯიმი: მე უებსტერზე არ ვამბობ, სულელი. თუმცა, მაგა საც არა უჭირს, თავისებურად. ემილი ბრონტის ჰგავს. ის ბიჭი ერთადერთია შენი ამხანაგებისგან (ელისონს მიმართავს), ვინც რაბელ ღირს. მიჯირს, რომ მასთან ჯერ კიდევ შეგობრობ.

ელისონი: ღიასაც. მასაც უკვირს, მგონი.

ჯიმი: (დგება მარჯვენა ფანჯარასთან და გარეთ იყურება) მას არა მარტო ვაუჯაცობა აქვს, გონიერიც არის. იშვიათად შეხვდები ადამიანს, ასე ორივე თვისება

ჰქონდეს. არც ერთ შენს სხვა ამხანაგს არც ერთი ეს თვისება არ გააჩნია.

ელისონი: (ძალიან წყნარად და დაბეჯითებით) ჯიმი, გთხოვ - ნე გააგრძელებ.

(ჯიმი მობრუნდება და შეხედავს. მის ხმაში დაღლილობა იგრძნობა. ჯიმი დაიძაბება, მაგრამ ისევ გადადის სხვა შეურაცხყოფაზე. მიღის ქლიფისკენ, მის უკან დგება და თავზე დაჰყურებს.)

ჯიმი: შენი მეგობრები - რა, შხაპი გადაგავლო და გამოგაფხიზლო?

ქლიფი: (ჩაიბურტყუნებს) მორჩი. დააცადე, შარვალი გამოუთოოს.

ჯიმი: (გალიზიანებული) ხომ არ გგონია, მოთმინებიდან გამოვიყვანე? რაც არ უნდა გავაკეთო, მოთმინებიდან ვერ გამოვიყვან. მკვდარიც რომ დავეცი.

ქლიფი: მერე, დაეცი მკვდარი.

ჯიმი: ისინი, დედამისიც და მამამისიც, ან აგრესიული არიან, ქედმაღალი და ბოღმით სავსე, ან სრულიად ინდიფერენტული. ეს საღდაც მათ შორისაა.

ქლიფი: რატომ არ უსმენ შენს კონცერტს? და ნუ დგახარ ჩემს უკან. მადგიხარ თავს და დამჩხავი. ზურგის ტეინში მივლის შენი ხმა.

(ჯიმი ყურებს უგრეხს და ქლიფი ტკივილისგან ღრიალებს. ჯიმიც შეუღრენს). მტკივა, შე დამპალო საღისტო! (ელისონს) ნეტავ, თავს გაუხეთქავდე.

ჯიმი: (მათ შორის მოძრაობს) როდესმე გინახავს მისი ძმა? ძმა ნაიჯელი? წელგაშეშებული, უნიკაპო საოცრება სენდჰერსტიდან? მე მხოლოდ ერთხელ შეხვდი. როდესაც ამ ქალის დედას ვუთხარი, ეშმაკული ხარ-მეთქი, ბიჭმა მოხოვა, აქედან გაეთრიეო.

ქლიფი: შენც გამოხვედი?

ჯიმი: რასაკვირველია, არა! კაი მოდღღეზილი ბიჭია.

სხვა ვერავისგან გაიგონებ აძლენ ზრდილობიან გამო-
თქმას, ასეთი შლიაპის ქვეშ წარმოთქმულს. გარე
კოსმოსიდან შემოღწეული უგვანო არარაობაა. აი,
ესაა მმა ნაიჯელი. ერთ დღესაც იმით დაამთავრებს,
რომ კაბინეტის წვერი გახდება, ეჭვი არ მეპარება.
მაგრამ სადღაც გონების ჯურღმულში ბუნდოვნად
ვხვდები, რომ ის და მმანი მისნი ძარცვავენ და
ასულელებენ ადამიანებს, თაობიდან თაობაზე. (მიდის
სცენის სიღრმეში და მოტრიალდება) ახლა ნაიჯე-
ლი ბუნდოვნად იკვთება და მხოლოდ იმდენად,
რომ შენ მაინც დაინახო და ფაქტიურად არ გახ-
დეს უჩინარი. უჩინარი პოლიტიკოსები ბევრად არა-
ვის არგან- თავის მხარდამჭერებსაც კი. ყველაზე
ბუნდოვანი ნაიჯელში მისი ცოდნაა. ცხოვრების და
რივითი ადამიანური არსებობის ცოდნა იმდენად ბუნ-
დოვანი აქვს, რომ მართლაც იმსახურებს სამაგიერო
სამკაულს - მედალს წარწრით " ამ დარგში ბუნდო-
ვანებისათვის". მაგრამ მისთვის მიუღებელია- მისი
გონება რაიმე შეაწუხოს, თუნდაც ბუნდოვანმა.
(მოძრაობს სცენის წინა მხარისკენ) გარდა ამისა,
ის პატრიოტია და ინგლისელი, და არ მოსწონს
აზრი, რომ შეიძლება წლების განმავლობაში ის თუ-
რმე ყიდის თავის თანამემამულეებს. მაშ, რა ქნას?
ერთადერთი რაც შეუძლია გააკეთოს - ეძიოს სიწ-
მინდე თავის საკუთარ სისულელებში. ერთერთი გზა,
რომ ყველაფერი, რაც შეიძლება, უცვლელი დარჩეს,
როგორც ყოველთვის ყოფილა, ისაა, რომ ნებისმიერი
ცვლილება შენი ყურებისა და ციციქნა გონებისათვის

მიუწვდომელი იყოს აღსაქმელად. ასეც ხდება დღეს.
სწორედ ასე. მაგრამ ნაიჯელის სკოლაში, ეტყობა,
ეს უკვე იცოდნენ და შესაბამისად ჩამოუყალიბეს
კიდევ ხასითი. ასე რომ, ნაიჯელი თავს გაიტანს.
უფრო მეტიც, სხვებზე უკეთესად გაიტანს თავს.
(სრული სიჩუმეა, მხოლოდ ელისონის უთოს მძიმე
მოძრაობის ხმა ისმის. თვალებით დაჰყურებს, რასაც
აუთოებს. ქლიფი იატაკს უყურებს. ახლა აღარაფერი
ეტყობა მხიარულების. ჯიმის გამარჯვებული იერი
ჩაუქრა. ვერ გაუბედავს, რომელიმეს შეხვდოს და
დაასკვნას, როგორ შეხვდნენ მის რიტორიკას. მიდის
ფანჯრისკენ, ცოტა რომ დაწვწარდეს. გარეთ იხედება).
წვიმა დაიწყო. მეტი რა უნდა ბუნებას? ეს ოთახი
და წვიმა.

(პასუხს არავინ სცემს, მაგრამ ის ცდილობს ვინმეს
სიცოცხლე გაუმწაროს). (უბრალოდ განაგრძობს.)
ამ ქალის პატარა ოჯახი, ხომ იცნობ მის დედის
და მამის? შეცდომაში არ შეგიყვანოთ ქუინზბერის
მარკიზის მანერებმა. ბუცელში გითავაზებენ წიხ-
ლებს, ვიდრე შენ ქუდს აწვდი მსახურ ქალს.
რაც შეეხება ნაიჯელს და ელისონს (ვითომ პატი-
ვისცემით სავსე ხმით) - ნაიჯელი და ელისონი.
ისინი არიან, რაც არიან. მლიქვნელი, ფლეგმატური
და შშიშარა - ნამდვილი პუსილანიმუსები.

ქლიფი: დაგნიძღავდეთ, კონცერტი დაწყებული იქნება.
გადავრო?

ჯიმი: ამასწინათ მოვხებნე ეს სიტყვა. ეს ერთ-ერთი იმ
სიტყვათაგანია, რომლებშიც არასოდეს არ ვარ დარ
წმუნებული, მაგრამ მეგონა, ვიცოდი.

ქლიფი: რა სიტყვა?

ჯიმი: ვითხარი — პუსილანიმუს. იცი, რას ნიშნავს? (ქლიფი თავს გააქნევს, არაო). არც მე მცოდნია, ნამდვილად. მთელი ამ დროის მანძილზე მე ცოლად მყავს ეს ქალი, ეს შეგუებლობის ძეგლი და მოულოდნელად აღმოვჩინე, რომ არსებობს სიტყვა, რაც ფაქტიურად მისი შეჯამებაა. ეს არაა ზედსართავი სახელი, რომელიც აღწერს ამ ქალს- ეს მისი საკუთარი სახელია! პუსილანიმუს! ისე ფლერს, გეგონება ერთ, ხორციან რომაულ ქალბატონზეა ლაპარაკი, არა? ქალბატონი პუსილანიმუსი აქ წარმოდგენილია თავის ქმართან, სექსტუსთან ერთად, როდესაც ისინი მიემართებიან თამაშებზე.

(ქლიფი შეწუხებულია და მორიდებით გახედავს ელისონს.) საწყალი ბებერი სექსტუსი! პოლიველში მასზე ფილმი რომ დაეღვათ, ვერაფერ შთაბეჭდულებას მოახდენდა, ვინმე ისე-რა ბრიტანელ მსახიობს ათამაშებდნენ მის როლს. ვიდრე ფილმის გადაღებას დაამთავრებდნენ, მის ცოლს კარგად მოიხმარდნენ "ხორცის" მოყვარული ქრისტიანები, მშვენიერი სტერეო მუსიკის ფონზე.

(ელისონი დაეყრდნობა საუთოებელს და თვალებს დახუჭავს.) ქალბატონ პუსილანიმუსს ბევრად უფრო მშვენიერ და იოლ ცხოვრებას შეჰპირდნენ, ვიდრე სექსტუსს შეუძლია, შეუქმნას. საღამო, ფისუნია! რა ჯანდაბას გამოვედი ამ არენაზე? იქნებ ორიოდ ლომისთვის შეგვეჭმევინებინა თავი, ა?

ელისონი: ღმერთო, შემეწიე. ერთი წუთიც, და თუ არ გაჩერდა, ჭკუაზე შევიშლები.

ჯიმი: მერე, რატომ არ იშლები? ეს რაღაც მაინც იქნებოდა. (მარჯვნივ მდგარ კომოდისკენ მიდის) მაგრამ

ჯერ ხომ არ მითქვამს შენთვის, ეს რას ნიშნავს? (იღებს ლექსიკონს) თქმა არ მჭირდება, ისედაც იცის. ახლა, თუ წარმოთქმა შექმნა, ეს ქალბატონი, ალბათ, დაელოდება მომენტს, რომ ხალხში გაძის წოროს. აი, ეს სიტყვა- ვკითხულობ: "პუსილანიმუსი - ზედსართავი სახელი. აკლია გონების სიმტკიცე, ნაკლებ მამაცია, ტვინი დიდად არ უჭრის, ხასიათით უეჭური, მხდალი, ძლივს აზროვნებს. (ხმაური ხურავს წიგნს). ეს ჩემი ცოლია. ხომ ნამდვილად ისაა? იხილეთ ქალბატონი პუსილანიმუსი. (ხმახმლქილი ყვირის) ჰეი, ფისო! სხვა კიდევ როგორია შენი ხატება? (ჯიმი უყურებს ელისონს, მოელის, რომ ის აფეთქდება. თითქოს მხოლოდ ხორცის მასა და მეტი არაფერი — ელისონს სახე დაეჭყანა, თითქოს უნდა, თავი უკან გადასწიოს და იკიცილოსო. მაგრამ ერთ წუთში გადაუვლის. ქალი მიჩვეულია ასეთ თავდასხმებს და ჩანს, კაცი ვერ იზეიმებს ამ საღამოს. ქალი აგრძელებს თავის საქმეს- ისევ აუთოებს. ჯიმი გადაჭრის სცენას და რადიოს ჩართავს. ვოკან უილ იამსის მუსიკის კონცერტი დაწყებულია. კაცი თავის სკამს უბრუნდება, ჯდება, ზურგს მიაყრდნობს და თვალებს ხუჭავს).

ელისონი: (ქლიფს გადასცემს შარვალს) აიღე, საყვარელო, ძალიან კარგად ვერ გავაკეთე, მაგრამ ახლა გეყოფა. (ქლიფი ღებდა და იცვამს).

ქლიფი: ძალიან კარგია.

ელისონი: აწი მიხედე, ნუ გააფუჭებ. მერე უფრო კარგად დაგიუთოვებ.

ქლიფი: გმადლობთ, ჩემო მშვენიერო, ძვირფასო გოგო. (ხელებს შემოახვევს წელზე და კოცნის ქალს. ქალი

ილიძე და ცხვირზე აჭერს თითს. ჯიმი სკამზე ზის და უყურებთ.)

ელისონი: (ქლიფს) სიგარეტი ხომ არ მოგვეწია?

ქლიფი: კარგი აზრია. სადაა სიგარეტი?

ელისონი: ღუმელზე. ჯიმი, შენ გინდა?

ჯიმი: არა. გმადლობთ. ვცდილობ მოუხსმინო. ხომ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო?

ქლიფი: უკაცრავად, თქვენო ბრწყინვალეობა.

(ქლიფი სიგარეტს ჩაუდებს ელისონს პირში, ერთს თავად გაიჩრის და უკიდებს. ქლიფი ჯდება და გაზეთს იღებს. ელისონი უთოს მიუბრუნდება. ქლიფი ძირს ავლებს გაზეთს, მეორეს იღებს და ფურცლავს თითებით.)

ჯიმი: აუცილებელია ხმაურით ფურცლო?

ქლიფი: ო, უკაცრავად.

ჯიმი: რა უნდა ამის გაკეთებას, უბრალოდ გადაფურცლო ისე, ჩემი გაზეთია (სტაცებს ხელს).

ქლიფი: კარგი რა, რა მოგივიდა!

ჯიმი: ცხრა პენსი ღირს, ნებისმიერ საგაზეთო კიოსკში შეგიძლია შეიძინო. ახლა გთხოვ, დამაცადე, მუსიკას მოუხსმინო.

(პაუზა). (ელისონს) კიდევ დიდხანს უნდა აუთოვო უკ რაღაცეები?

ელისონი: რა იყო?

ჯიმი: იქნებ, ვერც აჩნევ, მაგრამ მუსიკის მოსმენაში მიშლის.

ელისონი: ვწუხვარ. ცოტა-ლა დამრჩა.

(პაუზა. უთოს ხმა ერთვის მუსიკას. ქლიფი მოუსვენრად მოძრაობს სკამზე, ჯიმი ელისონს უყურებს, ფეხებს სახიფათოდ გრეხს. მერე სწრაფად წამოხტე

ბა, გადაჭრის სცენას რადიოსკენ, ელისონის გვერდით, და გამორთავს.) რატომ შვები?

ჯიმი: მინდოდა კონცერტი მომესმინა, სულ ესაა.

ელისონი: მერე, რატომ აღარ უსმენ?

ჯიმი: ყველა რაღაცას ახმაურებს, ჰოდა, ვეღარ ვუსმენ.

ელისონი: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ხელდააყრობილი ხომ ვერ დავჯდები, რადგან შენ მუსიკის მოსმენა გსურს.

ჯიმი: რატომ არა?

ელისონი: კარგი რა, ჯიმი, ბავშვისავით იქცევი.

ჯიმი: ნუ მელაპარაკები მენტორული ტონით. (ქლიფს მიმართავს) როგორი მოუქნელია. ვუყურებ და ყოველ საღამოს ერთსადიამდე რაღაცას აკეთებს. იცი, როგორ დახტება ხოლმე საწოლზე, თითქოს ვიღაცას სახეში სთხლიშაო, და ფარდებს ხმაურით მისწი-მოსწევს, როგორც იცის ხოლმე, თითქოს რაღაცას ანგრევსო. გვეონება სამხედრო გემი ჩაუშვესო. მიგიქცევია ყურადღება, როგორი ხმაურიანი არიან ქალები? (გადაჭრის მარცხნივ ცენტრისკენ) შეგინიშნავს? რაღაცნაირად მიაბაკუნებენ, როდესაც აიატაკზე დადიან. თუ შეგიხედავს, როგორ სხედან ტრილიაჟის წინ, როგორ მოისვრიან სხვადასხვა ქალურ ნიეთებს და ბრაზუნით ავლებენ პატარა ყუთებს, ჯაგრისებს და პომადებს? (ქალის ტრილიაჟის წინ დგება) ამას ვუყურებ ყოველ დღე. როდესაც უყურებ ქალს თავისი საწოლი ოთახის სარკის წინ, ხვდები, რა დახვეწილი ფასაბია. (შემობრუნდება) გინახავს ჭუჭყიანი, ბებერი არაბი, თითებს რომ ჩრის მსუქან, ხრტილო ვან ბატკნის ხორცში? აი, იმ არაბს ჰგავს ეს ქალ ბატონი. მადლობა ღმერთს, ბებერი არაა ქალი ქორუ-რგი! ეს პრიმიტიული ხელები ხელად გაგფატრავენ

და ერთ წუთში ამოგიყრიან ნაწლავებს. ჰოპ, და ამოყრილია ნაწლავები! შეუბერე ფქვილს და ამოფარფატლება ყუთიდან. ჰოპ, და უკანვე დაჯდება მაგიდაზე. ქლიფი: (გახალისებული სახით, იცინის) ოჰ! გაჩერდი! ჯიმი: (სცენის შიგნით მიდის) გაგფატრავს და დაყრის შენს ნაწლავებს, როგორც თავისი თმის სამაგრებს, და მიმოაბნევს იატაკზე. ნერვები უნდა მოთოკო და არანაირი ყურადღება არ უნდა მიაქციო არც მის ხმაურს და არც მის მოუქნელობას.

(ცენტრისკენ მიდის, მაგიდას ეყრდნობა)

ერთხანს მქოდა ბინა, რომლის თავზეც ორი გოგო ცხოვრობდა. ყველაფერი, რასაც ეს ნაბიჭვრები აკეთებდნენ, გარკვევით ისმოდა, ღღეც და ღამეც. ყოველდღიურად, სულ ცოტა, ნერვებს მაინც მიშლიდნენ, სხვა თუ არაფერი. ბევრჯერ მივმართე, მაგრამ მათზე არაფერი მოქმედებდა. ეს ორი, უბრალოდ, ტუალეტშიც რომ შევიდოდა, ისეთი ხმაური ატყვებოდა, შუასაუკუნეების ალყაში მოვექეციო, გეგონებოდათ. მოკლედ, თავი მომაბუზრეს - იძულებული გავხდი, წავსულიყავი. ალბათ, ისინი ჯერაც იქ არიან. მაღალქუსლებიანი ფეხსაცმლით დააბაკუნებენ, უთოებსა და ტაყებს აჯახუნებენ, მოკლედ ქალების ჩვეულებრივი ხმაური გაგარდნილი რაკეტის გრიალს მოგაგონებთ. (გარედან ისმის ეკლესიის ზარების ხმა).

ჯიმი: ო, ჯოჯოხეთია! ახლა ზარების გრიალს უსმინე! (ფანჯრისკენ გაემართება) კარგი რა, შეწვევით ზარების რეკვა! ადამიანი გაგიჟდება ასეთ ხმაურში. არ მინდა მათი გაგონება!

ელისონი: შეწვევით ვვირილი! (მაშინვე წყნარდება) სახლის პატრონი, მის დრური ამოგვიხტება,

ჯიმი: ჯანდაბამდე გზა ჰქონია მის დრურის! ეს ციციქა ჩახჩუებული ქალი მე ვერ გამაცურებს, თქვენ შეიძლება ორივე მოგატყუოთ, ბუბერი ყაჩაღი! ყოველ კვირაში ამ ბინისთვის საკმარისზე მეტს იღებს ჩვენგან. ალბათ, ახლა ეკლესიაშია (ფანჯრისკენ უთითებს) და იმ საზიზღარ ზარებზე ჩამოკონწიალებული ქანაობს! (ქლიფი უახლოვდება ფანჯარას და ხურავს).

ქლიფი: კარგი რა, დაწყნარდი. გთხოვ, გაეიდეთ გარეთ და დაელოთ რამე.

ჯიმი: ჯერ ყველაფერი დაკეტულია. კვირაა. დაგავიწყდა? თან კიდევ, წვიმს.

ქლიფი: ჰოო, მაშინ ვიცეკვოთ?

(ჯიმს უბიძგებს საცეკვაოდ, ის კი არაა ხასიათზე ასე გასართობად) ხშირად მიდიხარ საცეკვაოდ?

ჯიმი: მხოლოდ შეწვევების სეზონზე. კარგი, კარგი, ძალიან სასაცილოა. (ცდილობს გაუსხლტეს, მაგრამ ქლიფი მარწუხებივით ჩასჭიდებია) გამიშვი.

ქლიფი: არ გაგიშვებ, ვიდრე ბოდიშს არ მოუხდი ყველას, ვისაც საზიზღრად მოგქეცი. შენი აზრით, წელს მკერდს ჩაწყობილს ატარებენ თუ ამოყრილს?

ჯიმი: შენს კბილებს დაგიწყო ამოყრილს, ამ წუთში თუ არ გამიშვებ. (მთელი ძალით ცდილობს, გაინთავისუფლოს თავი, მაგრამ ქლიფს მაგრად უჭირავს. სცენის ცენტრში იატაკზე გაიშხლართებიან, მაგიდის ქვეშ ჭიდაობენ. ელისონი განაგრძობს უთოობას. ეს ჩვეულებრივი ქცევაა მათთვის, მაგრამ ელისონს აღიზიანებს და ეს-ესაა აფეთქება. ქლიფი გამოექცევა და აღმოჩნდება საუთოებლის წინ. ჯიმი წამოხტება ფეხზე. ისინი ერთმანეთს ეტაკებიან.)

ელისონი: ფრთხილად, ღმერთო ჩემო! ყოველდღე ზოო-

პარკი გაქვთ გახსნილი. (ჯიმი თავგამოდებით, ღონივრად გაიბრძოლებს და მოახერხებს ქლიფის გადავლებას საუთოებლისაკენ და ის ელისონს ეჯახება, საუთოებელი ყირავდება, ქლიფი და ელისონი და აღმოჩნდებიან იატაკზე. ელისონი ფირის ტკივილისაგან ჯიმი დაპყვრებთ სუნთქვაშეკრული).

ქლიფი: (წამოდგება) რაღაც ეტკინა. კარგად ხარ?

ელისონი: მეტყობა, რომ კარგად ვარ, არა?

ქლიფი: მკლავი უთომ დასწვა.

ჯიმი: ეწუხვარ, ძვირფასო.

ელისონი: გამეცალე!

ჯიმი: ეწუხვარ, დამიჯერე. შენ გგონია, მე ასე განვებ მოვიქცი-

ელისონი: (თავს აქებს გამწარებით) გამეცალე, არ დავინახოს ჩემმა თვალებმა.

(ჯიმი მიშტერებია, გაურკვევლობაშია. ქლიფი თავს დაუქნევს, ისიც მიბრუნდება და გადის.)

ქლიფი: მოდი და დაჯექი. (ქალი მიჰყავს მარჯვნივ და სავარძელში სვამს) ცოტა ფერდაკარგული ხარ. თავს როგორ გრძნობ?

ელისონი: ჰო, ახლა კარგად ვარ.

ქლიფი: მოდი, შევხედავ შენს მკლავს. (ათვლიერებს) ჰო, ჩაგწითლებია. გტკივა, ალბათ. როგორ მივხელო, თუ იცი?

ელისონი: დიდი არაფერია. ცოტა საპონი რომ დავიღო, ეყოფა. არ ვიცი, დამწვრობას როგორ შეველიან.

ქლიფი: ერთი, აბაზანაში შევიხედავ ქვემოთ და მოვიტან საპონს. დარწმუნებული ხარ, რომ არაფერი გიჭირს?

ელისონი: არაფერი.

ქლიფი: (მიდის კარისკენ) ერთ წუთში მოვრუნდები. (გადის.)

(ქალი სკამის ზურგს მიეყუდება, ჭერს უყურებს. ღრმად სუნთქვს და სახეს ხელებში ჩარგავს. დაიჭყანება, მკლავში ტკივილს გრძნობს და მკლავს დაუშვებს. თმაში ხელს შეაცურებს)

ელისონი: (მოკუმული პირით ჩურჩულებს) ოჰ, ღმერთო! (ქლიფი ბრუნდება, ხელში საპონი უჭირავს).

ქლიფი: სუნი ასდის. როგორ გგონია, გამოდგენა?

ელისონი: არა უშავს.

ქლიფი: აგერ, აიღე. გამოსწიე მკლავი. (ჩაიმუხლებს ქალის გვერდით, ქალი მკლავს გამოუწვდის). გამძინარე წყალში გააჩერე, დარბილდა. ძალიან ნაზად გადავსვამ. (რბილად გადაუსვამს დამწვარზე) კარგია? (ქალი თავს უქნევს) ყოჩაღი გოგო ხარ.

ელისონი: არც ისე ყოჩაღი მგონია თავი (ცრემლები გაერევა ხმაში) არც ისე, ქლიფ. ვფიქრობ, მეტიც ატანა აღარ შემიძლია (თავს გაატრიალებს). ყველაფრისგან დავიღალე.

ქლიფი: დამთავრდა (საპონს ძირს დებს). გინდა, რაიმე მოგართვა? (ქალი თავს გააქნევს. კაცი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდება და მკლავს მოხვევს. ქალი თავს მიაყრდნობს კაცს). ნუ განერვიულდები, საყვარელო. (კაცი კისერს უხელს ქალს, ქალი თავს გადასწევს წინ).

ელისონი: სად წავიდა?

ქლიფი: ჩემს ოთახშია.

ელისონი: რას აკეთებს?

ქლიფი: საწოლზე წევს. მგონი, კითხულობს. (კისერზე ხელს უსვამს ზემოთ-ქვემოთ). ასე უკეთესია?

(ქალი უკან გადაიწევს და თვალებს ისე ხუჭავს).

ელისონი: ღმერთმა დაგლოცოს. (კაცი კოცნის თავზე)

ქლიფი: ასე მგონია, მარტო ვეღარ ვიცხოვრებ, მიუხედავად ამ ყველაფრისა. მე საკმაოდ უხეში ვარ, საერთოდ, სრულიად უბრალო ადამიანი, და მარტო რომ დაერჩე, ალბათ, უარესი გავხდები. გარდა ამისა, ადამიანებს უჩვევი. იქნებ ეს ცუდიცაა, მაგრამ ასეა.

ელისონი: არა მგონია, სიყვარული კიდევ მაინტერესებდეს. არავითარი. სიყვარულის თავი აღარ მაქვს.

ქლიფი: შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ! რა დროს ხელის ჩაქნევაა. ძალიან ახალგაზრდა, და ძალიან ლამაზი. მე მგონი, უმჯობესია, შეგიხვიო, არა?

ელისონი: იქ მაგიდაზე ნახე.

(ქლიფი მიდის მარჯვნივ ტრელაჟთან) უკან რომ ვიყურები, იმდენად რამდენადაც შემიძლია გავიხსენო, იმასაც კი ვერ ვიხსენებ, როგორი იყო ახალგაზრდობის შეგრძნება; შეგრძნება, რომ ნამდვილად ახალგაზრდა ხარ. ამას წინათ ჯიმიმ მითხრა იგივე. თავი მოვაჩვენე, ვითომ არ ვუსმენდი - მეც რომ დამედას ტურებიანა ეს აზრი, მგონი გული ეტკინებოდა. და, რასაკვირველია, გაცოფდა, როგორც წელან. ვიცი, რაც იგულისხმა - ალბათ, ძნელი არ იქნებოდა, მეპასუხა: "ჰო ძვირფასო, ვიცი რასაც გულისხმობ. მესმის, რასაც გრძნობ." (მხრებს აიწურავს) ასეთი უბრალო რაღაცეების თქმა გვიჭირს.

(ქლიფი დგას სცენის წინა მარჯვენა მხარეს, სახვევი უჭირავს, ქალისკენ ზურგიითაა).

ქლიფი: ნეტავ, კიდევ რამდენ ხანს შევძლებ, გიყუროთ თქვენ ორს, როგორ უძიძგნით ერთმანეთს შიგნეულს. ხანდახან საზინდარი შესახედი ხართ.

ელისონი: მართლა სერიოზულად ხომ არ ფიქრობ, დაგვტოვო?
ქლიფი: მე მგონი, არა. (მისკენ მიდის)

ელისონი: შიში მიპყრობს. ის მაინც ვიცოდე, რა მოხდება.

ქლიფი: (ჩამოჯდება საგარძლის სახელურზე, რომელშიც ელისონი ზის) გამომიწიე. (ელისონი მკლავს გამოწვივის) იყვირე, თუ გატკენ. (სახვევს ადებს).

ელისონი: (უყურებს თავის გაწვილ ხელს) ქლიფ -

ქლიფი: ჰმ? (მცირე პაუზა) რაო, საყვარელო?

ელისონი: არაფერი.

ქლიფი: მითხარი, რა გინდა?

ელისონი: იცი, რა.. (ყოყმანობს) ფეხშიძივე ვარ.

ქლიფი: (რამდენიმე წამის შემდეგ) მაკრატელი მჭირდება.

ელისონი: აი, იქითაა..

ქლიფი: (მიდის ტრელაჟთან) ეს უკვე რაღაცაა, არა? როდის გაიგე?

ელისონი: რამდენიმე დღის წინ. თავზარი დამეცა.

ქლიფი: ჰო, ალბათ.

ელისონი: სამ წელს ქორწინებაში ცხოვრების შემდეგ პირველადაა, რომ ტყუილის თქმა მიხდება.

ქლიფი: მე მგონი, არცერთი ჩვენგანი არაა შეუმცდარი. (მასთან მიდის) უნდა ვითხრა, გოცნებული ვარ.

ელისონი: ამაზე არც უნდა გვეფიქრა, როცა ასეთ ადგილზე ცხოვრობ და კაპიკი არ გაქვს და - რა ვიცი, ყველაფერი პრობლემაა. ჯიმი ბავშვის წინააღმდეგია, ვიცი. რა უნდა ქნას ადამიანმა?

ქლიფი: ალბათ, ჯერ არ ვითქვამს.

ელისონი: ჯერ არა.

ქლიფი: რას აპირებ?

ელისონი: წარმოდგენა არ მაქვს.

ქლიფი: (გადაჭრის სახვევს, კრავს) ძალიან მოჭკერილია?

ელისონი: კარგადაა, გმადლობთ.

(ქალი დგება, მიდის საუთოებლისკენ, აკეცავს და მიაყუდებს მარჯვნივ)

ქლიფი: ახლა უკვე.. ახლა უკვე..

ელისონი: გვიან არის სიტუაციის თავიდან აცილება?
(უთოს დებს რკინის სადგამზე) ჯერ არ ვარ დარწმუნებული. შეიძლება, ჯერ არაა გვიან. თუ გვიანაა, პრობლემაც არაა, ხომ?

ქლიფი: და თუ ძალიან დაგვიანებულია? (ქალს სახე მიბრუნებული აქვს, თავს აჩქევს) რატომ არ უთხარი ახლა? (ქალი იხრება, რომ ძირს დაყრილი ტანსაცმელი აიღოს, იღებს იატაკიდან და დაკეცილს დებს) ხომ იცი, რომ უყვარხარ? ჩემი თქმა არ გჭირდება.

ელისონი: ვერ ხედავ? მაშინვე ეჭვით შემომხედავს, მიხეზს დაუწყებს ძებნას. სულ იმას ამბობს, რომ ვიცი, როგორ შეიძლება მას იოლად მივაყენო ტკივილი. ამაღამ, კარგი, გადაუვლის და ისეც სიყვარულს მივეცემით. მაგრამ შემდეგ ორივე ვიწვევით მღვიძარი, მოლოდინში, როდის გათენდება და სინათლე შემოაღწევს ფანჯარაში და შიშით დაველოდებით გათენებას. დილით ის თავს მოტყუებულად იგრძნობს, ვითომ მის მოკვლას ვცდილობდეთ რაღაც უსაშინლესი სიკვდილით. ალბათ, მიყურებს, როგორ მეზრდება მუცელი დღითი-დღე და მე კი თვალს ვერ გავუსწორებ.

ქლიფი: რას იზამ, ამას ვერ ასცდები, საყვარელო.

ელისონი: ჯიშის აქვს თავისი, საკუთარი მორალური კოდექსი, როგორც იცი, რასაც დედაჩემი "მორყეულ კოდექსს" უწოდებს. ეს თავისუფალი პრინციპებია, მაგრამ მკაცრიც. იქნებ, სასაცილოა, მაგრამ ჩვენ არ ვწოლილვართ ერთად ქორწინებამდე.

ქლიფი: მართლაც დაუჯერებელია, მითუმეტეს, ჯიშისგან.

ელისონი: ჩვენ მცირე ხანს ვიცნობდით ერთმანეთს, ყველაფერი ისეთი სისწრაფით განვითარდა. არ გვქონია

ამის სიტუაცია და შემდეგ ის მასხარად მიგდებდა ჩემი ქალიშვილობის გამო. გულმოსული ჩანდა, ვითომ რაღაცაში მომეტყუებინოს. თითქოს ხელუხლებელი ქალი მას რაღაცით აბინძურებდა.

ქლიფი: შენ არასოდეს გილაპარაკია ჯიშზე ასე. ალბათ, ნასიამოვნები დარჩებოდა.

ელისონი: ჰო, ალბათ. (ქალი დგება, ხელზე ტანსაცმელი აქვს გადადებული) შენი აზრით სწორია?

ქლიფი: რა მხრივ?

ელისონი: ჰმ.. ყოველმხრივ.

ქლიფი: იცი, რა. მე ვფიქრობ, მე და ჯიში ერთგვარად ვაფასებთ ბევრ რამეს იმიტომ, რომ რაღაცით ვვართ ერთმანეთს. თუნდაც ის, რომ ორივე მუშათა წრიდან ვართ. კი, ვიცი, რომ დედამისის ზოგიერთი ნათესავი საკმაოდ მდიდარია, მაგრამ ჯიშის ისინი ევაფრება ისე-ვე, როგორც შენიანები. ისე, არ ვიცი, რატომ. ყოველ შემთხვევაში, ის მეწყობა მე, რადგან მე, უბრალო ადამიანი ვარ. (იციან) უბრალო, როგორც ჭუჭყა, მუტი არაფერი. (ქალს ხელს ადებს თავზე და ჩაფიქრებული ხელს გადაუსვამს)

ელისონი: შენი აზრით, უნდა ვუთხრა, რომ ბავშვს ველოდები?

(კაცი დგება და მკლავს მოხვევს)

ქლიფი: ყველაფერი კარგად იქნება. უთხარი.

(კაცი კოცნის. შემოდის ჯიში. უყურებს მათ, მაგრამ არაა გაკვირვებული. ორნი დგანან და გრძობენ, რომ ის შემოვიდა, მაგრამ არ რეაგირებენ. ჯიში გაემართება მარცხენა სავარძლისაკენ და მათ გვერდით ვდება. ხელში იღებს გაზეთს, იწყებს დათვალიერებას.

ქლიფი გახედავს, ელისონს კი თავი მიღებული აქვს

ქლიფის ლოყაზე). მოხვედი, არა, ჯანდაბას შენი თავი, სად იყავი?

ჯიმი: რაში გაინტერესებს, სად ვიყავი. (ქალს არ შეხედავს, ისე ეკითხება) მკლავი როგორ გაქვს?

ელისონი: არა უშავს. დიდი არაფერია.

ქლიფი: ხომ მშვენიერია?

ჯიმი: ჩანს, ასე ფიქრობ.

(ქლიფს და ელისონს ჯერაც ერთმანეთზე აქვთ შემოხვეული მკლავები)

ქლიფი: რატომ გამოგვკა ცოლად, ამას ვერასოდეს გაგიგებ.

ჯიმი: შენი აზრით, შენთან უკეთესად იცხოვრებდა?

ქლიფი: მე მის სტილში არ ვარ. შენს სტილში ვარ, ძვირფასო?

ელისონი: ვერ გეტყვი, როგორია “ჩემი სტილი”.

ჯიმი: რატომ ლოგინში არ ჩაწვებით, და ამით არ დაასრულებთ?

ელისონი: მე მგონი, მართლა გულისხმობს, რასაც ამბობს.

ჯიმი: დიანაც. აბა, ვერ გავიგე, რას ღვახართ ასე ორნი ერთად.

ქლიფი: აი, გულით ნამდვილი პურიტანი.

ჯიმი: შეიძლება, ვარ კიდევაც. ისე, ორნი ღვახართ სულელურად ერთმანეთზე მიყვდებული.

ქლიფი: ჩემი აზრით, ის მშვენიერია. და შენც ასე ფიქრობ, მაგრამ ძალიან გაბღენილი ხარ და ვერ ამოღერდებ ამას.

ჯიმი: შენ კი ერთი პატარა სექსუალური უეღსეელი ხარ და კარგად იცი ეს! ამის დედიკო და მამიკო გაფითრდებიან, თავს აღმოსავლურთისაკენ მიაბრუნებენ ყოველთვის, როდესაც მოაგონდებათ, რომ ის ჩემზეა დაქორწინებული. მაგრამ რომ დაენახათ, აქ რაც ხდება, მუხლები მოეკეცებოდათ. მართლა რას იზამდნენ,

შემთხვევით რომ შეეხედათ ახლა თქვენთვის. პოლიციას გამოიძახებდნენ, ასე მგონია. (მეგობრული ტონით) სივარეტი გაქვს?

ელისონი: (ინთავისუფლებს თავს) ენახავ.

(მიდის სცენის სამხრეთ ნაწილში მდგარ მაგიდასთან. იქ ჩანთა აქვს)

ჯიმი: (ქლიფისკენ მიუთითებს) ყოველ დღე ეს ბიჭი უფრო და უფრო ემსგავსება პატარა წრუწუნას, არა?

(ცდილობს ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდეს) მართლა ჰგავს წრუწუნას. შეხედე მის ყურებს, სახეს და პატარა მოკლე ფეხებს.

ელისონი: (ჩანთაში ათვალიერებს) იმიტომ რომ მართლა წრუწუნაა.

ქლიფი: წრ..წრ. წრუწუნა ვარ.

ჯიმი: პატარა მათხოვარი წრუწუნა.

ქლიფი: (ცეკვავს მაგიდის გარშემო და თავივით ხმებს გამოსცემს). მე წრუწუნა ვარ. წრუწუნა ვარ, მე პატარა მათხოვარი წრუწუნა ვარ. ეს ძვირფასო ცეკვაა.

ჯიმი: რა ცეკვა?

ქლიფი: ძვირფასო ცეკვა, მხოლოდ წრუწუნებისთვის.

ჯიმი: შე, მყრალი. მართლა ვარზარ. იცი თუ არა?

ქლიფი: მენზე მყრალი მანც არ ვარ, შე ბინძურო, ბებრო დათვო. (მისკენ მიდის და ფეხებში ხელს სტაცებს).

შენ ხარ აყროლებული ბებერი დათვი, გესმის ჩემი?

ჯიმი: ფეხებს შეეშვი, უტვინო. მუცელი მატკინე. ვისვენებ! თუ არ გამიშვებ, ძირში მიგაჭრი მაგ საზიზღარ, წაგრძელებულ, გაწვრილებულ კუდს. (ქლიფი ხელს ჰკრავს, ჯიმი იატაკზე ეცემა. ელისონი უყურებს მათ, გულზე მოეშვება და თბილად ამბობს)

ელისონი: სივარეტი გამოთავებია.

(ქლიფი მიათრებს ჯიშის იატაკზე, თავისი ფეხებისკენ)
ჯიში: (კივის) გადი და მომიტანე რამდენიმე სიგარეტი,
შემეშვი, შე სულელო!

ქლიფი: კარგი.

(ის უცებ ხელს უშვებს ჯიშის ფეხებს, და ჯიში
იღრიალებს, როცა თავით იატაკს დაენარცხება).

ელისონი: აი, ნახევარი კრონი. კუთხეში რომ მაღაზიაა,
ღია იქნება.

ქლიფი: სწორი ბრძანდებით. (ქალს შუბლზე კოცნის
სწრაფად). არ დაგავიწყდეს (კარისკენ მიდის).

ჯიში: წაეთრიე აქედან, თუნდ ჯოჯოხეთში.

ქლიფი: (კართან) ეი, დაბაჯულო!

ჯიში: რა გინდა?

ქლიფი: სავსე ჩაიდან დადგი.

ჯიში: (დგება) ჯერ ბოლოს მოგიღებ.

ქლიფი: (ეჭყანება) კი, როგორ არა, ჩემო ბიჭო!

(გადის.) (ჯიში ახლა ელისონის გვერდითაა, რომელ-
იც ჩანთაში რაღაცას ეძებს. ქალი გრძნობს მის
სიახლოვეს და რამდენიმე წამის შემდეგ ჩანთას კე-
ტავს. კაცი ხელს ჰკიდებს შეხვეულ მკლავში).

ჯიში: როგორ გაქვს?

ელისონი: კარგად. დიდი არაფერია.

ჯიში: აძენ სისულელეში, შეიძლება, ხიფათიც შეგემთხვეს
(მაგიდის ნაპირზე ჩამოჯდება, ხელში ქალის ხელი
უკავია). ვწუხვარ.

ელისონი: ვიცი.

ჯიში: მართლა გეუბნები.

ელისონი: მჯერა.

ჯიში: განგებ გაუაკეთე.

ელისონი: ჰო.

ჯიში: წუთი არაა, რომ არ გითვალთვალებდე და არ

მინდოდე. რაღაცით უნდა გადავლახო ხოლმე ეს
გრძნობა. თითქმის ოთხი წელია, ერთ ოთახში ვართ,
ღამით და დღისით, და დღემდე ოფელს მასხამს ხოლ-
მე, როცა გიყურებ, რაღაცას რომ აკეთებ – რაღაც
ყოველდღიურ საქმეს, მაგალითად, საუთოებელს რომ
გადაეყუდები ხოლმე. (ქალი ხელს უსვამს თავზე,
მთლად მტკიცედ ვერ იქცევა). (ამოიხიზრებს) სამწუ-
ხარო ისაა – სამწუხარო ისაა, რომ ადამიანებს
ეჩვევი. მათი უბრალო საქციელიც კი შენგან განუყ
ოფელი ხდება. განუყოფელი და საიდუმლოებით
მოცული. (კაცი გადაიწევა ქალისკენ, ცდილობს
აზრებს თავი მოუყაროს) მგონია, რომ.. ალბათ, ძალიან
ბევრი ძველი მოგონებები.. მაგრამ არავის სჭირდება
(სახეს მუცელზე მიადებს. ქალი ისევ თავზე უსვამს
ხელს, ცოტა დამფრთხალია. კაცი თავს ასწევს და
წნებით ჰკოცნის ერთმანეთს). ამ საღამოს რას ვაკეთებთ?

ელისონი: რა გინდა? დავლით?

ჯიში: მე ვიცი, რაც მინდა ახლა.

(ქალი ხელებში მოიქცევს მის თავს და კოცნის)

ელისონი: მოიცა, მოვიცადოთ შესაფერის დრომდე.

ჯიში: ასეთი შესაფერისი დრო აღარ დგება.

ელისონი: ერთ წუთში ქლიფიც დაბრუნდება.

ჯიში: რას გულისხმობდა, რომ გითხრა “არ დაგავი
წყდესო”.

ელისონი: რაღაც მინდოდა მეთქვა შენთვის.

ჯიში: (ისევ კოცნის) ქლიფი მოგწონს, ხომ?

ელისონი: ჰო.

ჯიში: ახლა ის ერთადერთი მეგობარია, ვინც შემომრჩა.

ხალხი მიდის. ვეღარ ვნახულობ. შეიძლება გაიხსენო
უამრავი სახელი- კაცების და ქალების. სკოლაში

იყვნენ უოტსონი, რობერტსი, დეივისი, ჯენი, მედ
ლაინი, პიუ. (პაუზა) და პიუს დედა, რასაკვირველია.
კინაღამ დამავიწყდა. ის ჩვენი კარგი მეგობარი იყო,
ასეც შეიძლება ითქვას. იმის საშუალებაც მოგვცა,
რომ ტკბილეულის მაღაზია გამოგვესყიდა მისგან, და
უუხდით, როცა გვაქვს ფული. შეიძლება ისიც ითქვას,
რომ ჩვენთვის შეიძინა. ძალიან უყვარხარ. ასე შორს
რატომ იჭერ თავს მისგან.

ელისონი: (შეშფოთებულია, ჯიმის განწყობა შეეცვალა)
ჯიმი, გთხოვ, არ დაიწყო!

ჯიმი: (მიშტერებია ქალს, რომელსაც სახეზე მღელვარე-
ბა ეტყობა) რა მშვენიერი ხარ. მშვენიერი, დიდოვა-
ლება ციფვი. (ქალს სახე დაუმშვიდდება, შვებით
ამოისუბთქავს, თავს უკრავს) თხილის მკვნიტავი
ციფვი (ქალი მიმიკით სიამოვნებით გამოხატავს ამ
იდვას) გაწყვირიალებული, ბრწყინვალე ბეწვით და
სირაქლემას ბუმბულით კულზე.

ელისონი: უ-ი-ი-ი-ი-ი!

ჯიმი: როგორ მშურს შენი.

(კაცი დგას, ქალი მკლავებს შემოხვევს კისერზე)

ელისონი: ჰოდა, შენ კიდევ, შესანიშნავი საყვარელი
დათვი ხარ. ნამდვილად შე-სა-ნიშ-ნა-ვი, არაჩვეულებ-
რივი დათვი.

ჯიმი: დათვები და ციფვები არაჩვეულებრივი არიან.

ელისონი: არაჩვეულებრივი და მშვენიერი. (ის ხტუნავს
აღელვებული, და "თათებით" ფესტებს წარმოადგენს)
ო-ო-ო-ო.

ჯიმი: ეგ რაღა ჯანდაბაა?

ელისონი: ასე ცეკვავენ ციფვები, როცა თავს ბედნიერად
გრძნობდენ (ისევე ეხვევიან ერთმანეთს).

ჯიმი: რატომ ფიქრობ, რომ ბედნიერი ხარ?

ელისონი: უცებ ყველაფერი დალაგდა, სულ ესაა, ჯიმი-
ჯიმი: რა?

ელისონი: გახსოვს, გითხარი, რაღაც უნდა გითხრა-
მეთქი.

ჯიმი: მერე? (კარებში გამოჩნდება ქლიფი)

ქლიფი: წინა კარს აღარ გავცილებივარ.. თურმე მის
დრური არ წასულა ეკლესიაში. თავიდან ვეღარ
მოვიცილე. (ელისონს) ვიღაც ტელეფონთან გთხოვს.

ელისონი: ტელეფონთან? ნეტავ, ვინ უნდა იყოს?

ქლიფი: ვიღაც პელინა.

(ჯიმი და ელისონი სწრაფად გახედავენ ერთმანეთს)

ჯიმი: (ქლიფს) პელინა ჩარლზი?

ქლიფი: ჰო.

ელისონი: გამადლობთ. ქლიფ. (მიდის სცენის ზედა მხა-
რეს) ახლავე მოვალ.

ქლიფი: როგორ არა, ბებერი მის დრური არ გამოგიშ-
ვებს. მისი აზრით, ჩვენ სუფთად არ გვქვს აქაურობა
(მიდის და ჯდება საჯარბელში, მარჯვნივ). მეგონა,
ჩაის მომიმზადებდი, შე დამპალო.

(ჯიმი არ პასუხობს). რა მოგივიდა, ბიჭო?

ჯიმი: (ნელა) ის ბოზანდარა.

ქლიფი: ვინ?

ჯიმი: (თავისთვის) პელინა ჩარლზი.

ქლიფი: ვინაა, ეს პელინა?

ჯიმი: ელისონის ძველი მეგობარია და ჩემი დაუძინებე-
ლი მტერი. ჩემს სკამზე ზიხარ.

ქლიფი: სად წავიდეთ დასალევად?

ჯიმი: რა ვიცი.

ქლიფი: ცოტა ხნის წინ თავად არ გინდოდა?
ჯიმი: რა უნდა იმ ქალს? რატომ ურეკავს? სასიამოვნო მიზეზი არ ექნება - კარგი, მალე გავიგებთ. (მაგი დაზე ჯდება) რამდენიმე წუთის წინ თითქოს ცუდად არ ვიყავით. თითქოს საკმაოდ ავივსე სიამოვნებით, რასაც ქალთან ურთიერთობა განიჭებს. მართლა ვამბობ, ასეთი განცდები გიბიძგებს ყველაფერი გააკეთო, არა? ხანდახან მშურს ხოლმე ისეთი ადამიანების, რადაცინ რომ სჯერათ და იმას აკეთებენ. იმას კი არ ვამბობ, რომ მათ გზაზე რაიმე ჯოჯოხეთური სირთულეები არ შეხვდებათ, არა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მათ ნამდვილად აქვთ მიზანი-შეიძლება, არც ისე კარგი, რასაკვირველია. მაგრამ ბევრ მათგანს, როგორც ჩანს, რევოლუციური ცეცხლი უკიდია, რაც უმეტესობა ჩვენთაგანზე არ ითქმის. მაგალითად, უებსტერი. მას არ მოუწონვარ - ასეთებს იშვიათად მოსწონთ ვინმე. (ის ლაპარაკობს ისე, რომ ნახევრად არ უსმენს თავის თავს, რას ამბობს). გაუბედავ და ვიტყვი: მას ეჭვი აქვს, რომ არ აღვიქვამ არც მასხარად და არც ტრაგიკულ გმირად. ის ჰგავს კაცს, რომელსაც საზიზღარი ხალი აქვს და ყველანაირად გჩრის, რომ დაგანახოს, რადგან არ სჯერა, რომ არ გაინტერესებს, ან არ გაფრთხობს ხალის დანახვა. (დაფიქრებული იღებს ელისონის ხელჩანთას, და იწყებს მის ჩხრეკას). ფეხებზე არ მკიდია: თავისი მძორი როგორც უნდა, ისე მიატრიალ-მოატრიალოს. მე ჩემი საკუთარი "საზიზღარი ხალი" მაქვს - მაგრამ სხვა ადვილზე. მე, ალბათ, მემარჯვენე ფრთის გადახრას წარმოვადგენ. თუ ოდესმე დადგება რევოლუციის

ხანა, მე პირველს მიმაყულებენ კელესს, ყველა სხვა საწყალ ბებერ ლიბერალთან ერთად.
ქლიფი: (ელისონის ჩანთაზე მიანიშნებს) ხომ არ ფიქრობ, რომ ეს მისი პირადი საკუთრებაა?
ჯიმი: სავსებით სწორი ბრძანდებით. მაგრამ იცი, რას გეტყვი? როდესაც ადამიანთან ერთად დღედაღამ ცხოვრობ, ეჭვიანი ხდები. ერთადერთი გზა, ზუსტად გაარკვიო რა ხდება, არის - დაიჭირო ადამიანი, როდესაც მან არ იცის, რომ უყურებ. როდესაც ის გარეთ გადის, ყველაფერს ვათვალიერებ - ჩანთებს, უჯრებს, წიგნის თაროებს, ყველაფერს. რატომ? რომ ვნახო: სადმე ვარ? სადმე მახსენებენ თუ არა? მინდა ვავიგო, ხომ არ მღალატობს.
ქლიფი: ჩხუბის მიზეზს ეძებ, არა?
ჯიმი: მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ვიპოვი ამის მიზეზს. (ხელჩანთიდან ამოიღებს წერ ილს) შეხედე! რა სულელი ვარ. დღის განმავლობაში, ყოველ ხუთ წუთში ხდება ასეთი რამ. ის იღებს წერილებს (ასწევს წერილს). წერილებს დედამისის გან, წერილებს, რომლებშიც მე არც მახსენებენ, რადგან ჩემი სახელი მხოლოდ ბინბური სიტყვაა. და ის რას აკეთებს? (შემოდის ელისონი, კაცი მისკენ მიბრუნდება და შეხედავს.)
წერს გრძელ წერილებს თავის დედიკოს და მე არა სოდეს მახსენებს, რადგან მისთვის ჩემი სახელი მხოლოდ ბინბური სიტყვაა.
(წერილს ესვრის ქალს ფეხებში).
აბა, რა უნდა შენს მეგობარს?
ელისონი: ის სადგურშია. ის - აქ მოდის.
ჯიმი: გასაგებია. მან ალბათ გითხრა: "შეიძლება,

თქვენთან მოვიდე?" და შენ, აღბათ, უპასუხე: "ჩემი ქმარი ჯიმი- თუ ნებას მომცემ, ასეთი ბინძური სიტყვა ვიხმარო,- მონარული იქნება გიხილოთ. ერთი კარგად ჩაგთხლიშავს სახეში!" (დგას, გაბრაზების გან თავს ვერ იკავებს, მაგიდას ეყრდნობა)

ელისონი: (წყნარად) ამ კვირაში იპოდრომზე გამოდის მისი თეატრალური ჯგუფი. მას სხვა წასასვლელი არ გააჩნია. სხვაგან ვერსად მოძებნა, სად გაჩერდეს- ჯიმი: არ მჯერა!

ელისონი: ამიტომ ვუთხარი, ჩვენთან მოსულიყო, ვიდრე სადმე სხვაგან მოძებნის. მის ღრურის ერთი თავისუფალი ოთახი აქვს ქვემოთ.

ჯიმი: რატომ აქ არ მოიყვან? უთხარი, თან ჯავშანიც იქონიოს იმიტომ, რომ დასჭირდება.

ელისონი: (აღელვებული) მოკეტე, ახლა, გეყოფა!

ჯიმი: ო, ჩემო ძვირფასო ცოლო, ჯერ კიდევ რამდენი უნდა ისწავლო. იმის იმედილა მაქვს, ერთ დღესაც ისწავლი. თუ რაიმე - რაიმე შეგემთხვევა, და გამოგაფხიზლებს ამ შენი მშვენიერი ძილბურანიდან! (უახლოვდება) ბავშვი რომ გყოლოდა და მომგვდარიყო! დე, გაიზარდოს, ჩვენთვის ნაცნობი ადამიანური სახე წარმოიშვას ამ დონდლო და დანაოჭებული მასიდან. (ქალი მისგან უკან იხევს). მოიცა - ის მაინც დამენახა, როგორ მიიღებდი ასეთ სიტუაციას. ნეტავ, შენ თავად თუ გახდებოდი ჩვეულებრივი ადამიანური არსება. მაგრამ ეჭვი შეპარება.

(ქალი გატრიალდება, გაქვავებული დგას და შემდეგ მიეყუდება გაზქურას მარცხნივ. კაცი ცალკე დგას, უმწეოდ გამოიყურება.)

იცი, თუ მე თავად არ ვყოფილვარ აღზნებული სურ-

ვილით, დიდი სიამოვნება არასოდეს მიმიღია სიყვარულის აქტით. არა, იმიტომ არა, რომ ამ ქალს არ გააჩნია საკუთარი ვნება. მას პითონის ვნება აქვს. მთლიანად გადაგსანსლავს ხოლმე სიყვარულით, ყოველი აქტის დროს, თითქოს მე უზარმაზარი კურდღელი ვიყო. თუ გაინტერესებს, მე თითქოს მისი ჭიპის ირგვლივ წამონაზარდი ვარ, ცოცხლად იქ ჩამარხული და სიგიჟედლე მივდივარ, ჩატკეპნილი ვარ იმ წყნარ ბუდეში. თავად ხმას არ გაიღებს, ერთს არ გაიფროთხილებს- ოდნავდაც არ გამოსცემს ხმას: ხომ არ გვონია, რომ ეს მოუნელებელი მასა გაიტოვებს და რხევას აღძრავს იმ გაბერილი, გამაძლარი ცხოველის სტომაქში? შეიძლება ვინმეში - კი, მაგრამ არა ამ ქალში!

(გადაჭრის სცენას, კარისკენ მიდის).

ეს იძინებს და იძინებს, და ნელ-ნელა გადაშანსლავს, ვიდრე ჩემგან აღარაფერი არ დარჩება. (გადის).

(ელისონი თავს უკან ავლებს, თითქოს დაყვირება უნდა, მაგრამ მხოლოდ პირი რჩება ღია და კანკალებს, ქლიფი უყურებს.)

ფარდა

I მოქმედების დასასრული

მორე მოქმედება
სცენა პირველი

ორი კვირის შემდეგ. საღამოა.
ელისონი დგას გაზქურასთან და ჩაიღნიდან წყალს ასხამს დიდ ფერისდასაყენებელ ჩაიდანში. მხოლოდ ოთახის ფლოსტები აცვია და ფეხშიშველად. პოლის გადაღმა, ოთახში ჯიმი უკრავს ჯაზის საყვირზე, დროდადრო ამოხეთქავს საყვირის ხმა. ელისონს ჩაის დასაყენებელი მიაქვს ცენტრში მდგარი მაგიდისკენ, რომელიც ოთხ კაცზეა გაწყობილი. ორი სავარძლის ირგვლივ ისევ მოუფნილია კვირის გაზეთები. გვიანი შუადღეა, ცხელი ღღის დასასრული. ქალი შუბლს იწმინდავს. ის მარჯვნივ მდგარ ტრელაჟთან მიდის, ერთ-ერთი უჯრიდან ამოიღებს წინღებს და გვერდით პატარა სკამზე ჯდება, რომ ჩაიცვას. ქალი რომ ამას აკეთებს, კარი იღება და ჰელინა შემოდის. ისიც ელისონის ხნისაა, საშუალო სიმაღლის, ლამაზად აცვია, ძვირფასი ტანსაცმელი მოსავს. დრო და დრო, როდესაც თავის თავს უფლებას აძლევს მოდუნდეს, სახეს სითბო გადაეფინება და ძალიან ლამაზია. მისი მატრიარქალური უპირატესობა ყველა მამაკაცს ვინც ამ ქალბატონით დაინტერესდება, არამართო სიამოვნებას ანიჭებს, დიდ შთაბეჭდილებასაც ახდენს მათზე, თითქოს ის გახლდეთ დიდებული სამეფო ოჯახის წარჩინებული წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში, მას საშუალო კლასის ადამიანების ქალურობის სიღიად ადგას, რაც განსაკუთრებით დაცულია მისი ღვთიური უფლებებით, და გვეუბნება, რომ ის აიტანს პარლამენტის და, გონივრულობის ფარგლებში, თავისუფალი მამაკაცების თავფრილობას. სხვა ახალგაზრდა ქალებიც კი, როგორც ელისონია, სათანადო პატივისცემით ექცვიან და ეთაყვანებიან. ჯიმიში კი, მოსალოდნელია, რომ ქალი აღძრავდა კაცის სულის ქენა ინსტინქტებს. ქალი მიჩვეული არაა თავი დაიცვას, როდესაც დაუსტვენენ. მაგრამ მისი ოღნავ გაძლიერებული პასუხისმგებლობის გრძობა

შესაძლებლობას აძლევს, მოიტყვეს ისე, რომ აჩვენოს თავისი ძალა და ღირსება, თუმცა ამით გამოწვეული დაძაბულობა ცოტა აფორიაქებს. ქალს მოაქვს საღაოს დიდი საწური.

ელისონი: ყველაფერი მოაგვარე?
ჰელინა: რასაკვირველია. ხომ იცი, რომ ბოლო კვირაში სულ მე ვამზადებ საჭმელს.
ელისონი: ჰო, შენ ამზადებ. შესანიშნავია, როცა გეხმარებიან. ქალი რომ გეხმარება.
ჰელინა: (მარცხნივ მიდის). მე სიამოვნებით ვაკეთებ. თუმცა, არა მგონია, მიეჩვიო ასეთ პირობებს: წყალი რომ მჭირდება ქვემოთ, აბაზანაში უნდა ჩავიდუ.
ელისონი: მოუწყობელია, არა?
ჰელინა: ჰო, საკმაოდ.
(მწვანე საღაოს იღებს კარაღიდან და ანაწილებს ოთხ თეფშზე). ერთი კაცის მოვლას კიდევ აუხვალ, მაგრამ ორი კაცი უკვე მეტისმეტია.
ელისონი: ქლიფი თავად უკლის თავს, ასე თუ ისე. ფაქტიურად, კარგად მეხმარება.
ჰელინა: ვერ ვიტყვი, რომ თვალში მომხვდა ასეთი რამ.
ელისონი: ახლა შენ თავად აკეთებ ყველაფერს, მე მგონი.
ჰელინა: ალბათ.
ელისონი: რაღაც იოლად შეეთვისე აქურობას.
ჰელინა: რატომაც არ უნდა შეეთვისებოდი?
ელისონი: შენ ასეთ სიტუაციას, მაინცდამაინც, არა ხარ შეჩვეული, არა?
ჰელინა: შენ რა, შეჩვეული ხარ?
ელისონი: ახლა, შენ რაც აქ ხარ, ყველაფერს რაღაც სხვანაირად ვუყურებ.
ჰელინა: მართლა?

ელისონი: ჰო. აქამდე მე ჩემთვის იყავი —
ჰელინა: ახლა მე გყავარ. ხომ არ ნანობ, რომ მთხოვე-
ჩვენთან იყავი?
ელისონი: რასაკვირველია, არა. უთხარი, რომ ჩაი მზადაა?
ჰელინა: ქლიფის ოთახის კარზე დაუაბრაზურე და
დაეუბახე. არ მიპასუხა, მაგრამ მგონი, გაიგონა.
ქლიფი სადაა, არ ვიცი.
ელისონი: (სკამში გადაწევა). მეგონა, აბაზანის შემდეგ
სივრილეს ვიგრძნობდი, მაგრამ ისევე მცხელა.
ღმერთო, ნეტავ ერთი, დაკარგავდეს ამ წყვეულ საყვირს.
ჰელინა: ალბათ, ჩემს ჯიბრზე აკეთებს.
ელისონი: ვიცი, მალე მის დრური გაგვისტუმრებს აქე-
დან. მადლობა ღმერთს, ახლა აქ არ არის. ერთი
მოუსმინე.
ჰელინა: სვამს?
ელისონი: სვამს? (შეშფოთებული) ლოთი არ არის, თუ
ამას გულისხმობ.
(ორივე ჩუმად, საყვირს უსმენენ)
მალე მთელი ქუჩა მოუხტება და კარზე ბრაგა-ბრუგს
აუტეხენ.
ჰელინა: (დაფიქრებული) თითქოს ვიღაცის მოკვლა
უნდაო, ისე უკრავს. განსაკუთრებით, ჩემი. აქამდე
არავის თვალბში არ მინახავს ასეთი სიძულვილი.
შეგეშინდება კიდეც. შეგეშინდება (მიდის საჭმლის
კარადისაკენ პომიდვრის, ჭარხლის და კიტრის
ასალებად) და უცნაურად აგაფორიაქებს.
(ელისონი დგას ტრელაჟის ხარკის წინ და თმას
ივარცხნის ჯაგრისით.)
ელისონი: წინათ საკუთარი ჯაზს-ბენდი ჰყავდა. ვერ
კიდე სტუდენტობისას, ჩემს გაცნობამდე. ვფიქრობ,

სურს ახალი ანსამბლი ჩამოაყალიბოს და სულ
დაანებოს თავი ვაჭრობას.
ჰელინა: ქლიფს უყვარხარ?
ელისონი: (ერთ წუთს შეწყვეტს ვარცხნას) არა. არა მგონია.
ჰელინა: შენ? მეჩვენება, თითქოს რაღაც განსაკუთრებული
კითხვა დაგისვი. ჩვენ ხომ ვმეგობრობთ, შეგეძლო
გულახდილად გეთქვა. შენი დახმარება მსურს მხოლოდ.
იცი რა, ერთად რომ ხართ, ცოტა უცნაურად იქვე-
ვით - ყოველ შემთხვევაში, ბევრს, სულ ცოტა,
უცნაურად მაინც მოჩვენება.
ელისონი: რას გულისხმობ? დაგვინახე, რომ ერთმანეთს
ვეხვეოდით?
ჰელინა: მეჩვენება, რომ ისე აღარ ხართ, როგორც
წინათ იყავით. შეიძლება მას ხელსაც ვუშლი ჩემი
აქ ყოფნით- თუნდაც ჯიბის აქ ყოფნა არაფერში
უშლიდეს ხელს.
ელისონი: ჩვენ მეგობრულად გვიყვარს ერთმანეთი, მეტი
არაფერი.
ჰელინა: ძვირფასო, ნამდვილად? ასე მარტივად არ უნდა
იყოს საქმე.
ელისონი: შენი აზრით, რაღაც გრძნობებიც ურევია?
დაეუშვათ, მაგრამ ეს არაა რაღაც ძლიერი ვნება,
ორივეს რომ გადაგველაპავს. მშვიდი, სიამოვნება-
რევი ურთიერთობაა, თითქოს თბილად ხარ საწოლში.
ისე მოხერხებულად, რომ არც გსურს, გაინძრე სხვა
სიამოვნების მისაღებად.
ჰელინა: მიჭირს დაფიქრო, რომ ვინმე ამდენად გაზარმაცდება!
ელისონი: ვფიქრობ, ჩვენ ვართ.
ჰელინა: ჯიბიზე რაღას იტყვი? ის ხომ შენი ქმარია,
ბოლოს და ბოლოს. ვინდა თქვა, რომ ის ფაქტიურ
რად წინააღმდეგი არაა?

ელისონი: ადვილად ასახსნელი არაა. ამას ჯიმი, ალბათ, ერთგულებას უწოდებს და მოელის, რომ შენც ამ პრინციპით მიუღებო ყველაფერს, რაც მას ეხება. არა მარტო მას, როგორც პიროვნებას, ყველაფერს, რისი რწმენაც მას აქვს, მის აწმოსა და მის მომავალს, მის წარსულსაც; ყველა ადამიანს, ვინც მას აღაფრთოვანებს და ვინც მას უყვარს, და ვინც ყვარება; მეგობრებს, ვინც ჰყავდა და ვისაც მე არც კი ვიცნობდი და ალბათ, არც მომეწონებოდა. მამამისს, რომელიც მრავალი წლის წინ გარდაიცვალა. სხვა ქალებსაც კი, რომლებიც მას ჰყვარებია, გესმის?

ჰელინა: შენ გესმის?

ელისონი: ვცდილობდი, გამეგო. მაგრამ დღემდე ვერ ვახერხებს, თავადაც ისე ადვილად ყველაფერი, როგორც ის ადიქვამს. რაღაც, ვერ ვიჯერებ, რომ ის სწორია.

ჰელინა: ეს თუ გესმის, კიდევ არა უშავს.

ელისონი: ქლიფთან ურთიერთობა მხოლოდ იმიტომ გამოსდის, რომ ქლიფი თავად არის რბილი და საყვარელი, და მართლა მთელი გულით მიყვარს. ეს ჯიმისგან არ მომდინარეობს. ეს მხოლოდ ქლიფის პიროვნული კეთილი თვისებებითაა გამოწვეული. რაც შეეხება ჰიუსს, მასთან დამოკიდებულება სხვაგვარი იყო.

ჰელინა: ჰიუს?

ელისონი: ჰიუს ტენერი. ის და ჯიმი მეგობრები იყვნენ, ბავშვობის მეგობრები. ქალბატონი ტენერი

ჰელინა: ჰიუს დედა?

ელისონი: სწორედ. ნუ, მე და ჯიმი რომ დავკორწინდით ფული არ გვქონდა- ერთი, რვა გირვანქა და რაღაც

ხურდა- და არც ბინა გავვაჩნდა. არც მსახურობდა. უნივერსიტეტი ერთი წლის მიტოვებული ჰქონდა. (ელიმბება.) არა, კი არ მიატოვა. არა მგონია, ჯიმის უნივერსიტეტი ისეთი რანგის იყო, რომ დანანებით მოიხსენიო, "დატოვაო". ჯიმი ამბობს, რომ წითელი აგურითაც კი არ იყო ნაგები, თეთრი კრამიტი ეხურა. ასეა თუ ისე, ჩვენ საცხოვრებლად გადავედით ჰიუს ბინაში, სადღაც საწყობთან ახლოს, ალვის კორში ჰქვია იმ ადგილს.

ჰელინა: მახსოვს, შენი წერილები რომ მომდიოდა, მაგ ადგილის მისამართით.

ელისონი: აი, სწორედ იქ აღმოვჩნდი ჩემი ქორწინების დამეს. პირველივე დანახვაზე მე და ჰიუს არ მოგვეწონა ერთმანეთი, და ჯიმიმ ეს იცოდა. მაგრამ მას ორივე ისე ძალიან ვეამაყებოდა, ისე უნდოდა, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონოდა, რომ იძულებული ვიყავით, ერთმანეთი აგვეტანა. ბავშვით იქცეოდა, სათამაშოებით რომ ტრაბახობს. პატარა საქორწილო სუფრა გავშალეთ, რომელსაც ჩვენ სამნი ვუსხედით და ვსვამდით იაფფასიან პორტვინს, რომელიც სუფრისთვის მოიტანეს. ჰიუს სულ უფრო და უფრო უხეშად იქცეოდა - იშვიათი ნიჭი ჰქონდა, შეურაცხყოფა მოეყენებინა ადამიანისათვის. ჯიმი სულ უფრო ღრმა დეპრესიაში ჩავარდა და მე კი ვიჯექი და ვუსმენდი მათ ლაპარაკს, სულელურად გამოვიყურებოდი და საზიზღარი შეგრძნება დამეუფლა. პირველად ჩემს ცხოვრებაში, მოწყვეტილი ვიყავი ადამიანებს, ვისაც მანამდე ვიცნობდი, ჩემს ოჯახს, ჩემს მეგობრებს, ყველას. და უკან მისასვლელი გზა მოჭრილი მქონდა. დედაჩემსა და მამაჩემთან მანამდე,

რამდენიმე კვირის მანძილზე მთელი აურზაული მქონდა ჯიმის გამო. ვიცოდი, რომ ახლა მათ ველარ მივაღებოდი- სულელურ მდგომარეობაში ჩავიდებოდა თავს. მახსოვს, ეს იყო საყოველთაო არჩევნების წინ და ნაიჯელი კენჭს იყრიდა პარლამენტში. მას არავის თვის არ ეცალა, თავისი საქმით იყო დაკავებული. თორემ, ის კი მომექცეოდა თბილად და იქნებოდა კეთილი ჩემს მიმართ, დარწმუნებული ვარ.

ჰელინა: (ცენტრში მოძრაობს) საყვარელო, რატომ არ მოხვედრი ჩემთან?

ელისონი: მგონი, რაღაც პიესით ტურნეში იმყოფებოდი.

ჰელინა: ჰო, ასე იყო.

ელისონი: იქ გატარებული შემდეგი რამდენიმე თვე კომპარიათ მახსენდება. ვფიქრობ, რბილი ვარ, ადამიანები იოლად მატყენენ გულს და ცოტა სწობიც ვარ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჯუნ-გლებში ჩამავდესო. ვერ წარმოძღვინა, რომ ორი ადამიანი, ორი განათლებული ადამიანი შეიძლება ერთმანეთს მოქტყეოდა ასე ველურად, ასე- ასე უკომპრომისოდ. დედაჩემი ყოველთვის ამბობდა, ჯიმი ძალიან დაუნდობელიაო, მაგრამ დედა არ იცნობდა ჰიუსს. ის ყველაზე დაუნდობელია ადამიანებს შორის- ყველას შორის, ვინც ჩვენთან მოდიოდა. ერთად თუ ისხდნენ, ხელჩართული ბრძოლა მქონდათ. ორივე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მე საზოგადოების იმ მტრული ბანაკიდან ვიყავი, რომელსაც ორივემ ომი გამოუცხადა.

ჰელინა: როგორ ცხოვრობდით მთელ ამ დროს?

ელისონი: მე მცირე შემოსავალი მქონდა შემორჩენილი აქციებიდან, ძლივს გვეყოფნიდა. დედამ მაიძულა, დანარჩენი აქციები მინდობილობით მის სახელზე

გადამეტანა, როდესაც გაიგო, რომ ნამდვილად ვაპირებდი, ჯიმის გავყოლოდი ცოლად.

ჰელინა: წარმომიდგინა.

ელისონი: ამ ვაჭირებიდან გამოსავალს მალე მიაგნეს. შესანიშნავი კომპანია იყო. ჩემი საშუალებით თავს აპატიჟებინებდნენ სხვადასხვა ადამიანს, ნაიჯელის და ჩემს მეგობრებს, მამაჩემის მეგობრებს, ნუ, ყველას: დადიოდნენ არკსლენებთან, ტარნატებთან, უეინებთან -

ჰელინა: იმ უეინებთან?

ელისონი: ყველასთან, ვისაც კი ვიცნობდი. თქვენს ოჯახში არ ყოფილან, ასეთი ცოტა იქნება. სადაც კი მიდიოდნენ, მათთვის ყველგან მტრული ტერიტორია იყო, და მე მძევლად მიყენებდნენ. დაიწვევდით მსვლელობას ალკების კორომში მდებარე ჩვენი შტაბიდან სხვადასხვა პუნქტისაკენ აღმოსავლეთში, დასავლეთში, სამხრეთსა და ჩრდილოეთში. ჩემი სახელით, დაუპატიჟებლად გამოვცხადდებოდიოთ ხოლმე კოკტეილის და უიკენდის თავყრილობებზე, რამდენ ჯერმე სახლში გამართულ წვეულებებსაც შევეუერთდით. სულ მქონდა იმედი, რომ ვინმეს ეყოფოდა გამბედაობა და ცხვირწინ მოგვიჯახუნებდა კარს, მაგრამ არა. ისინი კარგად აღზრდილი იყვნენ, და, ალბათ, მეც ვეცოდებოდი. სწორედ ამიტომ, ჰიუსს და ჯიმის ისინი ეზიზღებოდათ. ასე ვაგრძელებდით მათ ძარცვას, ვსანსლავდით მათ საჭმელს და სასმელს, ვეწოდით მათ სიგარებს, მოკლედ, არამზადებივით ვიქტეოდით. ჰო, დიდად კმაყოფილი იყვნენ.

ჰელინა: ეჭვი არ მეპარება.

ელისონი: ჰიუს წარმატებით ასრულებდა ბარბაროსი დამპყრობლის როლს. ზოგჯერ, მგონია, სიამოვნებითაც

გამოეწყობოდა შესაფერის კოსტიუმში- მაგალითად, მოიღებდა ბეწვს, დაიხურავდა წაწვეტილებულ შლეშს, გაიკეთებდა ხმაღს. ერთხელ მოხუც მენ უეინს ხუთგირვანქიანიც კი წაგლიჯა. შანტაჟით, რასაკვირველია. რაზეც გინდოდა, ხელს მოგიწერდნენ, ოღონდ თავიდან მოვეშორებიანთ. იმ კაცს უთხრა, რომ ბინიდან გვაგდებდნენ, რადგან ბინის ქირა არ გვქონდა გადახდილი. ისე, ეს მაინც იყო სიმართლე.

ჰელინა: შენი არ მესმის. ალბათ, გიჟდები. ელისონი: მართლა მეშინოდა, არ გავკვირდებოდი.

ჰელინა: როგორ აძლევი ნებას, ასე მოქცეულიყვნენ!

როგორ იტანდი მათ უსაქციელობას! ის მაინც თუ მოახერხებ, რომ ვერცხლის ნივთები არ მოეპარათ?

ელისონი: ოჰ, ძალიან კარგად ფლობდნენ თავისი პარტიზანული მოქმედებების ტაქტიკას. ერთხელ არკსდენებთან ჰიუმ სცადა ეცდუნებინა ერთი ნორჩი არსება და ეს იყო ერთდღერთი შემთხვევა, როდესაც ასეთუ-ისე გამოგვაპანდურეს.

ჰელინა: დაუჯერებელია. არ მესმის შენი როლი მთელ ამ საქმიანობაში. შენ რატომ მონაწილეობდა ამაში? აი, ეს არ მესმის. რატომ-

ელისონი: გავყევი ცოლად? ალბათ, ერთი ექვსი მიზეზი მაინც იყო. როდესაც ოჯახი დაბრუნდა ინდოეთიდან, ყველაფერი - არც კი ვიცო, როგორ ვთქვა- ყველაფერი მოუწესრიგებელი იყო. იცი, მამაჩემი რაღაცნაირად შორს იდგა და არაფერი აღუღებდა. დედაჩემი კი- ზომ იცნობ დედას. საზრუნავი თითქმის არ მქონდა. როგორც ჯიმი ამბობს, ისიც არ ვიცოდი, რომ მე გამაჩინეს. ერთ წვეულებაზე შევხვდი. ისე კარგად მახსოვს. ოცდაერთის ვხვდები. სუფრაზე თავშეყ-

რილი მამაკაცები, რაღაცნაირად, უნდობლად უყურებდნენ, და ქალებიც ცდილობდნენ, ზიზღი გამოეხატათ ამ საკმაოდ უცნაური ქმნილებისადმი, თუმცა არ იცოდნენ, როგორ. ველოსიპედით მოვედიო წვეულე ბაზე, მითხრა- კოსტიუმზე, რომელშიც სუფრაზე დასასწრებად იყო გამოწყობილი, ზეთოვანი ლაქები ჰქონდა. ისეთი მშვენიერი დღე იდგა, და ის კი მზეზე იყო გარუჯული. თითქოს, მის ყველაფერს გარუჯული ფერი ჰქონდა: სახეს, თმის ძირებს, რომლებიც უბრწყინავდა და თითქოს თავზე აფშეკილიყო; თვალები ისეთი ლურჯი ჰქონდა და მზე ედგა თვალებში. ახალგაზრდა და სუსტი ჩანდა, თუმცა ტუჩებს დაღლილობის დარი კვეთდა. ვიცოდი, რომ ბევრად ზედმეტ ტვირთს ვიკიდებდი, ვიდრე შევძლებდი ტარებას, მაგრამ, რაღაცნაირად, არჩევანი არ მქონდა. იცი, ოჯახში რომ ატყდა ერთი ამბავი, გაბრაზდნენ და გაოცდნენ, ამანაც იმოქმედა. მაინტერესებდა - ნეტავ, მართლა თუ ვუყვარვარ-მეთქი, ამანაც იმოქმედა. მან გადაწყვიტა, ცოლად მოვეყვანე. ოჯახმა ყველაფერი გააკეთა, რაც კი მოიფიქრეს, რომ შევერებინე.

ჰელინა: სასიამოვნო საქმიანობა არ იქნებოდა. მაგრამ ზომ გესმის, რატომაც აკეთებდნენ.

ელისონი: ჯიმი იბრძოდა გამალებული- ნაჯახი მოიმარჯვა და იქნედა თავს ირგვლივ- თავი კი სუსტი და ცეცხლოვანი ჰქონდა, ამის მსგავსი არაფერი მენახა. თითქოს, ეს იყო ძველი ამბავი ბრწინვალე იარაღის- მუღი რაინდისა- მხოლოდ, იარაღი არც ისე ბრწყინვალე ჰქონდა.

ჰელინა: ჰიუ რას აკეთებდა?

ელისონი: ურთიერთობა ჩვენს შორის სულ უფრო

უარესდებოდა. ის და ჯიმი ნაიჯელის პოლიტიკურ მიტინგებსაც კი დაესწრენ. მათ ქუჩაზე ხომ ალვის ხეებია და ალვის ხის ტოტებისგან შეკრული თაიგულები მიჰქონდათ და ნაიჯელის მიტინგს ფანტავდნენ. ჰელინა: ეს კაცი მართლა ველურია!

ელისონი: იცი, ჰიუ წერდა რომანს თუ რაღაცას, და გადაწყვიტა, რომ უნდა წასულიყო საზღვარგარეთ-არ ვიცი, ჩინეთში, თუ სადღაც გადაკარგულ ქვეყანაში. მან თქვა, ინგლისი ჩვენთვის უკვე უმაქნისაო. ქვეყანა დაბრუნდაო ინგლისში, მაგალითად ქალბატონ ელისონის ხალხი, როგორც ის ამბობდა. ერთადერთი იმედი წარმატებას მივალწიოთ ისაა, აქედან თუ გავალწვეთ და სხვაგან ვცდიოთ ბედს. მას უნდოდა, რომ მასთან ერთად წავსულიყავით, მაგრამ ჯიმიმ უარი თქვა წასვლაზე. ამას დიდი ალიაქოთი და ჩხუბი მოჰყვა. ჯიმიმ ბრალი დასდო, გელატობო, სწორი არა ხარ, რომ სამუდამოდ მიდიხარ და დედას მარტო სტოვებო. საერთოდ, ამ იდეამ აღამფოთა ჯიმი. რამდენიმე დღეს ჩხუბობდნენ ამ საკითხზე. ნეტავ ორივე წასულიყო და ჩემთვის თავი დაენებებინათ. ბოლოს, შეწყვიტეს ჩხუბი. რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენ აქ გადმოვედით, ჰიუ კი მარტო წავიდა ახალი ათასწლეულის საბუნებლად. ხანდახან ვუიქრობ, რომ ალბათ, ჰიუს დედა მე მამრალებს ამ ამბავს. მე მგონი, ჯიმიც, თუმცა არასოდეს უთქვამს ეს. არასოდეს არ ახსენებს. მაგრამ როდესაც კი ის ქალი შემხედავს ხოლმე, ეგრძობ, რომ ფიქრობს: "შენ რომ არა; ყველაფერი კარგად იქნებოდა. ჩვენ ბუნებრივი ვიქნებოდითო." კი არ მეჯავრება ის ქალი არა. ფაქტიურად, ძალიან თბილად მექცევა. ჯიმი მას

აღმერთებს, რადგან ის ქალი მთელი სიცოცხლე უბედურია, და გუწრფელად რომ ვთქვა, სრულიად უვიცია. კარგად შესმის, ამას რომ ვამბობ, როგორი სნობი ვჩანვარ, მაგრამ ნამდვილად ასეა.

ჰელინა: ელისონ, მომისმინე. უნდა გადაწყვიტო, რას აპირებ. შენ ბავშვი გეყოლება და ახალი პასუხისმგებლობა გაგიჩნდება. წინათ სხვა იყო მხოლოდ შენ იყავი. ახლა ასე ველარ გააგრძელებ ცხოვრებას. (მიუბრუნდება)

ელისონი: იცი, როგორ დავიღალე. მეშინია, ოთახში არ შემოვიდეს.

ჰელინა: რატომ არ ვითქვამს მისთვის, რომ ბავშვი გეყოლება?

ელისონი: არ ვიცი. (უცებ ამბობს, თითქოს ხედება, რა გაიფიქრა ჰელინამ) არა, ნამდვილად მისია. არავითარი ეჭვი არ მაქვს. იცი - (იღიძება). არასოდეს მქონია სურვილი, სხვა ვინმე მყოლოდა.

ჰელინა: მომისმინე, ძვირფასო - უნდა უთხრა. ან ამ კაცმა უნდა ისწავლოს, მოიქცეს, როგორც სხვები იქცევიან, და მოგხედოს -

ელისონი: ან?

ჰელინა: ან უნდა გაეცალო ამ საგიჟეთ-სახლს, (საყვირი თანდათან უფრო ხმამაღლა უკრავს.) ამ სამხეცეს. მაგ კაცმა არც სიყვარული იცის, რა არის და არც სხვა რამე.

ელისონი: (უთითებს კომოდზე მარჯვნივ) ხედავ იმ დათუნას და იმ ციყვს? ის ჯიმი და ის მე ვარ.

ჰელინა: რას გულისხმობ?

ელისონი: ასე ვთამაშობთ: დათვები და ციყვები, ციყვები და დათვები. (ჰელინა საკმაოდ დაბნეული ჩანს) შესმის, სიგიჟეა, სრული სიგიჟე (ორივე ცხოველს

იღებს ხელში) ეს ჯიბია .. და ეს —მე..

ჰელინა: არ მეგონა, თუ ის ასე განწირული იყო, როგორც ყველაფერი აქ.

ელისონი: არა, ჯიბის არაფერი არ სჭირს განწირულობის. უბრალოდ, ესლა დაგვრჩენია. ან დაგვრჩენოდა. დათვები, და ციყვებიც კი, თავ-თავის გზას დაადგნენ

ჰელინა: რაც მე ჩამოვედი?

ელისონი: ეს მაშინ დაიწყო, ერთად მარტო ყოფნის პირველ თვეებში- მას შემდეგ, რაც პიუ საზღვარგარეთ წავიდა. ამ გზით დავაღწიეთ თავი სიტუაციას - ვით უწმინდურ სამალავში შემპვრალმა ცხოველებმა. ვიქნებოდით ბეწვიანი პატარა ცხოველები, ბეწვ მოდებული პატარა ტვინით. ურთიერთის მიმართ გვექნებოდა უტყვი, მარტივი გრძნობა. ვიქნებოდით მხიარული, უზრუნველი ქმნილებები ჩვენს საკუთარ, კომფორტულ ზოპარკში ორისთვის. სულელური სიმღონია ადამიანებისათვის, რომლებსაც აღარ შეეძლოთ, აეტანათ ადამიანურ არსებად ყოფნის ტვივილი. და ესენი, თუმცა უტყვი არიან, მაინც მეცოდებიან, საწყალი პატარა ცხოველები. მხოლოდ სიყვარული შეეძლოთ, ტვინი არ ჰქონდათ. (უკანვე დებს მათ).

ჰელინა: (მკვავში ჩააელებს ხელს) მომისმინე. უნდა შეებრძოლო მას. შეებრძოლე ან გაეცალე. სხვანაირად ის ნამდვილად მოგკლავს. (შემოდის ქლიფი)

ქლიფი: შენც აქ ხარ, ძვირფასო. გამარჯობა, ჰელინა. ჩაი მზადა?

ელისონი: დიახ, საყვარელო, ყველაფერი მზადაა. ჯიბის გასმაზე, თუ შეგიძლია.

ქლიფი: ახლავე. (გაჰყვირის კარებში) ეი, შე ურჩხულო! შეწყვიტე ეგ საშინელი ხმაური და მოდი და დალიე

ჩაი! (ცენტრისგუნ გამოდის) რა, სადღაც მიდიხარო? ჰელინა: (მარცხნივ მიდის) დიახ.

ქლიფი: კინოში?

ჰელინა: არა.(პაუზა) ეკლესიაში.

ქლიფი: (მართლა გაკვირვებული) ოჰ, გასაგებია. ორივე?

ჰელინა: დიახ. წამოხვალ?

ქლიფი: იცი რა.. მე- მე ვერ წესიერად არ ვადამიკითხავს გაზეთები. ჩაი, ჩაი, ჩაი! მოდი, ჩაი დავლიოთ, არ გინდათ?

(ვდება მაგიდის თავში, სცენის სიღრმეში. ჰელინა დებს ოთხ თვეშს სალაით, ვდება მარცხნივ და ისინი იწყებენ ჭამას. ელისონი მაკიაჟს იკეთებს ტრელაჟის წინ. ჯიმიც შემოდის. თავის საყვირს დებს წიგნების თაროზე და მიდის მაგიდის ბოლოსკენ.) ბიჭს გაუ მარჯოს. მოდი დალიე ჩაი. დალახვროს ეშმაკმა, ეს საყვირი, შეჩურთე რა სადმე, ეგ ოხერი.

ჯიმი: შენ ის ძალიანაც მოგწონს. ვისაც არ მოსწონს ნამდვილი ჯაზი, მას არავითარი შეგრძნება არ აქვს მუსიკის ან ხალხი არ მოსდის თვალში.

(ვდება მაგიდის ბოლოში, მარჯვნივ)

ჰელინა: რა სისულელეა.

ჯიმი: (ქლიფს) ეს ადასტურებს იმას, რაც მე ვთქვი.

იცოდი, რომ უბესტერი ბანჯოს უკრავს?

ქლიფი: არა, მართლა?

ჰელინა: შემდეგში რომ მოვალ, მოვიტანო.

ელისონი: (ჩაილაპარაკებს) ოჰ, არა.

ჯიმი: რა ხდება, რატომ არ იცის არავინ, როგორ მოეყრას გაზეთებს? ერთი შეხედე. ვერ არც კი დაძითვალღიერებია- მთავარი გამოცემები, ყოველ შემთხვევაში.

ქლიფი: შეიძლება, გადავიკითხო ნიუ -

ჯიმი: არა, არ შეიძლება! (ხმამალლა) ადამიანს გინდა, რომ შენ გკონდეს, რისთვისაც ფული გადაიხადე.

მეც ხომ გადავიხადე. მისი ფასი —

ქლიფი: მისი ფასია 9 პენსი, და მისი ყიდვა შეიძლება ნებისმიერ ჯიხურში! შენ ხარ ბოროტი ბებერი, აი, ეს ხარ შენ.

ჯიმი: ისე, რად გინდა, რომ კითხულობ? ტვინი შენ არ გაქვს, და ინტერესები არ გაწუხებს. ვითომ, თავი გისკდება, არა? სწორი არა ვარ?

ქლიფი: სწორი ხარ.

ჯიმი: ერთი უელსელი ნაგავი ხარ.

ქლიფი: ჰო, არარაობა ვარ, მეტი არაფერი.

ჯიმი: არარაობა ხარ? ჯანდაბას, შენ პრემიერ მინისტრი უნდა ყოფილიყავი. შენ უნდა გესაუბრა ჩემი მეუღლის რომელიმე მეგობართან. ისინი ხომ მაღალი ინტელექტის ადამიანები არიან, არა? მე შეგხვედრივარ (ქლიფი და ჰელინა განაგრძობენ ჭამას)

დასხდებიან და ნახეთ, როგორი ინტელექტუალური ვართო, დააწყობენ თავიანთ ინტელექტუალურ ხელლებს ერთიმეორის მუხლებზე და ისე მსჯელობენ სექსზე, ვითომ ფუგის ხელოვნებას განიხილავენ. თუ არ გინდა, ემოციებით სავცე გაუთხოვარს დაემსგავსო, დაუჯერე მამას!

(იწყებს ჭამას. ორი ქალის უსიტყვო მტრული განწყობით გრძნობს, რომ მონახა მათი გამაღიზიანებელი თემა და ჩანს, ეს ამზიარულებს; ხანდახან მის ხმაში გამოჟონავს ეს განწყობა.)

იცოცხლე, გენაცვალე, რა არის შენი პრობლემა? ზედმეტად გსურს, ასიაძოვნო.

ჰელინა: მაგლობა ღმერთს, ვილაცას მაინც სურს.

ჯიმი: შენ დაამთავრებ, როგორც რომელიღაც ტკბილი საჭმელი, ჩემს ცოლს ასე ძალიან რომ უყვარს. ჩემი ცოლი — თითქოს ტატამზე ზის ჩემს უკან. გარედან ტკბილი და წებოვანია და, აბა, ჩაასვი კბილები შიგ (თითოეულ სიტყვას გემოს ატნევს), შიგნი სულ უფერულია, ბლანტი და გულისამრევი. (ტკბილად შესთავაზებს ჰელინას) ჩაი?

ჰელინა: გმადლობთ.

(კაცი უღიმის და უსხამს ჩაის ფინჯანში.)

ჯიმი: აი, ასე დაამთავრებ, ჩემო კარგო: გაბინძურებული გულით, გაბოროტებული გონებით და ამორალური.

ჰელინა: (ართმევს ფინჯანს) გმადლობთ.

ჯიმი: და ეს ძველი მეგობრები, შენი მეგობრები და ჩემი, დაამთავრებენ, როგორც მლიქვნელები, ფლეგმატურები და რასაკვირველია, რაც უძთავრესია, პუსილანძმუსები.

ჰელინა: (ელისონს) აღარ აპირებ ჩაის დალევას?

ელისონი: მალე მოვალ.

ჯიმი: დღეს ახალი სიმღერის სათაური მოვიფიქრე:

“თავს დაანებებ ჩემს დახლთან ბოდილს, მილდრედ, რადგან ნახავ ჩემი სამსახურის კარს დახშულს”.

(მიუბრუნდება ელისონს) კარგია?

ელისონი: ოჰ, ძალიან კარგია.

ჯიმი: ვიფიქრე, მოეწონება-მეთქი. ანგელოზის ტყავში რომ შეეძებებოდე, დიდი ამაგი იქნება. (ჰელინას) ასე არ ფიქრობ? ალბათ, იქ დამეხმარებოდი. (არ პასუხობს.) იქნებ, ლექსი რომ გითხრა, ეს უკეთ გაგარკვევს. აბა, მომისმინე, აი, ლექსიც:

ისე დავილაღე ხვევნა-კოცნით,
წამდაუწუმ ასე მიდი-მოდით,
შემეპარა ნაღველი გულს,
მოდი მასვი რაიმე, თუ

გული გერჩის, გული გიბგერს.
დავიღალე, რომ ვარ ჰეტერო,
გავაქანო, ერთი, მეტერო,
მოდი მასვი რაიმე.
სულ ბოზობა, თახსირობა,
გადამქანცველი ოზრობა,
გამოეცალე პიტონს დაგრეხილს
და გადმომეცი ზეთი სიწმინდის.
თავი ანებე და ა.შ. არ ვარგა?

ქლიფი: ძალიანაც კარგია, ბიჭი.

ჯიმი: ჰო, კარგია და იცი, რა მინდოდა მეთქვა - ეს ლექსი დაეწერე გუშინ, ბაზარში ყოფნისას, თუ გაინტერესებს, და მე მგონი, ნამდვილად გაინტერესებს. (ქელინას) განსაკუთრებით თქვენ უნდა მოგეწონოთ. დანტეს თეოლოგიაშია ჩაფლული და ელიოტის გაელენაც დაჰკრავს. ასე იწყება "არ გვყავს მწმენდავები კამბოჯაში?"

ქლიფი: რა უწოდე?

ჯიმი: "მიწის გადასახადების ფონდი". მგონია, ამ ფონდში ჩამაგდეს, იცი-

ქლიფი: ძალიან კარგი, მოგიხდება, თუ ჩაგაგდეს.

ქელინა: (ჯიმის) ასე რატომ ცდილობ, რაც შეიძლება უსიამო იყო? (ჯიმი მკვეთრად მოუბრუნდება, უხარია, რომ ასე მალე წამოეგო ქალი ანკესზე - ჯერ ვერ დაწყნარებულა)

ჯიმი: რაშია საქმე?

ქელინა: რატომ გინდა, სულ შეურაცხყოფა მოგვაყენო?

ჯიმი: ახლა რაც ვთქვი, იმაზე ამბობ? ამით შეურაცხყოფას გაყენებთ? კარგად ვერ მაფასებ. (ელისონს მოუბრუნდება) ხომ ვერ მაფასებს?

ქელინა: ჩემი აზრით, ძალიან მომქანცველი ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით.

(მცირე პაუზა. სიამოვნება მოუფინება სახეზე ჯიმის. ხარხარებს)

ჯიმი: ღმერთო, ღმერთო! ჩემი ცოლის მეგობრები! თუ შეიძლება, გადააწოდეთ ლეიდი ბრეკენელს კიტრის სენდვიჩი!

(ჭამას განაგრძობს, მაგრამ ინტერესით აღევნებს თვალს, როგორ ეძხადება ელისონი სარკის წინ. უბრალოდ მიტრიალდება და გამოელეპარაკება) გარეთ გადიხარ?

ელისონი: დიახ, ვაპირებ.

ჯიმი: კვირა საღამოს ამ ქალაქში? ნეტავ, სად ჯანდაბაში შეიძლება წახვიდე?

ელისონი: ჰელინასთან ერთად გავდივარ.

ჯიმი: ეს არაა, სად მიდიხარ, ესაა - ვისთან ერთად გადიხარ.

(ელისონი მიდის მაგიდასთან, ჯდება ცენტრში. ჯიმი წინ გადაიხრება და ისევ მიმართავს)

მე არ მიკითხავს, ვისთან ერთად მიდიხარ-მეთქი. მე გკითხე, სად მიდიხარ-მეთქი.

ქელინა: (მტკიცე ხმით) ის ეკლესიაში მიდის.

(ჯიმი რაღაც თავისებურს კი მოელოდა, მაგრამ ამის გაგონებაზე ისიც ისევე გაკვირვებული რჩება, როგორც ქლიფი რამდენიმე წუთის წინ.)

ჯიმი: სად მიდიხარ? (სირუშე) რა, გავგიჟდი, თუ რაშია საქმე? (ქელინას) გადაწვიტე, შენს ჭკუაზე ატარო, არა? ახლა, ამას აკეთებინებ! სუსტი ნებისყოფის ნახე, არა? (თანდათან ბრაზი ერევა.) როდესაც ვფიქრობ, რა გავაკეთო, რა გადავიტანე, რომ შენ ამომეყვანე -

ელისონი: (გრძნობს, რომ მასზე თავდასხმა მზადდება, სწრაფად შეესიტყვება) დიახ, დიახ, ყველამ ვიცით, რა გააკეთე ჩემთვის. შენ გამომგლიჯე სასტიკ კლანტებს ჩემი ოჯახის, ჩემი ყველა მეგობრის! ალბათ, ჩავლპებოდი სახლში, შენ რომ არ გაგეჭვნებინა შენ რაში და არ მოგეტაცებინე!

(ქალის ხმაში გაუღერებულმა სარკაზმმა ცოტა გონს მოიყვანა კაცი. ახლა უფრო მშვიდი ხმით ლაპარაკობს.)

ჯიმი: სასაცილო ისაა, რომ მე მართლა დამჭირდა, გამეჭვნებინა თეთრი რაში - და მართლა თეთრი რაშით გამეტაცებინა. დედამისმა ჩაჰკეთა თავის რვა-ოთახიან ციხე-სიმაგრეში, ასე არ იყო?

საზღვარი არა აქვს, რა შეუძლია გააკეთოს საშუალო ასაკის დედიკომ წმინდა ჯვაროსნულ ომში ჩემნაირი ხულიგანის წინააღმდეგ. დედიკომ და მე ერთი თვალი შევაველეთ ერთმანეთს და მას შემდეგ რაინდობის ეპოქა დასრულდა. ვიცოდი, თავისი უცოდველი ქალიშვილი რომ დაეცვა, ის არც დაფიქრდებოდა, ისე გამაცურებდა, მომატყუებდა, დამამინებდა და დამამანტაუებდა. ჩემით, ახალგაზრდა უფულო კაცით, შეშინებულმა, შეშინებულმა ჩემი წარსულით და თუნდაც გარეგნობით, შრომაში გატანჯული მარტორქასავით დაიბდავლა იმხელაზე, რომ მამალი მარტორქები რამდენიმე მილის იქითაც გათეთრდებოდნენ და ფიცს დადებდნენ, ცოლს საერთოდ არ მოვიყვანო. და მაინც, მე სრულად ვერ შევაფასე მისი ძალა. შეიძლება გარეგნულად დედიკო კარგად ნაპატივები და ცოტა მოთლათნილი ჩანს, მაგრამ ნუ გაგაცუცურაკებთ ეს კარგად აღზრდილი ღორბუცეკლა. ამ ყველაფრის ქვეშ, ჯავშანში ზის -

(გაავებული მისწვდება რაღაცას, თითქოს იმით ჰელინას მოგუდვა სურსო).

ის ქალი ისეთი აყროლებულია, როგორც დამე ბომბეის ბორდელში, და ისეთი ჩაქვავებული, როგორც რაღაც გაფშიკინებული საჭმლის ნარჩენი. შეიძლება იმ ჯანდაბა ცისტერნაში იყოს და თითოეულ სიტყვას იწერდეს, რასაც ვამბობთ. (ფხვს ჰკრავს ცისტერნას). აბა, დედიკო, გესმის ჩემი? (ჯდება ზედ, და ურტყამს, თითქოს დოლი იყოს.) იჯდეს იქ. ნება მომეცით, ამ ქალბატონის ტაქტიკა გაგაცნოთ. შეიძლება თქვენ შეამჩნიეთ, რომ მე საკმაოდ გრძელ თმას ვატარებ. თუ ჩემი ცოლი წესიერი ადამიანია, ან ნორმალურადაა განწყობილი ჩემს მიმართ, აგიხსნით, რომ ეს არაა გამოწვეული იმით, რომ მე რაღაც ბნელ, არაბუნებრივ ინსტინქტებს ვვლობ, არამედ იმით, რომ ა) მე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალი მაქვს ვიდრე ის, რომ თრი საათი თმის შეჭრაზე დავხარჯო და ბ) მე გრძელი თმა მირჩევნია. მაგრამ ასეთი უბრალო ახსნა სრულიად მიუღებელი იყო დედიკოსთვის. ჰოდა, დაიქირავე დეტექტივი ჩემს სათვალთვალოდ, და ცდილობდა მოეპოვებინა ინფორმაცია, რაც შეიძლებოდა მოხვედრილიყო მსოფლიოს ახალ ამბებში. ასე რომ, ყველაფერს აკეთებდა, რომ მე არ მომეჩერებინა და მისი ქალიშვილი ჩემი საცოდავი ბებერი რაშით არ წამეყვანა, სამარცხვინო ვნებებითა და იდეალებით შეკაზმულს! ეს ბებერი, რუხი ცხენი ერთდროს ძლიერი რაში იყო, მაგრამ ახლა ის აღარაა, რაც იყო. რაღა შეეძლო საწყალს, მე თუ მზიდავდა, თორემ შენი წონა (ელისონს) მეტიმეტი იყო მისთვის. მკვლარი დაეცა გზაზე.

ქლიფი: (წყნარად) კარგი, რა, ბიჭო, არ გინდა აყალ-მაყალი. რაში გამოგადგება.

ჯიმი: რატომაც არა? ესღა დამრჩენია, სხვა რაღა შემიძლია?

ქლიფი: ჯიმი, ბიჭო.

ჯიმი: (ელისონს) იმ ცოდვებით საესე არამზადამ ვაჯობა, არა? ისე იმის ტკუაზე დადიხარ, არა?

ქელინა: ღვთის გულისათვის, რა ხულიგანივით იტყევი! რა უფლება გაქვს, დედამისზე ასე ილაპარაკო!

ჯიმი: (ახლა ყველაფრის ჩამდენია) ყველა უფლება მაქვს. ის ბებერი ბოზი მკვდარი უნდა იყოს!

(ელისონს) აბა, სწორი არა ვარ?

(ქლიფი და ქელინა დაძაბული უყურებენ ელისონს, ის კი თავის თეფშს მიშტერებია)

გაიგონე? ის ბებერი ბოზი მკვდარი უნდა იყოს-მეთი. რა დაგემართა? რატომ არ წამოხტები მის დასაცავად?

(ქლიფი წამოიჭრება და მკლავში ჩაჰკიდებს ხელს)

ქლიფი: ნუ, ჯიმი!

(ჯიმი გაიქნევს ხელს და მოიცილებს ქლიფს, რომელიც ძალაგამოცლილი ჯდება, თავს მიაბრუნებს და ხელს დაეყრდნობა.)

ჯიმი: ვილაცას რომ ეთქვა რაიმე მსგავსი ჩემს შესახებ, მაშინვე ჩავარდებოდა თავის ჩვეულებრივ ლიტარგიულ მღვდომარეობაში და სიტყვასაც არ იტყოდა! გაიგონე, მკვდარი უნდა იყოს —მეთქი. (შეჩერდება, თითქოს სურს ძალა მოიკრიბოს შემდგომი ახალი შეტევისათვის და ძალას ინახავს ნოკ-აუტისთვის.) დმერთო ჩემო, მატლები რომ დაეხვევიან, კაი ბლომად მარ-ილი დასჭირდებათ, რომ მის სხეულში იძრომიადლონოკ, რა მუცლის გვრემა ავიტყვებათ, ჩემო პატარა მატლებო! ელისონის დედა გზამია! (კომიკური მიხრო

ბელის ხმით ლაპარაკობს.) ეს ქალი მიიცვლება, ჩემო მეგობრებო, და ჩამწკრივებული მატლების კუდი გაჰყვება უკან, გამაწმენდელით - განსაწმენდელისაკენ. (ელისონს ღიმილით დაჰყურებს, ქალი არ რეაგირებს. ქლიფი ვერ უყურებთ. მხოლოდ ქელინა შეხედავს ჯიმის. იმ ორს ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ ქელინას მიმართავს.)

რაიმე მოხდა?

ქელინა: მომბეზრდა, ყველაფერი მომბეზრდა. დავიღალე ზიზღით და სიძულვილით.

(ჯიმი გრძნობს, რომ ქელინა ეწინააღმდეგება და გაფანტული მისკენ იყურება.)

ჯიმი: ერთხელაც, როდესაც დღეებს აღარ გაკატარებ ტკბილეულის დახლთან, ალბათ დაეწერ წიგნს ჩვენზე. ყველაფერი აქაა დაგროვილი. (შუბლზე ხელს ირტყამს.) ცეცხლის ალშია დაწერილი, უსაშველო ცეცხლის ალში. სიმშვიდეში არ გამოიმცხადება ეს ხატება, უოდზუთის ნარცისების მოკრეფისას. გამახსენდება ცეცხლსა და სისხლში. ჩემს სისხლში.

ქელინა: (ფიქრობს, ჯობს მოთმინებით მოეკიდოს და სიმშვიდე აღადგინოს) მხოლოდ ის თქვა, რომ ჩემთან ერთად ეკლესიაში მოდის. არ მესმის, ამან ასე უზომოდ რატომ გაგაღიზიანა.

ჯიმი: არ გესმის? იქნებ ისეთი გონიერი არ ხარ, მე რომ მგონია.

ქელინა: შენი აზრით, ცხოვრება ცუდად მოგექცა?

ელისონი: (სახეს მიაბრუნებს მარცხნივ) ნუ ეცდები, წაართვა ტანჯვის უფლება- ამის გარეშე დაილუქება. (ჯიმი გააკვირვებული შეხედავს, მაგრამ ისევ ქელინას მიუბრუნდება. ელისონის ჯერი შემდეგ დადგება.)

ჯიმი: როგორც ვიცი, თქვენი ტურნე შაბათს დაბთავრდა?
ჰელინა: დიახ.

ჯიმი: ფაქტიურად, რვა დღის წინათ.

ჰელინა: ელისონმა მთხოვა, დარჩიო.

ჯიმი: რას აპირებ?

ჰელინა: ხომ არ გგონია, რომ დღეისთვის უხეშობა გეყოფა!

ჯიმი: (ელისონს) შენ ხომ იცი, რომ ეს ყველაფერი სისულელეა.. რატომ არ გჯერა არაფრის. ჯიბრზე აკეთებ ყველაფერს, არა? რატომ- რატომ აძლეე უფლებას, ასეთი გავლება ჰქონდეს შენზე?

ელისონი: (სიჩუმეს დაარღვევს) რატომ, რატომ, რატომ, რატომ! (ხელებს ყურებს ადებს) ეს სიტყვა ყურებში მიწვივს.

ჯიმი: ვიდრე შენ აქ ხარ, მე ამ სიტყვას სულ ვიხმარ. (ჯიმი მიდის საეარძელთან და ჯდება მის ზურგზე. ის მიმართავს ჰელინას ზურგიდან.)

ჯიმი: უკანასკნელად ის ეკლესიაში იყო, როდესაც ჩვენ დაეჭორწინდით. ალბათ, ეს გაგაოცებთ, არა? მაშინ მიზანი გვქონდა, წმინდა და უბრალო. იცით, გვეჩქარებოდა. (სიტუაციის კომიზში გამოიკვეთება მისთვის და იცინის.) დიახ, ჩვენ მართლაც გვეჩქარებოდა! ყინით ვიყავით ატანილი! ადგილობრივი რეგისტრატორი მამამისის ახლო მეგობარი იყო და ვიცოდით, ყველაფერს პოლკოვნიკს ჩაუკაკლავდა. ამიტომ უნდა მოგვეძებნა ვინმე აქაური მღვდელი, რომელიც მამამისს კარგად არ იცნობდა. ამოდ ვეცადეთ. როდესაც ჩემი მეგობარი - ის ყმაწვილი იმ დღით გავიცანი ბარში - და მე მივედი ეკლესიაში, დედიკო და მამიკო უკვე იქ დაგვხვდნენ. მათ ბოლო მომენტში გაუგიათ და დასასწრებად მოვიდ

ნენ. მახსოვს, როგორ გადავხედავდი ხოლმე მათ, მუცელი ვი საუზმეზე დალეული ლუდით მქონდა სახე და ცოტა გამოხეუტურებული ვიყავი. დედამისი სკამის საზურგეზე ჩამოღვენილიყო - კეთილშობილი, დედალი მარტორქა, თითქოს ნაჯახით თავი წაუცლიათო! მის გვერდით მამა იჯდა, წელგამართული და უშიშარი, სულ რომ ინდოელ პრინცებს შორის გატარებულ დღეებზე ოცნებობდა, და არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ შოლტი სახლში დარჩენოდა. მხოლოდ ეს ორნი ისხდნენ ცარიელ ეკლესიაში - ისინი და მე. (უცებ თავს დააღწევს მოგონებებს.) არ ვარ დარწმუნებული, შემდეგ რა მოხდა. მე მგონი, ჯვარი დავიწერეთ. მახსოვს, გული ამერია სამლოცველოში. (ელისონს) ასე იყო?

ჰელინა: არ დაამთავრე?

(გრძნობს რომ სიტუაცია იძაბება და მშვიდად, ხალისით განაგრძობს.)

ჯიმი: (ელისონს) რას აპირებ, გინდა რომ ეს დიუორის ტანსაცმელში გამოპრანჭული წმინდანი გაცუცურა-კებდეს? უბრალო სიმათლეს გეტყვი მასზე. (გარკვევით გამოთქვამს.) ის არის ძროხა. ეს იმდენად არ შემაწუხებდა, მაგრამ ის უკვე წმინდა ძროხად იქცა!

ქლიფი: კარგი ჯიმი, ძალიან შეტბოე. აბა, დაუწიე ცოტა.

ჰელინა: თავი დაანებე, განაგრძოს.

ჯიმი: (ქლიფს) მგონი შენც მათ მხარეს გადადიხარ. რატომაც არა? ჰელინა დაგეხმარება, სრულად მიიღო სამაგიერო. ის ახალი ეკონომიკის ექსპერტია-ზებუნებრივი ეკონომიკის. ესაა მარტივი სისტემა - გადასახადების და ჯარიმების. (წამოდგება.) ის ერთერთი მათგანია, ვინც აპოკალიფსური ძალების

მოხმობით, თავის ჭკუაზე მოაქცევს სხვებს. (წარ
მოსახვა უძლიერდება და გაუთავებლად ლაპარაკობს.)
მიზეზი და პროგრესი, ძველი ფირმა ყველაფერს
ყიდის! ყველამ დატოვეთ აქაურობა, ვიდრე უბედურე
ბა არ მოხზრადა. ძველი ტრადიციების, ძველი რწმე
ნის დავიწყებული აქციების ფასი სულ უფრო მალ-
ლა და მალლა მიდის. (თავადაც მოძრაობს მალლა,
მარცხნივ) ცვლილებებია მოსალოდნელი. შეიქმნება
ახალი ღირებურობა საბჭო, რომელიც იზრუნებს,
რომ დივიდენდები ყოველთვის საკმაოდ მნიშვნელო-
ვანი იყოს და საჭირო ადამიანებს ეძლეოდეთ. (მათ
წინ დგას.) იყიდება ყველაფერი, რაც გაგვარჩიან: მთე-
ლი სააქციო კაპიტალი. (გადაკეთს სცენას და მაგი-
დისკენ მიდის.) დიდი დაჯახება ახლოვდება, ვერ
გადაურჩებით. ასე რომ ჩაბრძანდით ქვედა სართულ-
ზე ჰელინასა და მის მეგობრებთან ერთად, ვიდრე
დროა. ისე, დრო მცირე დარჩა. მითხარი ერთი, რა
შეიძლება შემდეგ სამყაროზე უფრო დიდებული იყოს,
ესაა ყველაზე დიდი მონაპოვარი და ეს შენია! — თქვენია!
(მოძრაობს მაგიდის გარშემო, თავის სკამს უბრუნდე-
ბა მარჯვნივ.)

იცით, მე ძალიან კარგად ვიცნობ ჰელინას და მის
მსგავს ადამიანებს. ფაქტიურად მისნაირები ყველგან
არიან, გვერდს ვერ აუვლი. რომანტიკული განწყო-
ბის არიან. მთელ დროს წარსულს გასცქერნიან და
ასე იყურებიან წინ. ნათელს ხედავენ მხოლოდ სიბ-
ნელის ხანაში. ის დიდი ხანია გადასახლდა თავისი
სულის კოხტა, პატარა კოტეჯში და სრულიად
მოწყვეტილია მეოცე საუკუნის საზიზღარ პრიობლე-
მებს. მას ურჩევნია იცხოვროს ყველა სიკეთეს მოწყ-

ვეტილმა, რისთვისაც ჩვენ საუკუნეების განმავლო-
ბაში ვიბრძოდით. მას ურჩევნია ბაღის ბოლოში
ლაპაზ კოტეჯს შეაფაროს თავი და საკუთარი დანა-
შაულის შეგრძნებას ჩაუღრმავდეს, ჩვენი ჰელინა
გრძნობათა ექსტაზია გახვეული- (გადაიხრება მაგი-
დაზე ქალისკენ), არა? (ჯიბი ვლის ქალის პასუნს.)
ჰელინა: (სრულიად წყნარად) სამწუხაროა, რომ ასე შორს
ხარ ამჯერად. ახლოს რომ იყო, სილას გაგაწინდი.
(მაგიდის სხვადასხვა მხარეს სხედან და ერთმანეთს
თვალს გაუსწორებენ. კაცი ნელა დგება, გასცდება
ქლიფს და ქალის გვერდით გაჩერდება.) სულ ასე
იქცევი, რაც მე ჩამოვედი.

ჯიბი: ჰელინა, გინახავს, როგორ კვდება ადამიანი?
(ქალი წამოიწვეს.) არა, არსად წახვიდე.
(ქალი ადგილზე რჩება და მას შეჰურებს.)
შენ ეს არ გეკადრება.

ჰელინა: (გამყინავი ხმით) თუ მომიახლოვდები უფრო
ახლოს, სახეში გოხლიშავ.

(კაცი ზემოდან დაჰყურებს, ტუჩებს დამცინავად გრუნს.)
ჯიბი: იმედია, შეცდომას არ დაუშვებ, არ გეგონოს
ერთი წუთითაც კი, რომ მე ჯენტლემენი ვარ.

ჰელინა: არა მგონია, შემეშალოს.

ჯიბი: (სახეს ახლოს მიუტანს.) მე ისეთი განათლება
არ მიმიღია, რომ მომერიდოს და არ გაუუტყვლაშუნო
გოგოს. (უფრო რბილად) სახეში გამარტყავ და —
გეფიცები, სულს გაგაცხებიან.

ჰელინა: ჰო, ალბათ, იზამ. ზუსტად ასეთი ტიპი ხარ.

ჯიბი: შენ გგონია, რომ ასეთი ტიპი ვარ. მე სინამდვი-
ლეში მეჯავრება ფიზიკური უხეშობა. მაგრამ, იცი,
თუ ვხვდავ, რომ ქალი ცდილობს თავისი პატარა

ნაზი მუშტი ერთი კარგად მითავაზოს, რადგან ჰგონია, რომ ზრდილობიანი ვარ და თავს არ დაეცავ. ბოლიში და, მეც ერთი კარგად ვუთავაზებ.

ჰელინა: ეს თქვენი აზრით ფრიად ნატიფი ქცევაა, თუ ირლანდიური პირდაპირობა?

(კაცი უფრო ფართოდ იღრვივება.)

ჯიმი: ვფიქრობ მე და შენ კარგად გვესმის ერთმანეთის. მაგრამ შენ არ უპასუხე ჩემს კითხვას. მე გკითხვ: გინახავს, როგორ კვდება ადამიანი?

ჰელინა: არა, არ მინახავს.

ჯიმი: თუ კაცს არ უნახავს, როგორ კვდება ადამიანი, მან არ იცის ცხოვრება, რაც უმანკობის საკმოდ ცუდი შემთხვევაა (კარგი განწყობა სტოვებს კაცს, რადაცას იხსენებს.) თორმეტი თვის განმავლობაში თვალს ვადევნებდი, როგორ კვდებოდა მამაჩემი- მაშინ ათი წლის ვიყავი. ესპანეთის თმიდან დაბრუნდა. ესპანეთში ვიღაც ღვთის მოშიშმა ჯენტლემენებმა ისეთ დღეში ჩააგდეს, დიდხანს სიცოცხლე აღარ ეწერა. ეს ყველამ იცოდა- მეც კი ვიცოდი. (მარჯვნივ მოძრაობს.) მაგრამ მხოლოდ მე მადარდებდა მისი ბედი. (ფანჯრისკენ მიბრუნდევ ბა.) ეს მღვთმარეობა აწუხებდა მის ოჯახს, აწუხებდა და აღიზიანებდა. (გარეთ იყურება.) დედაჩემი მხოლოდ იმას წუხდა, ეს რა მომივი და, ისეთ კაცს დაუკავშირე ცხოვრება, რომელიც ყველაფერში ხელმოცარულიაო. დედაჩემი უმცირესობებთან ურთიერთობის მომხრე იყო, თუ ისინი ყოჩაღი, მოხერხებული იყვნენ. (ცენტრისკენ მიდის.) ყველა ჩვენთაგანი მისი სიკვდილის მოლოდინში იყო. ოჯახი ყოველთვის უგზავნიდა ჩეკს და იმედოვნებდნენ, ამ თანხას იმყოფინებდა ზედმეტი ფლანგ-

ვის გარეშე. დედაჩემი უვლიდა, არ წუწუნებდა, არაფერზე არ წუწუნებდა. ალბათ, ეცოდებოდა. შეცოდებდა, მე მგონი, კი შეეძლო. (ხმაში რაღაც სათუთი გრძობა გაერია.) მაგრამ მხოლოდ მე მადარდებდა მისი ბედი!

(მარცხნივ მიდის, სავარძლის უკან.)

ყოველთვის, როდესაც მისი საწოლის კიდეზე ჩამოვჯდებოდი და ვუსმენდი, როგორ მესაუბრებოდა ან მიკითხავდა, ცრემლებს ძლივ ვიკავებდი. მეთორმეტე თვის დასასრულს უკვე ამ საქმის ვეტერანი ვიყავი. (სავარძლის ზურგს დაეყრდნობა.)

ეს კაცი, რომელსაც ცხოვრებაში არ გაუმართლა, ყვებოდა თავის თავზე და მთელი ამ ისტორიისთვის უნდა ესმინა ერთ პატარა, შიშით შეპყრობილ ბიჭს. საათი საათს მისდევდა, მე კი ვიჯექი იმ პატარა საწოლ ოთახში. საათობით უყვებოდა და უყვებოდა თავისი ცხოვრების ამბებს ერთ პატარა, მარტოსულ, გაგიჟებამდე მისულ ბიჭს, რომელსაც ნახევრად არა გაეგებოდა რა იმისა, რასაც კაცი ყვებოდა. სასოწარკვეთა და სიმწარე- ეს იყო ჩემი ხვედრი, მომაკვდავი ადამიანის მოტკბო და ავადმყოფობის სუნით გაჟღენთილ ოთახში.

(სკამს გარს უვლის.)

ასე რომ, ადრეულ ასაკში გავიგე, რას ნიშნავს, იყო გაბრაზებული - გაბრაზებული და უსუსური. და ეს არასოდეს დამავიწყდება. (ჯდება.) სიყვარულის.. დალატის.. და სიკვდილის შესახებ მე უფრო მეტი ვიცოდი, როდესაც ათი წლის ვიყავი, ვიდრე თქვენ გეცოდინებათ მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე. (ყველა ჩუმად ზის. შემდეგ ჰელინა დგება.)

პელინა: დროა, წავიდეო.

(ელისონი თავს აქნევს თანხმობის ნიშნად.)

ჩემს ნივთებს ახლავე ავიღებ. (კარისკენ მიდის.)

ქვემოთ ვნახავ. (გაღის.)

(მცირე პაუზა.)

ჯიმი: (ელისონს არ უყურებს, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობს.) შენთვის სულ ერთია - როგორ მომეტყვიან ადამიანები? რას მიპირებ? რაც შემეძლო, ყველაფერი შენ მოგეცა. შენთვის ეს არაფერს არ ნიშნავს? (გამართული ზის. კაცის ხმაში აღარაა შემართული ტონი, ხმა დაფხრეწილია, სიბრახით მოგუდული.)

ჯიმი: შე იუდა! შე ფლეგმა! თან მიჰყავხარ და შენ კი ისეთი უსუსური ხარ, ნებას აძლევ წაგიყვანოს! (ელისონი უცებ ხელს სტაცებს თავის ფინჯანს და იატაკზე ანარცხებს. როგორც იქნა, კაცმა სისხლი გამოაშვებინა. ქალი დაჰყურებს იატაკზე მიმოფანტულ ნატეხებს, შემდეგ კაცს შეხედავს. მიდის მარჯვნივ, საკიდიდან ჩამოხსნის კაბას და გადაიცვამს. იკრავს გვერდით ელვას, ცუდად გრძნობს თავს და გარდურობს მიეგრძნობა. თვალებს ხუჭავს.)

ელისონი: (შერბილებული ხმით) ერთადერთი, სიმშვიდე მინდა.

ჯიმი: სიმშვიდე! ღმერთო! ამას კიდევ სიმშვიდე უნდა!

(ძლივს წარმოთქვამს სიტყვებს.) გული ვეღარ იტყვს

ტკივილს - და ამას კიდევ სიმშვიდე უნდა!

(ქალი მიდის საწოლისკენ, რომ ფეხსაცმელი ჩაიცვას. ქლიფი მაგიდას მოსცილდება და გადაჯდება მარჯვენა სავარძელში. იღებს გაზეთს და დაჰყურებს. ჯიმის ცოტა გადაუვლის, თითქმის აუღელვებლად ლაპარაკობს.)

მე გაცოფებული ვარ, ლამის თავი გამისკდეს ყვირი-

ლისგან და ყველა ფიქრობს "საწყალი ბიჭი!" ან "რა შარიანი ვიძეა!" ეს გოგო კი გაყურსულა, როგორც არაფერი. და თუმცა იცის, აი როგორც ახლა, ასეთ დღეში ვარ ხოლმე, ვადაბრუნდება და ძილს მისცემს თავს. (დგება და ქლიფის პირისპირაა, რომელიც გაზეთიდან თავს არ სწევს.) ერთერთი ჩვენთაგანი გიყია. ერთერთი ჩვენთაგანი დეგენერატი, ტუ-ტუცი და გიყია. რომელი? ეს მე ვარ? ეს მე ვარ, ვდგავარ აქ ისტერიკაში ჩავარდნილი გოგოსავით, ძლივს ამოვლერღავ სიტყვებს? თუ ისაა გიყი? აგერ იქ რომ ზის და ფეხსაცმელს იცვამს, რომ წავიდეს იმ - (ვეღარ პოულობს სიტყვას, მჭერმეტყველება დალატობს.) რომელია გიყი?

(ქლიფი ისევ გაზეთს დაჰყურებს.)

ღმერთო, ერთი შენ გვეარებოდა, ვნახავდი, რას იტყვოდი. (სცენის შუისკენ მიდის და უყურებს, როგორ ებებს ელისონი თავის ხელთათმანებს.) ერთხელაც იქნება, მოგინდება, რომ დაბრუნდე. იმ დღეს დაველოდები. მინდა, რომ მაშინ ცრემლიან თვალებში ჩაგხედო, იმ ცრემლების შხეფები მესხუროს და ვიმღერო. მინდა იქ ვიყო, როდესაც დამცირებული იდგები. მინდა იქ ვიყო, მინდა გიყურო, მინდა მაყურებელთა პირველ რიგში მჭონდეს ადგილი.

(შეძოდის პელინა, მოაქვს ლოცვების ორი წიგნი.)

მინდა შეგხედო შენს ტალახში ამოთხვრილ სახეს - ამის იმედი-ღა მაქვს. ამის მეტი არაფერი მინდა.

პელინა: (ცოტა ხნის შემდეგ). ტელეფონთან ვთხოვენ.

ჯიმი: (მობრუნდება). ალბათ, კარგი არაფერი იქნება, არა?

(გაღის.)

პელინა: მზად ხარ?

ელისონი: დიახ - მე მგონი.

ჰელინა: ხომ კარგად გრძობ თავს? (ელისონი თავს უქნევს.) ახლა რაზე ღრიალებს? ისე, რა მნიშვნელობა აქვს? ამ ბიჭს რომ ვუყურებ, მინდა თვალები ამოკორტო მირფესვიანად. როცა ვფიქრობ, რა დღეებს გაივლი ამ რამდენიმე თვის მანძილზე – და სულ მაგის გამო! ვითომ, რაიმე დაგეშავებინოს მისთვის! ო, ეს კაცები! (ქლიფს მიუბრუნდება.) შენ კიდევ, ზიხარ და არაფერს ამბობ!

ქლიფი: (ნელა ამოხედავს.) სწორია- მე უბრალოდ ვზივარ აქ
ჰელინა: რა მოგივიდა? რა ტიპის ადამიანი ხარ?

ქლიფი: მე აქ უბნის ინსპექტორი არა ვარ. მომიხმინე, ჰელინა, მე ისე არ მაღიზიანებ, როგორც ჯიმი, მაგრამ არც შენს მხარეს ვარ. და უნდა გითხრა, რომ რაც შენ აქ ხარ, ურთიერთობები გაუარესდა. აქ ყოველთვის იყო ბრძოლის ველი, მაგრამ დარწმუნებ ული ვარ, მათთან რომ არ ვყოფილიყავი, დიდი ხანია ეს ორი აღარ იქნებოდა ერთად. მე, ასე ვთქვათ, “ნეიტრალური კუნძული” ვარ ამ ორს შორის. ზოგჯერ სიწყნარე და შშვილობაა, არავითარი ინციდენტი არ ხდება, და ასე თუ ისე, ბედნიერად ვგრძნობთ თავს. მაგრამ უმეტესად, ჯოჯოხეთის წვრილი ზოლი გაიკლაკნება. საიდანაც მე ვარ წარმოშობით, იქ მიწვეული ვართ ჩხუბს და მღელვარებას. შეიძლება ითქვას, რომ მე სიამოვნებას მგვრის არეულობის შუაგულში ყოფნა. მე მთელი გულით მიყვარს ეს ორი ადამიანი (ქლიფი შეხედავს ჰელინას, და უბრალოდ უმატებს.) და მე ყველა ჩვენგანი მეცოდება.

ჰელინა: მეც მათ შორის მთელი? (სწრაფად ავრბელებს, რომ არ მიიღოს პასუხი.) მე არც მისი, არც შენი და არც სხვისი არ მესმის. მხოლოდ ის ვიცი, რომ

არცერთმა თქვენგანმა არ იცის, როგორ მოიქცეს წესიერად, ცივილიზებულად. (მბრძანებლური ტონით). მომიხმინე, ელისონ – მე უკვე გავუგზავნე მამამუნს ტელეგრამა.

ელისონი: (ენა ჩაუვარდება და დაბნეულია.) რა? (ჰელინა შეხედავს და მიხვდება, რომ ყველაფერი იმაზე დაბრკადებული, რამდენად დამაჯერებლად იმოქმედებს. ცდილობს, მოთმინებით აუხსნას.)

ჰელინა: მომხდე, ძვირფასო – ის მიიღებდა დილით. ჩავთვალე, რომ ასე უკეთესია, ვიდრე ტელეფონით ეცადო, აუხსნა სიტუაცია. ვთხოვე, ჩამოსულიყო და წაუყვანე სახლში.

ელისონი: რა თქვი?

ჰელინა: უბრალოდ მივწერე, რომ შენ გინდა სახლში დაბრუნება და ვთხოვე, თუ შეეძლო, ჩამოსულიყო შენს წასაყვანად.

ელისონი: გასაკვებია.

ჰელინა: დარწმუნებული ვარ, ჩამოვა. მივწერე, სანერვიულო არაფერია-შეთქი, ასე, რომ არც ინერვიულებენ და არც ის ეგონებათ, რომ აქ რაიმე ინციდენტი მოხდა. მე რამე უნდა მელონა, ძვირფასო. (ძალიან რბილად). ხომ არ ხარ წინააღმდეგი?

ელისონი: არა, არ ვარ წინააღმდეგი. გამდლობთ.

ჰელინა: და წაჰყვები, როდესაც მამა ჩამოვა?

ელისონი: (პაუზა). კი. წაყვები.

ჰელინა: (ამოისუნთქავს.) მე მგონი უკვე მალე მოვა. საღამოხანს უნდა ჩამოვიდეს. ჯერ კიდევ დიდი დრო გაქვს შენი ნივთების ჩასალაგებლად. და, შენ რომ წახვალ – იქნებ, ჯიმი (ძლივს ამბობს სიტყვებს) გონს მოგვოს და გაერკვეს ყველაფერში.

ელისონი: ვინ ურეკავდა?

ჰელინა: წესიერად ვერც გავიგონე. დარეკეს მას შემდეგ, რაც მე უკვე გავგზავნე ტელეგრამა – როგორც კი დავდე ყურმილი, თითქმის მაშინვე. მომიწია უკან დაბრუნება, კიბებიდან ჩავედი. ვიღაც და ვარო, მე მგონი ელისონი: ალბათ სააუადმყოფოდან, ან საიდანდაც. მგონი ვილაცხას იცნობს მონასტერში – ჰო, ალბათ მონასტრიდან. ჰო, ახლა, თუ არ ვირქარეთ, დაგვაგვიანდება. (მაგიდაზე დებს ერთ-ერთ ლოცვების წიგნს) (შემოდის ჯიმი. ცენტრისკენ მოემართება, ორ ქალს შორის გაივლის)

ქლიფი: როგორ ხარ, ბიჭი?

ჯიმი: (ელისონს). ჰიუს დედაზე დამირეკეს. წინეგას დაურტყამს. (მცირე პაუზა).

ელისონი: ვწუხვარ. (ჯიმი საწოლზე ჩამოჯდება.)

ქლიფი: ძალიან ცუდადაა?

ჯიმი: ბევრი არაფერი თქვეს, მაგრამ მე მგონი, კვდება.

ქლიფი: ოჰ, ღმერთო..

ჯიმი: (მუშტს სახეზე ისვამს.) არაფერს აღარ აქვს მნიშვნელობა, ასე არაა?

ელისონი: ვწუხვარ- მართლა, ძალიან ვწუხვარ.

ქლიფი: რაიმეთი შემიძლია დაგეხმარო?

ჯიმი: ლონდონის მატარებელი ნახევარ საათში გადის. იქნებ, ტაქსი გამომიძახო.

ქლიფი: ახლავე. (კარისკენ მიემართება და შეჩერდება.) ვინდა გამოგყვე?

ჯიმი: არა, დიდი მადლობა. შენ არც კი იცნობდი. შენ რა შუაში ხარ.

(ჰელინა სწრაფად შეხედავს ელისონს.)

მეც კი შეიძლება ვეღარ მიცნოს, ამდენი ხნის შემდეგ

ქლიფი: კარგი. (გადის.)

ჯიმი: მახსოვს პირველად რომ ვაჩვენე შენი სურათი – ახლადდაქორწინებული ვიყავით. შეხედა, თვალეზიდან ცრემლები წამოუვიდა და თქვა: “დედა, რა ლამაზია! რა ლამაზია!” იმეორებდა ამ სიტყვებს, თითქოს, არ სჯეროდა. როცა სიტყვებს ამბობ, რაღაც უბრალოდ და სენტიმენტალურად ფლერს ამბავი. მაგრამ ის გულწრფელად ამბობდა. (ჯიმი უყურებს ელისონს. ელისონი ტრელაფთან დგას, ზურგიით.) შენგან კი წიხლი მიიღო ისე, როგორც ყველა სხვის განაც. მომაწოდე ფეხსაცმელი, თუ შეიძლება.

(ელისონი ჩაიბუხლებს და მიაწვდის)

(ჯიმი დაჰყურებს თავის ფეხებს.) ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად, არა? ახლა მას (მხრებს იჩეჩავს)

ჩვენს მეტი არავინ ჰყავს. მე. მჭირდება. რომ გამოძვევ.

(თვალეზში შეხედავს, ქალი გატრიალდება და დგას. ვარეთ ეკლესიის ზარები იწყებს რეკვას. ჰელინა

კარისკენ მიდის და მათ მიმტერებია. ელისონი დგას გაქვავებული, ჯიმი თვალეზით ბურღავს. შემდეგ ელისონი მიდის, წინ გაუვლის, მაგიდას მიუახლოვდება, იღებს ლოცვების წიგნს, მისკენ ზურგითაა.)

ელისონი: (ძლივს გასაგონად). წავიდეთ.

(გადის, ჰელინა მიჰყვება. ჯიმი დგება, მიმოიხედავს, თითქოს დაუჯერებელია, რაც ხდება მის ირგვლივ

და მიეყუდება კომოდს. სათამაშო დათუნია მის სახესთან ახლოს დევს. ნაზად აიღებს, სწრაფად შეხედავს და მოისვრის სცენის წინა ნაწილისკენ. დათუნია

ხმაურით ეცემა იატაკზე. ჯიმი წინ გადავარდება საწოლზე, სახით გადასაფარებელს დაემშობა.)

ფარდა ეშვება

მეორე მოქმედების პირველი სცენის

დასასრული

მეორე მოქმედება
სცენა მეორე

შემდეგი საღამო. როდესაც ფარდა აიწვევა, ელისონი მარჯვნივ დგას, ტრელაჟიდან მიღის საწოლისკენ და თავის ნივთებს აწყობს ჩემოდანში. მარცხენა მხარეს ზის მისი მამა, პოლკოვნიკი რედფერნი, წარმოსადგევი, ლამაზი მამაკაცი, დაახლოებით სამოცი წლის. ორმოც წელს იყო სამხედრო პირი. დროდადრო მასში იგრძნობა მეტნაკლებად რბილი, კეთილი ადამიანი. მიჩვეულია, რომ მისი სიტყვა ბრძანებაა, ახლა ხშირად უკანდახეულია და უხერხულად გრძობს თავს, რადგან ესმის, რომ ახლა მის ირგვლივ არის სამყარო, სადაც მისი მბრძანებლური სიტყვა სულ უფრო ნაკლებად საეაღლებულია სხვებისთვის. ახლანდელი მღვდმარებით მისი ცოლი კმაყოფილია, მაგრამ კაცი შეწუხებულია და ნერვიულობს. ის ირგვლივ ათვალი-ერებს, დაწვრილებით უკირკიტებს ყველაფერს.

პოლკოვნიკი: (ნაწილობრივ თავისთვის ლაპარაკობს.)

ვშიშობ, ეს ყველაფერი ჩემს ძალებს აღემატება. ვერასოდეს გავერკვევი. რაც შეეხება ჯიმის - ის უბრალოდ ყველა ჩვენგანისგან განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს. რა თქვი, სად არისო წასული?

ელისონი: ქალბატონ ტენერის სანახავად წავიდა.

პოლკოვნიკი: ვისი?

ელისონი: პიუ ტენერის დედის.

პოლკოვნიკი: ა, გასაგებია.

ელისონი: ავად გამხდარა, გულის შეტევა ჰქონია. პიუ საზღვარგარეთაა, როგორც იცო, ასე რომ ჯიმი წავი და მის სანახავად. (მამა თავს აჭნევს.)

უნდონა, რომ მასთან ერთად წავსულიყავი.

პოლკოვნიკი: ამ ქალმა არ დააწყებინა ტკბილეულის საქმე?

ელისონი: ასეა.

პოლკოვნიკი: როგორი ქალია? იმედია, თავის შვილს არ ჰგავს?

ელისონი: არც ძალიან განსხვავდება. ნუ, როგორ გითხრა? ჩვეულებრივი ქალია. რასაც ჯიმი უწოდებს მუშათა კლასს. დამლაგებლად მუშაობდა, ცოლად გაჰყვა მსახიობს, მთელი ცხოვრება მძიმე შრომა და ბრძოლა უწევდა, რომ შეენახა თავისი ქმარი და ვაჟიშვილი. ჯიმის და ამ ქალს ძალიან უყვართ ერთმანეთი.

პოლკოვნიკი: შენ კი არ წახვედი, ხომ?

ელისონი: არა.

პოლკოვნიკი: ვინ მიხვდავს ტკბილეულის მაღაზიას?

ელისონი: ქლიფი. მალე უნდა მოვიდეს.

პოლკოვნიკი: პო, რასაკვირველია ქლიფი ისიც აქ ცხოვრობს?

ელისონი: პო. მისი ოთახი კიბის ბაჭნის მეორე მხარესაა.

პოლკოვნიკი: ტკბილეულის მაღაზია. პირდაპირ საოცარია, რომ ახალგაზრდა, განათლებული კაცი დასაქმებულია ტკბილეულის მაღაზიით. რატომ აირჩია ეს საქმიანობა, რამდენი სხვა სფეროა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჯიმი თავისებურად ჰკვიანია.

ელისონი: (აღარ აინტერესებს ეს საკითხი.) მამა, იმდენი სხვა საქმე სცადა - იყო ჟურნალისტი, სარეკლამო აგენტი, მტვერსასრუტებსაც ყიდოდა რამდენიმე კვირას. მე მგონი, ჯიმი ამ საქმით ისევე ბედნიერია, როგორც ნებისმიერი სხვა საქმიანობით.

პოლკოვნიკი: ძალიან მაინტერესებდა ყველაფერი. ვგულისხმობ, რა დღეში იყავი, სად ცხოვრობდი. წერილებში თითქმის არაფერს გვწერდი ამის შესახებ.

ელისონი: სათქმელიც დიდი არაფერია. ცხოვრება დიდად საინტერესო არ არის აქ.

პოლკოვნიკი: დიან, გასაგებია, რასაც გულისხმობ. არ გინდოდა, ქმრის მიმართ არალოიალური ყოფილიყავი.

ელისონი: არალოიალური! (იციანს.) ჯიმი თვლიდა, რომ ვლადატობდი თუნდაც იმით, რომ თქვენ წერ - ილებს გწერდით! იძულებული ვიყანი ჩუმ-ჩუმად დავლოდებოდი ფოსტას, ვცდილობდი მას არ დაუნახა, რომ თქვენგან წერილებს ვიღებდი, მიღების შემდეგ ვძალავდი მათ.

პოლკოვნიკი: მართლა ძალიან ვეჯავრებით, არა?

ელისონი: ძალიან - ეჭვი არ შეგეპაროთ. ყველანი ვეჯავრებით.

პოლკოვნიკი: (ამოითხრებს.) ძალიან სამწუხაროა. ყველაფერი, რაც მოხდა, ერთი უბედურება იყო და რა სავალდებულო იყო მომხდარიყო. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მასაც, ალბათ, აქვს რაღაც უფლებები, თავის მხრივ.

ელისონი: (გაკვირვებულია ამ დაშვებით.) უფლებები, თავის მხრივ?

პოლკოვნიკი: ახლა ამის დაშვება, შესძის, რომ ცოტა გვიანაა, მაგრამ დედაშენი და მე მთლად სწორი არ ვართ და გარკვეული ბრალი ჩვენც მიგვიძღვის. მე არასოდეს მითქვამს რაიმე - შემდეგ კი აზრი აღარ ჰქონდა - მაგრამ ყოველთვის მიმაჩნდა, რომ დედაშენი მეტისმეტად ცუდად მოექცა ჯიმის. რასაკვირველია, იმ დროს ის ძალიან განერვიულებული იყო - ჩვენ ორივე ვიყავით განერვიულებული - და ბირითადად ამით აიხსნება, რაც მაშინ მოხდა. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ დედაშენი გამეჩერებინა, მაგრამ ისეთ დღეში იყო, ვერაფერი გავაწვევ. დედაშენს მტკიცედ სწამდა, რომ თუ ჯიმი აპირებდა შენს ცოლად მოყვანას, ის სხვა თუ არაფერი, ალბათ კრიმინალი მაინც იყო. მთელი ის მიკითხუ-მოკითხვა,

კერძო დეტექტივის დაქირაება - ბრალდებები. ყველაფერი მეზიზღებოდა.

ელისონი: მე ისე მგონია, რომ დედა ცდილობდა დავეცავი - თუმცა, უნდა ითქვას, ძალიან ცუდი საშუალებებით აკეთებდა ამას.

პოლკოვნიკი: უნდა ვაღიარო, რომ ასეთი საქციელი საშინელებაა. იცი, ახლა ვცდილობ წარმოვიდგინო, რომ ეს ამბები სულაც არ მომხდარა. მე არ ვარ ჯიმის მომხრე, და არც არასოდეს ვიქნები, მაგრამ უკან რომ ვიფურები, რა მოხდა, ვფიქრობ, ბევრად უკეთესი იქნებოდა ყველასთვის, რომ ჩვენ არ გვეცადა და არ ჩავრეულიყავით. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო ღირსეული საქციელი იქნებოდა.

ელისონი: შენი ბრალი არ იყო.

პოლკოვნიკი: არ ვიცი. ყველას მიგვიძღვის ბრალი, თავისებურად. ჯიმი კეთილსინდისიერად მოიქცა. ის საკმაოდ პატიოსანია, სხვა რაც არ უნდა ითქვას მასზე. და დედაშენიც - ძალიან ცუდი საშუალებებით, როგორც შენ აღნიშნე, მაგრამ-საკმაოდ პატიოსად იქცეოდა. ალბათ, შენ და მე უფრო დამნაშავე ვართ.

ელისონი: შენ და მე!

პოლკოვნიკი: შეიძლება შენი დანაშაული ჩემსაზე ცოტათი ნაკლებია, ძვირფასო. შენ გიყვარს, მოლოდინში ყოფნა - ეს უფრო მოხერხებულია და მშვიდი პოზიციაა.

ელისონი: მოლოდინში ყოფნა მიყვარს? რა, მე არ გავგევი ცოლად!

პოლკოვნიკი: დიახ, რასაკვირველია.

ელისონი: მიუხედავად იმ შეურაცხმყოფელი სცენებისა და მუქარებისა! განსოვს, რა მითხარი მაშინ? არ მითხარი, მლალატობო, ჩემს წინააღმდეგ მოქმედებო,

როგორ მიკეთებო მაგას და ა. შ. ?

პოლკოვნიკი: იქნებ, ჯობდა კიდევ, ჩვენთვის წერილები არ მოგეწერა — ხომ იცოდი, რა აზრის ვიყავით შენს ქმარზე, და რა ამბები მოხდა. (უხერხულად გრძნობს თავს.) მაპატიე, ცოტა დავიბენი, ამდენი ამბებით — ტელეგრაფი მივიღეთ, მოულოდნელად აქეთ მომიწია მგზავრობა..

(უსუსურად გამოიყურება და ჩუბდება. დაღლილი ჩანს. ნერვულად გახედავს, თითქოს თვალებით ბრალს სდებს — უფრო მეტად უნდა დაგეცვაო თავი. ელისონ იც გრძნობს ამას და ძალზე დაბნეულია.)

ელისონი: იცი, რა თქვა დედაზე? ასე თქვა, ესაა ერთი გასიებული, განებივრებული ბებერი ბოზიო. “მატლები ერთი კარგად იქიუებენო მასზე” — მე მგონი, ასე ბრძანა

პოლკოვნიკი: გასაგებია. და ჩემზე რას ამბობს?

ელისონი: პო, შენი საწიდადმდეგო, თითქოს არაფერი აქვს. შეიძლება ითქვას, მოსწონხარ კიდევ. მოსწონხარ, იმიტომ, რომ ეცოდები. (იცის, რასაც ამბობს, მამას გულს ატკენს.) “საწყალი მოხუცი მამა-ერთი მიმჭკნარი მცენარეა, რომელიც მეფე ელუარდის ველური სამყაროდან შემორჩა, ვერ გაუგია, რატომ აღარ ანათებს შზე.” (ენის ბრძიკით.) ნუ, რაღაც ამგვარი თქვა.

პოლკოვნიკი: ისე, კარგად ამბობს სათქმელს, არა?

(უბრალოდ, ბრაზის გარეშე ამბობს.) საერთოდ, რატომ უნდა შეხვედროდი ამ ახალგაზრდას?

ელისონი: მამიკო, ნუ გამასამართლებ ახლა. უკვე თითქმის ოთხი წელია დღეღამე მასამართლებენ.

პოლკოვნიკი: რატომღა გითხოვა ცოლად, ასეთი განწყობა თუ ჰქონდა ვველას მიმართ?

ელისონი: შეიძლება ეს შურისძიება იყო. (მამა შეხედავს

ეტყობა ვერ გაიგო ნათქვამი). დიას. ზოგიერთი მართლა შურის საძიებლად თხოულობს ცოლს. ყოველ შემთხვევაში, ჯიბისნაირები. ან ალბათ, ის მეორე შელი უნდა იყოს, და მისთვის გაუგებარია, რატომ არ ვარ მე მეორე მეარი, და შენ კი უილიამ გოდ ვინი. ის ფიქრობს, რომ მას აქვს სიყვარულისა და მეგობრობის ნიჭი — თავისებური. ოც წელს მე ვცხოვრობდი ბედნიერად, ყოველგვარი გართულებების გარეშე, და უცებ წავაწყდი ამ სულიერ — ამ სულიერ ბარბაროსობას — ცხოვრებამ ხელთათმანი მესროლა. ალბათ, მხოლოდ ქალი თუ გაიგებს ჩემს მდგომარეობას — თუმცა, მგონია, რომ ჰელინაც ისევე გაოგნებულია, როგორც შენ.

პოლკოვნიკი: მე, ნამდვილად, გაოგნებული ვარ. (დგება და მარჯვენა, ფანჯრისკენ მიდის.) არ ვიცი, აცნობიერებ თუ არა, მაგრამ აშკარაა, რომ შენმა ქმარმა ბევრი რამ გასწავლა. კერძოდ, რა, ვერ ვიტყვი. ყოველთვის მჯეროდა, რომ ადამიანები ქორწინდებიან იმიტომ, რომ ერთმანეთი უყვართ. ეს მიზეზი ჩემთვის ყოველთვის საკმარისია. მაგრამ, ჩანს, დღევანდელი ახალგაზრდობისთვის ასეთი ახსნა ძალიან მარტივია. მათთვის რაღაც გამოწვევა და შურისძიება უფრო გასაგები მიზეზია. ვერ დავიჯერებ, რომ მამაკაცებსა და ქალებს შორის სიყვარული ასეთ გრძნობას შეიძლება ემყარებოდეს.

ელისონი: მხოლოდ ზოგიერთი მამაკაცისა და ქალისთვის.

პოლკოვნიკი: რაღა მაინცდამაიც შენთვის? შეილო.. არა. იქნებ ჯიბი სწორია. იქნებ მე მართლაც — როგორ თქვა? “ერთი მიმჭკნარი მცენარეა, რომელიც მეფე ელუარდის ველური სამყაროდან შემორჩაო” და მე

ვერვივებ, რატომ აღარ ანათებს მზე. შენთვის გასაგებია მისი სიტყვების აზრი? მარტი იყო, 1914 წელი, როდესაც ინგლისიდან გავემგზავრე. ყოველ ათ წელიწადში, თუ რაღაც ასე, ჩამოვდიოდი და ჩემი საკუთარი ქვეყანა, თითქმის არ მინახავს, ვიდრე ყველანი არ დავბრუნდით ორმოცდაშვიდში. რასაკვირველია მესმოდა, რომ ბევრი რამ შეცვლილი დამხვდებოდა, უარესობისკენ იცვლებოდა, მეუბნებოდნენ. მაგრამ ეს არარეალურად მეჩვენებოდა აქედან შორს მყოფს. მე მახსოვდა ინგლისი, როგორც დავტოვე 1914 წელს და ბუნდური ვიყავი, ასეთს რომ ვიხსენებდი. მე ვმეთაურობდი მაპარაჯას არმიას – ეს იყო ჩემი სამყარო და მე ის მიყვარდა, მთელი ეს სამყარო. მეგონა, სულ ასე გაგრძელდებოდა, სამუდამოდ. ახლა რომ ვიგონებ, სიზმარი მგონია. ნეტავ, სამუდამოდ გაგრძელდებოდა იმის უსასრულო, გრილი საღამოები მთებში, ყველაფერი ძოწისფრად, ოქროსფრად ელავდა. დედაშენი და მე ისეთი ბუნდური ვიყავით იმ დროს. გვეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი გვექონდა, რაც კი გვინატრია. არ მეგონა, რომ უკანასკნელი დღე, როდესაც მზე ჩვენთვის ანათებდა, ის დღე იყო, პატარა ბინძურმა მატარებელმა ორთქლი რომ ამოუშვა და დატოვა ინდოეთის ერთი ხალხმრავალი და ბინძური სადგური; ბატალიონის ორკესტრი კი, რაც შეეძლოთ, ხმამაღლა უკრავდა. გულით ვიგრძენი, რომ ყველაფერი მაშინ დამთავრდა. ყველაფერი.

ელისონი: შენ გული გტკივა, რომ ყველაფერი შეცვლილია. ჯიმის გული სტკივა, რომ ყველაფერი უცვლელია. და ვერცერთი ვერ იტანთ ამ სიტუაციას. სადღაც რაღაც ვერ არის კარგად, არა?

პოლკოვნიკი: ალბათ, ჩემო საყვარელო.

ელისონი ციყვს იღებს კომოდიდან, ჩანთაში ჩადებს აპირებს, ყოყმანობს და უკანვე დებს. პოლკოვნიკი მოტრიალდება და უყურებს. ელისონი მისკენ მიდის, თავმიტრიალებული. რამდენიმე წამს თითქოს რაღაც არჩევანის წინაშეა. ეტყობა გადაწყვეტილებას იღებს. უცებ მიტრიალდება, მიეყრდნობა მამას და ჩუმად სლუკუნებს). (მიმართავს ელისონს) ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. შენ ნამდვილად გადაწყვეტივ გამოძევე სახლში? ნამდვილად ასე გინდა? (შემოდის ჰელინა)

ჰელინა: უკაცრავად. ხომ არ მოგეხმარო ჩალაგებაში? ა, თითქმის დაგიმთავრებია. (ელისონი მიატოვებს მამას და საწოლისკენ მიდის, ჩემოდნის საკეტს დაუშვებს)

ელისონი: ყველაფერი მზადაა.

ჰელინა: ხომ არაფერი გრჩება?

ელისონი: არა მგონია. დანარჩენს ქლიფი გამომიგზავნის, იმედი მაქვს. აქამდე უნდა დაბრუნებულიყო. ჰო, დღეს მარტოს უნდა მიელაგებინა მალაზია.

პოლკოვნიკი: (მიდის და იღებს ჩემოდანს) ალბათ, უკეთესი იქნება, თუ ჩემოდანს მანქანაში ჩავდებ. დროა, წავიდეთ. ვიცი, დედაშენი ნერვიულობს. ვუთხარი, დავიბრუნებ, იქ რომ ჩავალ-მეთქი. ვერ არის კარგად.

ჰელინა: იმედი მაქვს, ჩემმა ტელეგრამამ არ გაანერვიულა. იქნებ, არ უნდა –

პოლკოვნიკი: არა, არა მადლობელი ვართ, რომ გამოგიკვებავნეთ, ნამდვილად. ძალიან მადლობელი ვართ. დედამისმა დაიყინა, მეც წამოვალ, მაგრამ ბოლოს დაბოლოს გადავთქმევინე. ჩემი აზრით, ასე ჯობს ყველასთვის. თქვენ რას აპირებთ, ჰელინა? თუ შეტყვით,

თქვენი ჩემოდანი სადაა, ამასთან ერთად ჩავიტან.
ჰელინა: ეშიშობ, დღეს ვერ წამოვალ.
ელისონი: (ძალიან გაკვირვებული) ჩვენთან ერთად არ მოდიხარ?
(შემოდის ქლიფი)
ჰელინა: კი მინდოდა, მაგრამ, იცით, ხვალ შეხვედრა მაქვს ბირმინჰემში, საჭურჭლოს თაობაზე. ეს-ესაა გამომიგზავნეს პიესა. ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და არ მინდა ხელიდან გაუშვა. ჩანს, ამაღამ აქ დარჩენა მომიწევს.
ელისონი: ა, გასაგებია.
ქლიფი: სალამი ყველას.
ელისონი: მამა, ეს ქლიფია.
პოლკოვნიკი: გამარჯობათ, ქლიფ.
ქლიფი: გამარჯობათ, სერ.
(მცირე პაუზა).
პოლკოვნიკი: ხომ არ ჯობს, ეს ჩავლო მანქანაში? ელისონ, ძალიან ნუ დაყოვნდები. მშვიდობით, ჰელინა. იმედი მაქვს, შემდეგშიც შევხვდებით, თუ დაკავებული არ იქნებით.
ჰელინა: დიახ, მე ერთ-ორ დღეში დავბრუნდები.
(ქლიფი უაკეტს იხდის).
პოლკოვნიკი: ნუ, მაშინ- მშვიდობით, ქლიფ.
ქლიფი: მშვიდობით, სერ.
(პოლკოვნიკი გადის. ქლიფი მარჯვნივ მიემართება, ჰელინა - ცენტრისკენ).
შენ რა, მართლა მიდიხარ?
ელისონი: მართლა.
ქლიფი: ჩემი აზრით, ვიბი მალე უნდა დაბრუნდეს. არ დაუცდი?

ელისონი: არა, ქლიფ.
ქლიფი: ვინ ეტყვის მას?
ჰელინა: მე შემიძლია, ვუთხრა. ნუ, თუ აქ ვიქნები, როდესაც დაბრუნდება.
ქლიფი: (წყნარად) შენ აქ იქნები. (ელისონს) არ ფიქრობ, რომ შენ თავად უნდა ეუბნებოდე ამას?
(ელისონი აწვდის ხელჩანთიდან ამოღებულ კონვერტს. ის იღებს). უფრო მოსახერხებელი არ იქნება?
ელისონი: მე ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც მოსახერხებელია. (ქლიფი მიღის ელისონისკენ, მკლავებს მოხვევს)
ქლიფი: (ზურგს უკან, ჰელინას) იმედი მაქვს, შენ სწორი ხარ?
ჰელინა: რისი თქმა გინდა? რაში ვარ სწორი?
ქლიფი: (ელისონს) შენს ადგილს ახლა ორბის თვალებით უთვალთვალებენ. იცი ეს?
ელისონი: გთხოვ, ქლიფ-
(ქლიფი თავს უკრავს. კოცნის ელისონს). მოგწერ მოგვიანებით.
ქლიფი: ნახვამდის საყვარელო.
ელისონი: ბიჭს მიხედე.
ქლიფი: ჩვენს ძველს სახლს მივხედავთ, ასე თუ ისე. (ჰელინა გადაჭრის ცენტრს, მათ შორის გაივლის, შეხედავს სწრაფად ორ საყარძელს. გუმინდელი გაზეთები ისევ მიმოფანტულია. ჰელინა ლოყაზე კოცნის ელისონს და ხელს მოუჭერს).
ჰელინა: მალე გინახვდება.
(ელისონი თავს უკრავს და სწრაფად გადის. ქლიფი და ელინა რჩებიან და ერთმანეთს შეჰყურებენ).
გინდა, ჩაი გაგიკეთო?
ქლიფი: არა, გამადლობთ.

ჰელინა: მე კი დავლევ, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით.

ქლიფი: ასე რომ, შენ რჩები?

ჰელინა: მხოლოდ ამაღამ. შენ წინააღმდეგი ხარ?

ქლიფი: რა ჩემი საქმეა. (ცენტრში ღვას, მაგიდასთან). რასაკვირველია, შესაძლებელია, ჯიმი კიდევ ერთხანს არ დაბრუნდეს. (ჰელინა მარცხნივ მიდის, ფანჯრისკენ და სიგარეტს ანთებს).

ჰელინა: შენი აზრით, ჯიმი რას იზამს? ალბათ, რომელიმე ძველ მეგობარ გოგოს მოძებნის. მედლინზე რას იტყვი?

ქლიფი: რა უნდა ვთქვა?

ჰელინა: ამბობენ, ჯიმისთვის ბევრი გააკეთათ. იმას ხომ არ დაუბრუნდება?

ქლიფი: არა მგონია.

ჰელინა: რატომ არა?

ქლიფი: თითქმის დედად ერგება. მე მგონი, ამაში იყო საქმე. ისე, რა ვიცი, რა იყო, ჯანდაბას! (პირველადაა პიესაში, რომ ქლიფს იუმორის გრძნობა დალატობს. ჰელინა გაკვირვებულია.)

ჰელინა: შენ ხომ მისი მეგობარი ხარ? ის არაა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეიძლება თავშეკავებული ეუწოდოთ, არა? რაც აქ ვარ, ბევრი ადამიანი ვნახე სულიერად გაშიშვლებული.

(ქლიფი მიბრუნდება წასასვლელად)

ჰელინა: დარჩენას არ აპირებ?

ქლიფი: არა, არ ვაპირებ. ხუთი წუთის წინათ ლონდონის მატარებელი ჩამოვიდოდა, შეიძლება იმასაც ჩამოჰყვეს. მე წავალ.

ჰელინა: ის რომ მოვა, განა აქ არ უნდა დახვდე?

ქლიფი: მძიმე დღე მქონდა და ვიდრე საჭმელს არ მივირომე და ცოტასაც არ დავლევ, არ მინდა ვინმე ვნახო, ვისაც გულს ატკენენ. იქნებ რძის ნაწარმის კაფეში ერთი ტორტი ამელო და ბებერი ქალბატონის ღრურის ჩუმად შემომეპარებინა სახლში. აი! (წერ-ილს აუფრიალებს ცხვირწინ). შენ მიეცი ეს (კარისკენ მიდის). ის თავფეხიანად შენია (კართან) და იმედი მაქვს, ოთხში ამოგიღებს! (გაღის.)

(ჰელინა მიდის მაგიდასთან და ჩააქრობს სიგარეტს. ქვემოთ წინა კარის ბრაზუნი გაისმის. ქალი მიდის გარდერობთან, უაზროდ აღებს. ცარიელია, მხოლოდ ერთი კაბა ჰკიდია საკიდზე. მიდის ტრელაჟთან, რომელიც ახლა მოსუფთავებულია და მხოლოდ ჯიმის სურათია ჩარჩოში. უაზროდ აღებს უჯრებს და ბრაზუნით ხურავს. მიდის კომოდთან სცენის ბოლოში, იღებს სათამაშო დათვს და დებს საწოლზე, უჯრებს. თავს დებს ბალიშზე, დათვს კი ისევ უჯრებს. სწრაფად გამოიხედავს, როგორც კი კარი ბრაზუნით გაიღება და ჯიმი შემოდის. ჯიმი ღვას და უჯრებს ჰელინას, შემდეგ სცენის ცენტრისკენ მიდის, საწვი მარ ლაბადას იხდის და მაგიდაზე მიაგდებს. გაბრაზებისგან ცოფებს ჰერის, სკამს ეყრდნობა, რომ თავი შეიკავოს. ამოხედავს.)

ჯიმი: იმ ბებერმა ნაბიჭვარმა კინალამ მანქანით გამიტანა! რომ მოვეკალი, სასაცილო სიტუაცია კი იქნებოდა: თითქოს, სწორედ ასეც უნდა მომხდარიყო, მანქანაში მგზავრი ჩემი ცოლი გახლდათ. მგზავრი! რა დაეპართა ყველას? (ქალისკენ მიდის.) ქლიფი კინალამ შემასკდა, სახლიდან რომ გამოდიოდა. გვერდზე გაუხვია, ვითომ ვერ შეძინა?

(ქელინა აწვდის ელისონის წერილს. კაცი იღებს.)
ა, ეს ჩემთვისაა? (გახსნის წერილს. ერთხანს
კითხულობს და ამოიქშინავს, მისთვის დაუჯერებელია.)
შენ დაწერე მის მაგიურ? მომისმინე. "ჩემო
ძვირფასო, უნდა გაგეცალო. არა მგონია გამოვიგო,
მაგრამ სცადე. სიმშვიდის მეტი აღარაფერი მინდა და
ახლა ყველაფერს დავთმობ, ოღონდ სიმშვიდე მოვი-
პოვო. ვიცი, რომ შენ თავს ძალიან ცუდად იგრძნობ,
გამწარდები, მაგრამ ცოტა მოთმინება გამოიჩინე ჩემს
მიმართ. მე ყოველთვის მენდომები, შენი სიყვარული
მომენატრება. ელისონი". ღმერთო, როგორ მომეცა
ასე უღმერთოდ! "შენი სიყვარული მომენატრება!"
"ყოველთვის მენდომები!" (მიდის მარჯვნივ.) არა, იმას
კი არ გეტყვის: "შე, დამძალო ნაბიჭვარო! მძულს
შენი სიფათი, გაგეცლები და იმედი მაქვს, დალპები!"
არა, ძალიან ზრდილობიან, ემოციურ ბარათს მიტო-
ვებს! (კარადაში კაბას დაინახავს და მარცხენა კუ-
თხეში მოისვრის). "შენი სიყვარული მომენატრება!"
არ მეგონა, თუ ასე ბინძურად მომეცეოდა! რა არის
ეს, შენ რომ თამაშობ, იმ პიესიდან ამოღებული ტე-
ქსტია? შენ აქ რაღას აკეთებ? გირჩევნია, გამეცა
ლო, თუ არ ვინდა თავი წაგაცალო.

ქელინა: (წყნარად) თუ ერთ წუთს მაინც მოიცდი და
სულ შენს თავზე არ ილაპარაკებ, რაღაცას გეტყვი,
რაც, ჩემი აზრით, უნდა იცოდე. შენს ცოლს ბავშვი
ეყოლება. (ჯიმი მხოლოდ შეხვდავს.) ეს შენთვის
არაფერს ნიშნავს? შენთვისაც კი? (მოულოდნელია
კაცისთვის არა იმდენად თავად ამბავი, რამდენადაც
ქალის საქციელი.)

ჯიმი: კარგი — დიახ, ნიშნავს. გაოცებული ვარ.

ვადიარებ. მაგრამ მითხარი ერთი, მართლა გგონია,
რომ მე ისეთი სირისტიანი ვარ, რომ მუხლებზე
დავიჩოქებ და მწუხარებისგან გული შემიღონდება!
(უფრო ახლოს მიდის.) მომისმინე, მორჩი ახლა, ნუ-
და მაფრქვევ მაგ ქალურ სიბრძნეს და გეტყვი რაღა-
ცას: სულ არ მენალვლება. (წყნარად იწყებს.) არ
მენალვლება, რომ შვილის გაჩენას აპირებს. არ მენა-
ლვლება, ბავშვს თუ ორი თავი ექნება (ჯიმი გრძობს,
რომ ქალს ხელები ექავება.) გეზიზღები, არა? მიდი,
გამიშალე სახეში. მაგრამ გახსოვს, რა გითხარი ამას
წინათ? თერთმეტი საათის განმავლობაში ვუყურებ-
დი, თანდათანობით როგორ კვდებოდა ადამიანი, რო-
მელიც მე ძალიან მიყვარდა. მართო იყო, მხოლოდ
მე ვიდექი მის გვერდით. და ხუთშაბათს მის კუბოს
უკან რომ გავეყვები, მეც მარტო დავრჩები. იმიტომ
რომ ის ბოზი ყვავილების თაიგულსაც კი არ გამო-
უგზავნის — მე ვიცი! მან ახლა ყველაზე დიდი შეც-
დომა დაუშვა. ეგ ფიქრობს, რადგან ჰიუს ღედა ერ-
თი უსუსური და გაუნათლებელი მოხუცი ქალია,
შეიძლება, უაზროდ და უადვილო ადვილას ამბობდა
რაღაცებს, მას სერიოზულად არ უნდა მოეკიდონ
სხვები. შენ კიდევ მოელი, რომ მწუხარება უნდა
მეუფლებოდეს, რადგან ეს სასტიკი, სულელი გოგო
აპირებს, ბავშვი გააჩინოს! (ხმაში სიბრაზეა) ვერ
დავიჯერებ, ვერა! (ქალს მხრებში ხელს სტაცებს)
წარმოდგენა დამთავრებულია. ახლა მარტო დამტოვე
და გაეთრიე, შე, ბოროტო სული!
(ქალი სახეში ძლიერად გაარტყამს. ჯიმის სახის
გამომეტყველება გეამცნობს, რომ საშინელი, დაუ-
ჯერებელი რამ მოხდა. ისევ იბრუნებს ჩვეულ გამო-

მეტყველებას სახეზე, მხოლოდ ტკივილის შეგრძნება რჩება. ჯიმი ხელს სწევს თავისკენ და სასოწარ-კვეთილებისგან, მოგუდული წამოიფიქრებს. ჰელინა მოიშორებს მის ხელს, ვნებით ჰკოცნის, თავისკენ მიიზიდავს და საწოლზე ეშვებინა.)

მესამე მოქმედება სცენა პირველი

რამდენიმე თვის შემდეგ კვირა საღამოა. ელისონის პირადი ნიუთების, კერძოდ მაკიაჟის, პარფიუმერიის ნაცვლად ტრელაუზე აწვევა ჰელინას ნიუთები. ფარდის ახდისას ვხედავთ, რომ ჯიმი და ქლიფი ისევ გამოტილან თავ-თავის საეარძელში, ჩაფლულან კვირადლის პრესაში. ჰელინა დგას სცენის წინა მხარეს, მარცხნივ, გადახრილია საუთოებელზე, გვერდით დასაუთოებელი ტანსაცმელია დაგროვილი. ახლა ის უფრო ლამაზია, ვიდრე მანამდე, სახის გამომეტყველება ბუნებრივი, მშვიდი აქვს. ახლაც მკვირცხლად გამოიფურება, დაფიქრებული არ ჩანს, დაუღევარი მანერები აქვს, აცვია ჯიმის ძველი პერანგი.

ქლიფი: ოჰ, ეს შენი აყროლებული ჩიბუხი! (პაუზა.)

ჯიმი: მოკეტე.

ქლიფი: რაღაც მოუხერხე, რა!

ჯიმი: რატომ ვანდობებ კვირადლის ნახევარს გაზეთების კითხვას!

ქლიფი: (ფეხს გააკრავს ისე, რომ გაზეთს არ დასწევს) ყარზარ, რა!

ჯიმი: შენც ასევე, მაგრამ მე არიას არ ვმღერი ამაზე. (გვერდს გადაფურცლავს) ტუნების ირგვლივ სულ უფრო მეტი ბინბური ლაქები გიჩნდება და ეს სულ უფრო შესამჩნევია. (გაზეთს დაუშვებს და ჰელინასკენ გაიქნევს ჩიბუხს) შენ გაწუხებს?

ჰელინა: არა. მომწონს კიდევ.

ჯიმი: (ქლიფს) აი, გაიგონე — მოსწონს!

(გაზეთს უბრუნდება, ქლიფი შეუღრენს) წაიკითხე,

რაღაც უცნაური და ბინბური ამბები ხდება მიდლენდში.

ქლიფი: რა ამბები?

ჯიმი: უცნაურ და ბინბურ ამბებზე მიდლენდში რომ ხდება.

ქლიფი: რაო, რა ხდებაო?

ჯიმი: ეტყობა, იმ მხარის ამბები არ ვიცით. აი, აგერაა სტატია. “შემაშფოთებელი ამბები გამჟღავნდა ამ კვირაში.” სურათებიცაა. კოპტური ნაყოფიერების ქალღმერთის შუალამის შელოცვები აღდგენილი სახით.

ჰელინა: ალბათ, რაღაც საზიზღრობაა.

ჯიმი: ჰო, ეს ჩვენ არ გვეკავს? აბა, შეხედე! რა

სულელური აბღა-უბღაა. ერთი ცნობილი პირი მოგვითხრობს, “მარკეტ ჰარბოროში” დიდი ორგანის დროს როგორ მოკლა ერთი თეთრი მამლაყინწა და შესვა მისი სისხლი. იცი რა, ნიძლავს ვეღბ, ალბათ, ამას საქმიანობს მის დროური კვირა საღამოობით.

შესადლებელია, ამ წუთშიც ამ საქმიანობას ეწევა.

(ჰელინას) შენ ხომ არ გიკეთება ასეთი სისულელეები?

ჰელინა: (იციინის) ამ ბოლო დროს - არა.

ჯიმი: ისე, შენი ფინჯანი ჩაი, უფრო ფინჯანი სისხლია, არა? (აქცენტით ლაპარაკობს) ესეც რაღაც საქმეა, არა? ყველა, ერთნაირი ხომ არ ვიქნებით? ჰეყანა უინტერესო არ გახდებოდა, ყველა რომ ერთგვარი იყოს, ძმაო. სულ ამას არ ვამბობ! (ნორმალური ტონით იწყებს ლაპარაკს.) ის ვიცი მხოლოდ, რომ რამდენიმე წელია, ვიღაც ნემსებს არჭობს ჩემს სანთლის ფიგურაში. (უცებ) რასაკვირველია: ელისონის დედა! ყოველ პარასკევს სანთლის ფიგურა მოაქვთ მისთვის და შაბათ-კვირის განმავლობაში ის არჭობს მასში ქუდის სამაგრ ქინძისთავს! ბრიჯის პარტია ჩაემლებოდა ამის გამო, გავბედავ და ვიტყვი.

ჰელინა: შენ რატომ არ სციდი?

ჯიმი: ეს იდეაა, ხომ იცი. (ქლიფზე მითითებს) დასაწყისისთვის ეს ბიჭი შეიძლება შეგებრაწოთ გაზქურაზე. გვაქვს რამდენიმე მილინგი, რომ გაზქურის მრიცხველში ჩაყაროთ და ჩავროთ? შემოდგომის ამ საღამოებზე ძალიან გამოგვადგებოდა. შეწირვის უმთავრესი იდეაც ესაა: უარს ამბობ რაღაცაზე, რაც ძალიან არასოდეს გლომებია. გესმის, რას ვგულისხმობ? ასე იქცევიან ადამიანები შენს ირგვლივ, ყოველთვის. ისინი უარს ამბობენ კარიერაზე, ან ვოტკათ, თავის რწმენაზე, ან სექსზე. და ყველა თავისთვის ფიქრობს: რა შესანიშნავია, ვისაც ამის გაკეთება შეუძლია. ნეტავ, მეც შემეძლოს ამის გაკეთება. სიმართლე კი ისაა, რომ თავს იტყუებენ და შენც გატყუებენ. სულაც არაა საშინლად ძნელი - უარი თქვა რაღაცაზე, რაც არც არასოდეს გლომებია ძალიან. რატომ უნდა ვაღმერთებდეთ მათ. რატომ უნდა თანა-

ვუგრძნობდეთ მათ. (თითქოს აქამდე რაღაცას მიუღმიოვებოდა, უცებ გამოფხიზლდება და ქლიფს მიუბრუნდება.) შენ შესანიშნავი შესაწირავი იქნები.

ქლიფი: (ბურღულუნებს) ახლა, მორჩი. წაკითხვა მინდა.

ჯიმი: შემდეგ, შეგვიძლია მისი სისხლით ჩვენი სიყვარულის ფინჯანი შევავსოთ. ვერ ვიტყვი, ძალიან მინდა-შეთქი. მინახავს ის - ის ჰგავს, წითელ საღებავს, რაღაც უბრალოა. (ჰელინას) შენი სისხლის ფერი უკეთესი იქნება- წარმომიდგენია: კეიმბრიჯელის ფერმკრთალი ცისფერი, ასეა? შემდეგ შეგვიძლია, კოპტური ნაყოფიერების ქალღმერთის შელოცვები ჩავატაროთ. წარმოდგენა გაქვს, როგორ შეიძლება ამის ჩატარება? (ქლიფს) შენ იცი, როგორ?

ქლიფი: არ მეგონა, თუ შენ გჭირდებოდა ასეთი შელოცვების ჩატარება კოპტური რაღაც ჯანდაბისთვის!

ჯიმი: გასაგებია, რასაც გულისხმობ. (ჰელინას) შარში ნუ გავხვებით, არა? ვიღაც ქალბატონისთვის ეს ამბავი შესაფერისი საქმიანობაა - აი, გრძელი წერილი ხელოვნური განაყოფიერების შესახებ. სტატიის სათაურია: საკმარისად ხომ არ გამოვცადეთ ღმერთის მოთმინება! (გაზეთს დააგდებს). ერთი სხვა დიდებული გაზეთი მანახე.

ქლიფი: ჯერ არ დამიმთავრებია.

ჯიმი: მიდი, დროზე წაიკითხე. ერთი, უნდა ვთხოვო გაზეთებს, რომ სიტყვები მარცვლებად დაჰყონ, ტირეებით, რომ შენ წაიკითხო. გაზეთები განსაკუთრებით მწვავედ იხილავენ საკითხს- მილტონი ატარებდა თუ არა შარვლის საკიდებს, მაინტერესებს ამ კვირაში ვინ გამოვა დამარცხებული.

ქლიფი: ერთი ეს წაიკითხე. არ ვიცი რაზე იყო სტატია,

მაგრამ ამ გაზეთის ფურცლებზე დიდი ომი ყოფილა, ცეცხლის აღში გაეხევა ყველაფერი და ახლა რედაქტორი აცხადებს, რომ წყდება სტატიების გამოქვეყნება ამ თემაზე.

ჯიმი: რაღაც, ამ ბოლო დროს შენში თავი იჩინა ცნობისმოყვარეობამ, ჩემო კარგო. დიახ, დიახ, და ამას გარდა, ერთ ამერიკელ პროფესორს იელიდან თუ საიდანღაც, სწამს, რომ როდესაც შექსპირი წერდა “ქარიშხალს”, მან სქესი შეიცვალა. დიახ, ის იბულებული იყო, დაბრუნებულიყო სტრეტფორდში, რადგან სხვა მსახიობები მას უკვე ვეღარ აღიქვამდნენ სერიოზულად. ეს ბატონი პროფესორი ჩამოდის, რომ მოიძიოს რაღაც დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ საცოდავმა უილიამ შექსპირმა სიცოცხლე დაასრულა ვიღაც უორიკშირელი ფერმერის საწოლში, რომელსაც ცოლად გაჰყვა მას შემდეგ, რაც მასთან უკვე ჰყავდა სამი შვილი. (ჰელინა იცინის, ჯიმი ამოიხედავს დამცინავად.) რაშე მოხდა?

ჰელინა: არა, არაფერი. უბრალოდ მხოლოდ ახლა ვჩვენ ვი ამ კაცს. მე არასოდეს (უკვე ქლიფს მიმართავს) არ ვარ დარწმუნებული, როდის ამბობს სერიოზულად და როდის არა.

ქლიფი: არა მგონია, ეს თუნდაც თავად იცოდეს ყოველთვის. როდესაც ეჭვი გეპარება, ჩათვალე, შეურაცყოფილი ხარ.

ჯიმი: დროზე წაიკითხე ეგ გაზეთი და მოკვებე. ამაღამ რას ვაკეთებთ? ერთი წესიერი კონცერტიც კი არაა ტელევიზორში. (ჰელინას) მიდიხარ ეკლესიაში?

ჰელინა: (მოულოდნელობისგან დაბნეულია) არა, არა მგონია. მაგრამ თუ შენ გინდა.

ჯიმი: ამ ბოლო დროს მის თვალეში, რაღაც, სატანური სხივი მძლავრობს. როგორ გგონია, იმიტომ ხომ არა, რომ ცოდვას სჩადის, ჩემთან რომ ცხოვრობს? (ჰელინას) ძვირფასო, დიდ ცოდვილად მიგაჩნია თავი? აბა, ერთი გვითხარი, ცოდვილად მიგაჩნია? (ქალი გაოგნებულია ასეთი თავდასხმით, მხოლოდ უყურებს, აღარ იცის, როგორ მოიქცეს.) გრძნობ, რომ ცოდვები ყურებიდან გადმოგდის, თითქოს დაგროვილი გამონადენი ან რაღაც ასეთი იყოს? გაინტერესებს, ვხუმრობ, თუ არა? ალბათ, წითელ ცხვირს და სასაცილო ჩაჩს უნდა ვატარებდე, როგორც მასხარა. უბრალოდ, გეკითხები, მაინტერესებს, მეტი არაფერი. (ქალი გაოგნებულია, მოულოდნელად რომ წააწყდება კაცის თვალეების ცივ გამოხედვას, მაგრამ ვიღრე ის სრულად გაიაზრებს, როგორ ატკინეს გული, კაცი უკვე უღიმის და მზიარულად გასძახებს ქლიფს.) იდიოტო, მომაწოდე ის გაზეთი!

ქლიფი: რატომ შეკვლარი არ დაეგდები!

ჯიმი: (ჰელინას) კიდევ დიდხანს უნდა აკეთო ეგ საქმე?

ჰელინა: თითქმის დავამთავრე.

ჯიმი: რაც შეეხება ცოდვებს, გუშინ რომ ებაასებოდი, მის დრურის მეგობარი მღვდელი არ იყო? ჰელინა, ძვირფასო, შეგეკითხე, გუშინ რომ ელაპარაკებოდი..

ჰელინა: დიახ, ის იყო.

ჯიმი: იმიტომ არ მოთქვამს, თავი დაიცავი-მეთქი.

ჰელინა: არც ვიცავ.

ჯიმი: ბოლოსდაბოლოს, რატომ არ უნდა მოვიწვიოთ მამაო ჩაიზე. რატომაც არა? როგორ მიგაჩნია, ბევრი რამ გაქვთ საერთო?

ჰელინა: არა, არა მგონია.

ჯიმი: არ მიგაჩნია, რომ ცოტ-ცოტა თუ ჩავერთვები მასთან საუბრებში, ჩემგან კაცი დადგება? იქნებ, მე ვარჯიშა მორალური სიმძიმეების აწვევაში და მეტი სულიერი მუსკულები შემეძინა? მე ერთი მისუსტებული, გაძვალტყავებული ლიბერალი ვიყავი. საკუთარ სულში ჩახედვისაც მეშინოდა. ახლა ყველა შურით შეჰყურებს ჩემს სუპერ-ფიზიკურ გარეგნობას. ნებისმიერი მუსკულების პრესი შემძლია წარმოვადგინო და ამით, ჩემი გრძნობები და კეთილშობილება ოდნავაც არ დაზარალდება.

პელინა: კარგი ახლა, ჯიმი.

ჯიმი: ორი წლის წინათ თავსაც ვერ ვწველი მაღლა, ახლა ნებისმიერ კინოვარსკვლავზე თავაწულს შემძლია ხიარული.

პელინა: ჯიმი, შეიძლება ერთი დღე გავიდეს, ერთი დღე მაინც ისე, რომ არ გადავეშვით რელიგიაში, ან პოლიტიკაში?

ქლიფი: მართლა, შეცვალე თემა, ბიჭო, ან დაუწიე ცოტა.

ჯიმი: (დგება). დღეს ვფიქრობდი ახალი სიმღერის სათაურზე. აი, რა მოვიფიქრე: "დედაჩემი საფიქტშია - ამიტომ შემეყვარდი". სიმღერის ტექსტიც საინტერესოა. ვიფიქრე, ხომ არ დავკვირდებ ერთად..

პელინა: კარგი აზრია. იქნებ რომელიმე ანსამბლისთვის მიგვებაძა, სხვა სახელს დავირქმევდით. "და მხიარული დღე შემდგარა თითისწვევრებზე ნისლით შებურული მთის წვერზე". ფრაზა ზედმეტად ინტელექტუალურია! არა მგონია, ადამიანებს სურდეთ, რომ შეახსენონ სწორედ იმ კაცის პიესები, ვინც მათთან ერთად დაამთავრა ჰარეარდი და იელი. იქნებ, რაღაც ბრჭყვიალა და კეკლუცი დავარქვათ? მოიცა - მაგა-

ლითად - თი-ეს-ელიოტი და პაბი!

ქლიფი: (ჩვეულ ლაზღანდარობას იწყებს.) ან ხარხარი, ხითხითი, ხორხოცი!

ჯიმი: (მაგიდასთან მარჯვნივ ზის და მასზე რიტმულად ურტყამს.)

"სარკაზმი და იუმორი მოგართვით შენ!"
(ერთად მღერიან.)

"შეიძლება, ჩვენ დამნაშავე ვართ, ძვირფასო.. მაგრამ ორივე შეშლილიც ვართ!"

(ჯიმი დგება და ძალიან სწრაფად, თითქმის, რომ ვერც გაარკვევს ადამიანი, ლაპარაკობს.)

ქალბატონებო და ბატონებო, ამ საღამოს თეატრში რომ მოვილოდი, ჩაუვარე სცენის კარს, ერთი კაცი მომიახლოვდება და მეუბნება-

ქლიფი: ეი, გინახავს "არავინ"?

ჯიმი: ვინ მინახავს?

ქლიფი: გინახავს "არავინ"?

ჯიმი: რასაკვირველია, მე არ მინახავს "არავინ".

ვთხოვთ, დროს ნუ მაკარგვინებთ! ქალბატონებო და ბატონებო, იხილეთ ერთი პატარა წარმოდგენა, რომელსაც ეწოდება: "ქალმა თქვა, მას ჰქვია პატარა "კრავი", მაგრამ ის "ქასტრილების იარაღს" უფრო ჰგავს." გმადლობთ.

ქლიფი: დარწმუნებული ხართ, რომ არ გინახავთ "არავინ"?

ჯიმი: თქვენ ვერ კიდევ აქ ხართ?

ქლიფი: მე ვეძებ "არავინს".

ჯიმი: ვთხოვთ, წაბრძანდეთ. "ქალმა თქვა, მას ჰქვია პატარა "კრავი" —"

ქლიფი: იცით, ვერსად ვიპოვნე "არავინ", მე კი მას

უნდა გადავცე ეს ჩანთა!
ჯიმი: უმორჩილესად გთხოვთ, ნუ მაწყვეტინებთ! ვერ
ხედავთ, ამ ქალბატონებისა და ბატონების გართობას
ვცდილობ? ვინ არის ეგ “არავინ”, ვიხეც თქვენ
საუბრობთ?
ქლიფი: მითხრეს, რომ აქ მოვსულიყავი და ეს ჩანთა
“არავინისთვის” გადაამეცა.
ჯიმი: თქვენ გითხრეს, რომ აქ მოსულიყავით და ეს
ჩანთა არავინისთვის გადაგეცათ.
ქლიფი: სწორი ბრძანდებით. და როდესაც მე ამას გადა-
ვცემდი, არავინ ერთ შილინგს მომცემდა.
ჯიმი: და როდესაც თქვენ ამას გადასცემდით, არავინ
ერთ შილინგს მოგცემდათ.
ქლიფი: სწორი ბრძანდებით.
ჯიმი: მერე, რა ხდება?
ქლიფი: არავინ არ არის აქ!
ჯიმი: ახლა მე პირდაპირ მოგახსენებთ: როდესაც თქვენ
ამბობთ, აქ არავინ არ არის, თქვენ არ გულისხმობთ,
რომ აქ არ არის არავინ.
ქლიფი: არა.
ჯიმი: არა.
ჯიმი: თქვენ გულისხმობთ — აქ არავინ არის.
ქლიფი: სწორი ბრძანდებით.
ჯიმი: გასაგებია, აქამდე რატომ არ ბრძანეთ ეს?
ჰელინა: (დარწმუნებული არაა, რომ ჩარევა შეიძლება)
ეი, ცოტა დაუწიეთ.
ჯიმი: ასე შეიძლება საათობით გავაგრძელოთ,
კარგი, კარგი. რაშია საქმე, სერ?
ჰელინა: (ყვირის) რა აყროლებული ხუმრობაა! გაიგე,
ჩემი აზრით, აყროლებული ხუმრობაა!

ჯიმი: მისი აზრით, ხუმრობა ყარს. აბა, ხომ ვერ
მოგვახსენებთ, თქვენ ვინ ბრძანდებით?
ჰელინა: მე? ოჰ, მე (მოჩვენებითი თავმდაბლობით) ვარ
“არავინ”.
ჯიმი: ჰოდა, აი შენი ჯანდაბა ჩანთა!
(ქალს ესერის ბალიშს, რომელიც საუთოებელს ხვდება)
ჰელინა: ფრთხილად, საუთოებელი!
(ორი მამაკაცი წარმოადგენს ცეკვას, ნელ-ნელა
მოძრაობენ, მუსიკის რიტმში და მღერიან)
ქლიფი და ჯიმი:
ერთი პატარა ქალბატონი,
ყველამ ზომ იცით, ვინ,
სხვებისთვის იქნებ უვარგისი,
დედოფალია, ვთელი.
მოვა დრო, ცოლად მოვიყვან მას,
სანატრელ, ნეტარ დღეს,
დედამისს რომ არ ვეპიტნავები,
მამამისს ვთხოვ მის ზელს.
სახლს ავაშენებთ ორისთვის,
მეურნეობას წყნარს,
ბავშვებს გავგზავნით სკოლაში,
მივირთმევთ პურს და ყველს.
ნუ შეგეშინდება, ჩაუწვე შენს სიყვარულს,
რა მოხდა, თუ გჯობს ის.
ცხვირაბზეილი საშუალო კლასი,
ნეტავ, რას გვამადლის ჩვენ?
გოგოს კი ნამდვილად უყვარს ის ბიჭი,
ყურს არ დაუგდებს სხვებს.
ანგელოზები მაღლა ზეციდან
ხედავენ სიყვარულს თქვენს.

მაშ, ნუ გეშინია, ჩაუწვე შენს სიყვარულს,
რა მოხდა, თუ გვობს ის,
მე სიღნის მეძახიან..
რა მოხდა, თუ გვობს ის.

(ამასობაში ჯიმი დაიდალა კომიკური სიმღერით და ქლიფს ხელისკერით მოიშორებს)

ჯიმი: ჯანდაბას, რამხელა ფეხები გაქვს! მეორედ მომარტყი კოჭში! მიდი, მიდი, ჩაი მომიშაღე და გადაეწვევითო, რას ვაპირებო.

ქლიფი: თავად მოამზადე.

(ქლიფი გაპკრავს ძლიერად, ჯიმი წონასწორობას კარგავს და გადაყირავდება)

ჯიმი: შე, მუტრუკო, ნაბიჭვარო!

(წამოხტება, წაეპოტინებიან ერთმანეთს, იატაკზე ეცემიან ბრაზუნით. გორაობენ იატაკზე, ბუზღუნებენ და ებღლაზუნებიან ერთმანეთს. ჯიმი ქლიფს მკერდზე მოაჯდება.)

ქლიფი: (ძლივს სუნთქავს.) მინდა, გაზეთები წავიკითხო!

ჯიმი: შენ ხარ ველური, ხულიგანი! ხულიგანი! იცი, თუ არა! შენ არ უნდა ცხოვრობდე ერთ სახლში პატიოსან, მგრძნობიარე ადამიანებთან!

ქლიფი: მორჩი, რა. ასე იატაკზე გაშხლართულმა ვიკითხო გაზეთები?

(ჯიმი დაიძაბება და ქლიფს კვლავ იატაკზე დასცემს.)

ჯიმი: მთელი ჯან-ღონე არ შევალე ამას!

(ქლიფი იბრძვის, მაგრამ ჯიმი ისევ ძირს აგდებს.)

ქლიფი: ნახე, რა ქენი! პერანგი გამიხიე. მოშორდი!

ჯიმი: კარგი რა, რად გინდა, პერანგს რომ ატარებ?

(წამოდგება.) შენნაირ მუტრუკს რად უნდა პერანგი! წადი და მოამზადე ჩაი.

ქლიფი: ეს ერთადერთი სუფთა პერანგი მქონდა. ო, შე გაუთლელო ტეტიაე!

(წამოდგება იატაკიდან და ჰელინას მიმართავს.)

შეხედე! როგორ გაბინძურდა!

ჰელინა: დიახ, გაჭუჭყიანებულა. ის უფრო ღონიერია, ვიდრე ჩანს. თუ გაიხდი, ახლავე გაგირეცხავ. იმ დროისთვის, როცა გასვლა გვინდა, გაშრება კიდევ. (ქლიფი ყოყმანობს.) რა მოხდა, ქლიფ?

ქლიფი: არა უჭირს, იყოს.

ჯიმი: მიეცი, და შეწვევითე წუწუნი!

ქლიფი: კარგი.

(იხდის პერანგს და ქალს გადასცემს.)

გმადლობთ, ჰელინა.

ჰელინა: (ართმევს.) კარგი. წუთში გავრეცხავ. (ქალი გადის. ჯიმი ჩაეშვება თავის სავარძელში, მარჯვენად.)

ჯიმი: (კარგ ხასიათზეა.) იცი, მარლონ ბრანდოს ჰგავხარ, თუ ვიღაც ასეთს. (მცირე პაუზა.) შენ გულზე არ გეხატება ჰელინა, ზომ ასეა?

ქლიფი: ერთ დროს, არც შენ გეხატებოდა გულზე. (ყოყმანობს, მერე სწრაფად ამბობს.) ის ზომ იგივე არაა შენთვის?

ჯიმი: (გალიზიანებული). არა, რასაკვირველია, ის იგივე არაა, შე, იდიოტო! არც შეიძლება იყოს! დღევანდელი სადილი ყოველთვის განსხვავდება გუშინდელისგან და ბოლო ქალი ის არაა, რაც წინა იყო. ამას თუ ვერ შეეგუები, სულ უბედურად იგრძნობ თავს, საყვარელო.

ქლიფი: (სავარძლის სახელურზე ჩამოჯდება და ფეხებს იხელს.) ჯიმი, მე მგონი, აქ მეტად აღარ დავრჩები.

ჯიმი: (საკმაოდ ჩვეულებრივი ტონით). ვითომ რატომ?

ქლიფი: (მის ტონში პასუხობს). არ ვიცი. ვიფიქრე, სადმე სხვაგან ვცდი-მეთქი. ტკბილეულის მაღაზიას არაფერი უჭირს, მაგრამ ვიფიქრე, სადმე სხვა რამეს ვცდი-მეთქი. შენ განათლებული ადამიანი ხარ და შეგეფერება ეს ცხოვრება. მე რაღაც სხვა მჭირდება.

ჯიმი: როგორც შენ გინდა, ჩემო ძვირფასო. შენი საქმეა, მე ვერაფერს გეტყვი.

ქლიფი: და კიდევ, მე ვფიქრობ, რომ ჰელინას ბევრი საქმის გაკეთება უწევს, ორ კაცს რომ გვივლის. ამდენი საკეთებელი აღარ იქნება, თქვენ ორნი რომ დარჩებით. ბოლოსდაბოლოს, მე მგონი, დროა, ვინმე გოგო მოვძებნო, ვინც მე მომივლის.

ჯიმი: ისე, კარგი აზრია. მხოლოდ, არ ვიცი, ვინ იქნება ისეთი სულელი, რომ შენთან დაწყვილება მოინდო მოს. იქნებ, ჰელინამ ვინმე შეგირჩიოს, ვინმე თავისი ზიზილ-პიპილოებიანი გოგოებისგან, ბლომად ფულით და უტვინო. აი, ასეთი გჭირდება.

ქლიფი: ჰო, რაღაც მასეთი.

ჯიმი: მოიფიქრე, რას მოაკიდებ ხელს?

ქლიფი: არ ვიცი.

ჯიმი: აი, ეს კი შენ გგავს! არ მეგონა, ხუთ წუთს თუ გასძლებდი უჩემოდ. ასე მეგონა, ჩემო ბატონო.

ქლიფი: (ჩაეცინება.) მთლად მასე არ უნდა იყოს..

ჯიმი: შენ ხარ ერთი პატარა ქერტლიანი ცხოველი — ნიძლავს ვღებ, რესპექტაბელური პატარა ქალბატონი ექვს თვეში ხელში ჩაგივდება, დაქორწინდება შენზე, გაგამწესებს სამუშაოდ და ამით დაამთვრებ. გახდება ერთი გაწყვილებული ბიჭი.

ქლიფი: (ჩაიხითხითებს.) ჰო, მე ისეთი სულელი ვარ, ალბათ, ასეთი ბელი მომელის!

ჯიმი: (თავისთვის). ეტყობა ასე მიწერია — სულ უნდა ვემშვიდობებოდე ვიღაცას. (მცირე პასუხა).

ქლიფი: ფეხები მტეხავს.

ჯიმი: გარეცხე წინდები. (ნელა) უცნაური ამბავია. შენ დამთმობი, გულუხვი და კარგი მეგობარი ხარ, მაგრამ რაღაცნაირად შეგუებული ვარ, რომ წახვალ ჩემგან, ახალ სახლს გაიჩენ და დამოუკიდებლად იცხოვრებ. და მხოლოდ იმიტომ, რომ მე რაღაც მინდა იმ გოგოსგან, ქვემოთ რომ ჩაეიდა, რაღაც მინდა, რასაც, გულის სიღრმეში ვიცი, ის ვერ მომცემს. შენ ჩემთვის და სხვებისთვისაც, ათ ჰელინაზე უფრო ძვირფასი ხარ და მინც, შენც, ჩემს ადგილზე რომ იყო, ასე მოიქცეოდი. სწორია?

ქლიფი: სწორია.

ჯიმი: რატომ, რატომ, რატომ, რატომ ვაძლევთ ნებას ქალებს, სისხლისგან დაგვეცალონ და სიკვდილამდე მიგვიყვანონ? ოდესმე მიგიღიათ წერილი წარწერით "გთხოვთ, გულუხვად გასცეთ სისხლი". ამ თხოვნას, მსოფლიოს მთელი ქალების სახელით, აკეთებს ფოსტის უფროსი. ასე მგონია, ჩვენი თაობის ადამიანებს ძალა აღარ შესწევთ, კეთილი მიზნებისთვის გასწირონ თავი. როცა ჩვენ ჯერ კიდევ ბავშვები ვიყავით, ოცდაათიან და ორმოციან წლებში, ამას ჩვენთვის აკეთებდნენ. (ლაპარაკობს ნახევრად-სერიოზულად, როგორც სჩვევია.) აღარ დარჩა კეთილშობილური მიზნები. თუ არეული დრო მოვა და ყველას ჩაგვხოცავენ, მიზანი არ იქნება რაღაც დიდებული, როგორც ძველად იყო. დიდი-დიდი იყოს რაღაც მამაცური მიზანი, რაზეც იტყვიან "არაფერია-ახალი-ძალიან-დიდ-მადლობას-ვიხდითო". ეს ისეთივე უაზ-

რობაა და მასში არაფერია დიდებული, როგორც მაგალითად, ავტობუსს რომ წინ გადაუდგე. არა, მაკაცებს აღარ დაგვრჩა უფრო დიდებული მიზნები, ჩემო კარგო, ვიდრე ნება მიეცეთ ქალებს, გაგვეპატრონ და ასო-ასო აგვექნან.

(შემოდის ჰელინა)

ჰელინა: აი, ქლიფ. (გადასცემს პერანგს.)

ქლიფი: ოჰ, გმადლობთ, ჰელინა, დიდი მადლობა. ძალიან კეთილი ხარ.

ჰელინა: არაფერს. გაზზე უნდა გამეშრო, მაგრამ შენს ოთახში უფრო კარგად ანთია. გაზჭურაზე აღარაა საკმარისი ადგილი.

ქლიფი: კარგი, მე გავაშრობ (კარისკენ მიდის.)

ჯიმი: ეი, დროზე გააშრე, ტუტუცო, მალე გავიღეთ და ცოტა ლუდი დავლით. (ჰელინას) კარგი?

ჰელინა: კი, ბატონო.

ჯიმი: (მიმავალ ქლიფს მიამახვებს.) მაგრამ ჯერ ჩაი მომიშაღე, შე თავხედო.

(ჰელინა გადაკვეთს სცენას მარცხნივ.)

ჯიმი: ძვირფასო, დავიღალე შენი ყურებით მაგ ჯანდაბა საუთოებელთან.

ჰელინა: (სახე მოედრის.) უკაცრავად.

ჯიმი: ერთი გამოეწვეე და ქალაქს შევეუტიოთ. ისე, ქალბატონ დედოფოს კარგი სუღარა გადაფარე, მე მგონი, ჯობდა ეროვნული დროშა გადაგეფარებინა.

ჰელინა: რამე გეწყინა?

ჯიმი: ასე ნუ იღუშები, თორემ — სასამართლოს თავმჯდომარეს ჰგავხარ.

ჰელინა: როგორ გინდა, რომ გამოვიყურებოდე?

ჯიმი: თითქოს, გულმა რეჩხი მიყო, მე რომ შემომხედე.

ჰელინა: ეს ყოველ შემოხედვაზე ისედაც მეშარტება.

ჯიმი: ქლიფმა მითხრა, გტოვებთ.

ჰელინა: ვიცი. გუშინ საღამოს თქვა.

ჯიმი: გითხრა? რიგში ყოველთვის ბოლო ვარ, როდესაც რაიმე ახალ ამბავს ვიგებთ.

ჰელინა: ვწუხვარ, რომ მიდის.

ჯიმი: მეც. ის ბინძური, გამაღიზიანებელი ნაბიჭვარია,

მაგრამ დიდი გული აქვს. ამ თვისებისთვის, შეიძლება, ყველაფერი აპატიო ადამიანს. ისიც იფერებს პატიებას და თავადაც მზადაა, გაპატიოს. მოდი აქ. (თავისი სავარძლის სახელურზე ზის. ქალი მისკენ მიდის და ერთმანეთს უყურებენ. შემდეგ ქალი ხელს გაუწვდის, თავზე გადაუსვამს, ეფერება ყურზე და კისერზე.) იმ პირველი დამიდან მოყოლებული, ყოველთვის პირველი შენ მიწვდი ხოლმე ხელს. თითქოს არაფერს მოელი, ან მოელი უარესს და არ დაეძებ, ასეც რომ იყო. მტრის როლში კარგი მასტი ხარ, არა? ამას ღირსეულ მეტოქეს უწოდებენ. მაგრამ შემდეგ, როდესაც ადამიანები იარაღს ძირს დებენ, აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ისინი ბრძოლას სწყვეტენ.

ჰელინა: (მტკიცედ ამბობს.) მიყვარხარ.

ჯიმი: მეც მგონია, რომ გიყვარვარ. ჰო, ალბათ, ასეა. ალბათ რაღაცას უნდა ნიშნავდეს, როცა წევხარ შენს მკლავებში მოქცეულ, გამარჯვებულ გენერალთან ერთად. განსაკუთრებით, თუ გენერალს მობეზრდა მთელი ეს კამპანია, დაღლილია, მშვიერია და გამოფიტული.

(ტუნებით მოძებნის ქალის თითებს, კოცნის თითებს. ქალი კაცის თავს მკერდზე მიიდებს.) შენ წაძოდექი

და ჩემს შესახვედრად გამოემართე. ოპ, ჰელინა, -
(კაცის სახე უახლოვდება ქალისას, მაგრად ეხვევიან
ერთმანეთს.) ნუ მისცემ უფლებას, რაიმემ გააფუჭოს
ჩვენი ურთიერთობა!

ჰელინა: (რბილად) ო, ძვირფასო -

ჯიმი: შენ ან ჩემთან ხარ, ან ჩემს წინააღმდეგ.

ჰელინა: მე შენ ყოველთვის მინდოდი - ყოველთვის!

(ისევ კოცნიან ერთმანეთს.)

ჯიმი: "თი-ეს-ელიოტი და ჰამი" - ჩვენ კარგ წყვილს
შევექმნით, თუ დამეხმარები. დავხურავ იმ ტაბილეუ-
ლის მაღაზიას, ეშმაკსაც წაუღია, და ყველაფერს
დავიწყებთ თავიდან. შენ რას იტყვი? აქედანაც გა-
დავალთ.

ჰელინა: (ბედნიერი უკრავს თავს.) რას ვიტყვი და შესა-
ნიშნავია.

ჯიმი: (სწრაფად კოცნის) გადაყარე ეგ ჯანდაბა და
გავიდეთ. დრო გაგატაროთ სასიამოვნოდ, ცოტა
შეჭიკჭიკებულმა, ერთმანეთს ვუმზიროთ კაფეში, ნა-
ხად და ვნების აღმძვრელად.. შემდეგ დაგბრუნდებით
და ისეთ ნეტარებას მოგანიჭებ, რომ სხვა არაფრის
დარდი აღარ გექნება. (ქალი მარჯვნივ მიდის, მან-
ამდე ხელზე კოცნის.)

ჰელინა: ახლავე გავიხდი ამ შენს ძველ პერანგს (აკე-
ცავს საუთოებელს.)

ჯიმი: (მიემართება კარისკენ) ბიჭს დავაჩქარებ.

(მაგრამ ვიდრე კარს მიაღწევდეს, კარი იღება და
შემოდის ელისონი. საწვიმარი აქვს მოხურული, თმა
აწეწილი, ავადმყოფურად გამოიყურება. გაოგნებული
არიან, პაუზაა.)

ელისონი: (წყნარად) გამარჯობათ.

ჯიმი: (ჰელინას, ცოტა შემდეგ). მეგობარია შენს სანახავად.
(ჯიმი გადის სწრაფად, და ოთახში ორი ქალი რჩე-
ბა, ერთმანეთს შეჰყურებენ.)

ფარდა სწრაფად ეშვება.

III მოქმედების

პირველი სცენის დასასრული

III მოქმედება

სცენა მეორე

(რამდენიმე წუთის შემდეგ. ქლიფის ოთახიდან მოისმის
ჯიმის საფვირის ხმა. ფარდის აწევისას ჰელინა მაგიდის
მარცხნივ დგას, ჩაის ასხამს. ელისონი მარჯვნივ სავარ-
ძელში ზის. დაიხრება და იღებს ჯიმის ჩიბუხს. შემდეგ
იატაკზე ხელით თავს მოუყრის ფერფლს და ჩაყრის
საფერფლეში, რომელიც სავარძლის სახელურზეა.)

ელისონი: ისევ ეწევა იმ საშინელებას. თავიდან
მეზიზღებოდა, მაგრამ ადამიანი ერყვევი.

ჰელინა: ჰო.

ელისონი: გასულ კვირას კინოში ვიყავი და ხნიერი კაცი ეწეოდა ჩემს წინ, რამდენიმე რიგის იქით. ავდექი და მის უკან გადავჯექი.

ჰელინა: (ჩაით ხელში მოღის) აი, დალიე. საერთოდ, ჩაი შევლის.

ელისონი: (ართმევს) გმადლობთ.

ჰელინა: მართლა კარგად გრძნობ თავს?

ელისონი: (თავს უკრავს.) უბრალოდ, რაღაც — ოპ, ყველაფერი სულ ჩემი ბრალია, ყველაფერი. ალბათ, გიჟი ვარ, ასე რომ მოვედი. ეწუხვარ, ჰელინა.

ჰელინა: შენ რატომ უნდა გრძნობდე თავს დამნაშავედ-შენ, ყველა ჩვენგანს შორის?

ელისონი: იმიტომ, რომ ჩემი მხრივ არაწესიერი, ბოროტი საქციელია, რომ აქ დავბრუნდი. იცი, ალბათ, ჯიშისგან ვისწავლე იმის შეგვრძნება, დროულია, თუ არა ჩემი საქციელი. ხანდახან თავად ხვდები, რომ ცუდად გამოგღის. (ჩაის სრუპავს.) რამდენჯერ, რამდენჯერ შევიკავე თავი აქ მოსვლისგან — სულ ბოლო წუთს გადავიფიქრებდი ხოლმე. ყოველ დღე, როცა მივიდოდი ხოლმე სადგურში ბილეტების საღაროში, ვყოყმანობდი — თითქოს, შარადა უნდა ამომეხსნა და აღარ მჯეროდა, რომ თავს უფლებას მივცემდი, მატარებელში აესულიყავი. აღარ მჯეროდა, რომ ეს ადგილი კიდევ არსებობდა. მაგრამ რადგან აქამდე მოვედი, უკან კვლავ დავიხიე. უნდა დამერწმუნებინა თავი, რომ ყველაფერი, რაც მახსოვდა, ამ ადგილზე მოხდა, სინამდვილეში გადამხდა თავს. (დაუშვებს ფინჯანს და ფეხით გაზეთებს გაეთამაშება.) გასული თვეების განმავლობაში რამდენჯერ მიფიქრია ამ ოთახში გატარებულ საღამოებზე, რაღაც შეწყვეტილ და

შორეულ ცხოვრებაზე. კარგ ჩაის ამზადებ.

ჰელინა: (მაგიდის მარცხენა მხარეს ზის.) ჯიშობ მასწავლა.

ელისონი: (სახეს იფარავს.) ოპ, რატომ ვარ აქ! ალბათ, ყველას ერთი სული გაქვთ, აქედან შორს, ათასობით მილის დაშორებით ვიყო!

ჰელინა: მაგდაგვარი არაფერი მიფიქრია. შენ უფრო გაქვს უფლება აქ იყო, ვიდრე — მე.

ელისონი: ოპ, ჰელინა, ნუ დაიწყებ ლაპარაკს წესებზე.

ჰელინა: შენ ხომ მისი ცოლი ხარ? იმას, რაც მე გავაკეთე, ვერასოდეს დავივიწყებ. შენ ყველანაირი უფლება გაქვს —

ელისონი: ჰელინა, მეც კი აღარ მჯერა ქორწინების ღვთიური უფლებების, დიდი ხანია, ჯიშისთან შეხვედრამდეც კი. ახლა სხვაგვარი წყობაა — კონსტიტუციური მონარქია. ურთიერთ შეთანხმებით, ხარ იქ, სადაც ხარ. და თუ სიტუაციას ძალისმიერი მეთოდებით შეცვლიან, გავარდები. მე გავარდნილი ვარ.

ჰელინა: ესეც მისგან ისწავლე?

ელისონი: ნუ მაიძულებ, ვიგრძნო თავი, თითქოს შანტაჟისტი თუ რაღაც ასეთი ვარ, ვთხოვ! სისულელე ჩავიძინე, რომ მოვედი, ეულგარული საქციელია ჩემი მხრივ. ვნანობ, თავი მეზიზღება, რომ მოვედი. მაგრამ გამორჩენისთვის არ მოვსულვარ. რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, რამაც მაიძულა, მოვსულიყავი — ისტერია თუ უბრალო ცნობისმოყვარეობა, რასაკვირველია, არავითარი განზრახვა არ მქონია, შენსა და ჯიშის შორის განხეთქილება ჩამომეგდო. უნდა დამიჯერო.

ჰელინა: ჰო, მჯერა. მით უფრო გარკვევით დავიანებე, რამდენად არასწორი და საშინელი იყო, რაც ჩავი-

დინე. საყვედურიც კი არ გითქვამს. შენ გაცოფებულს უნდა შეზოგეგია ჩემთვის, მაგრამ არა, არაფერი მითხარი. (უკან გადაიხრება, თითქოს უნდა თავის თავს გაექცეს.) იცი, ძალიან მრცხვენია.

ელისონი: ისე ლაპარაკობ, თითქოს ჯიბი რაღაც ნივთი იყოს, რომელიც მოტყუებით მომპარე.

ჰელინა: (გაბრაზებული) შენ კი ისე ლაპარაკობ, თითქოს ჯიბი წიგნი ან რაღაც ნივთი იყოს, რომელსაც ვიღაცას გადასცემ, ვისაც ის ხუთი წუთით სურს ჰქონდეს. რა გეპარტება? ლაპარაკობ და ყოველ წუთს თითქოს მის სიტყვებს იმეორებ. შენ არ იყავი, ერთხელ რომ მითხარი, თავი ვერ ვაიძულე, მისი მჯეროდესო.

ელისონი: მგონი, არც შენი მჯეროდა ოდესმე.

ჰელინა: ბოლოს და ბოლოს, მე იმას მაინც ვარჩევ, რა სწორია და რა არასწორია! თვეები გავატარე ამ საგიჟეთში და ამის გარჩევის უნარი არ დამიკარგავს. თუმცა რაც მე გავაკეთე, ყველაფერი არასწორია, ის მაინც იყო, რომ მესმოდა, არასწორად რომ ვიქცეოდი.

ელისონი: შენ ხომ გიყვარდა? ასე მომწერე და მითხარი კოლეც.

ჰელინა: სიმაართლე მოგწერე.

ელისონი: მაშინ ეს ჩემთვის მხელი დასაჯერებელი იყო. არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა, გყვარებოდა.

ჰელინა: მე თავად არ მჯეროდა.

ელისონი: შეძლე არც ისე შეუძლებლად მომეჩვენა. შენ იცოდი ხოლმე ჯიბიზე საკმაოდ უსიამოვნო რაღაცეების თქმა. მე კი არ მწყინდა იმ სიტყვების გაგონება. მაშინ ისინი მაწყნარებდნენ კიდეც. მაგრამ ხანდახან შოკში მაგდებდი.

ჰელინა: ალბათ, ცოტა გადაჭარბებული ემოციები მჩვეოდა. რა აზრი აქვს, ახლა ყველაფერის ახსნა ვცადოთ? ელისონი: მართლაც, აზრი არ აქვს.

ჰელინა: იცი, მე მგონია, მივხვდი, რა სჭირს ჯიბის სინამდვილეში, მიზეზი მარტივია - ის მისთვის შესაფერ დროს არ დაიბადა.

ელისონი: ჰო, მე ვიცი.

ჰელინა: ასეთი ადამიანებისთვის ცხოვრებაში აღარაა ადგილი - არც სექსში, არც პოლიტიკაში, არც სხვა ნებისმიერ დარგში. ამიტომაც მისი საქმიანობა ასეთი უშედეგო. ხანდახან, როდესაც ვუსმენ, ვგრძნობ, რომ მისთვის ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის ხანაა, თავადაც, რასაკვირველია, იმ ეპოქაში უნდა ცხოვრობდეს. არ იცის, სადაა და საით მიდის. ის ვერასოდეს ვერაფერს გააკეთებს, ვერაფერს მიაღწევს.

ელისონი: ვფიქრობ, ჯიბი ის ტიპია, ვისაც შეიძლება ვუწოდოთ ნამდვილი ვიქტორიანელი. ცოტა კომიკური - თავისებურად. ჩვენ ერთხელ ვისაუბრეთ ამ თემაზე.

ჰელინა: ყველაფერი მახსოვს, რაც მასზე თქვი. შეძრწუნებული ვიყავი. ვერ დავიჯერე, რომ შენ შეგეძლო, ცოლად გაჰყოლოდი ასეთ პიროვნებას. ელისონ, ჩემსა და ჯიბის შორის ყველაფერი დამთავრდა. ახლა ვხვდები. მე უნდა წავიდე. არა - მომისმინე. დღეს რომ შეგხვდე, როგორ იდექი იქ, მივხვდი, რომ თავიდან ბოლომდე არასწორი ვიყავი. მივხვდი, რომ აღარაფრის მჯეროდა, ვერც ჯიბი და ვერც სხვა ვინმე, ვერ შემაცვლევინებს აზრს. (წამოდგება.) როდისმე ვიფიქრებდი, რომ ასე დავამთავრებდი! ჯიბის სხვა სამყარო იზიდავს, მე - სხვა, და რაც არ უნდა ერთ საწოლში ვიწვეთ, ეს არაფერს შეცვლის. მე

მჯერა სიკეთის და ბოროტების, და ასეთი რწმენის-
თვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ. ახალი დროის
რწმენა მეცნიერულია, ასე ამბობენ. იმის მიხედვით
კი, რისიც მე ყოველთვის მჯეროდა ან რაც მინდო
და, ის რაც მე აქამდე გაგაკეთე, არასწორია და
ბოროტებაა.

ელისონი: ჰელინა — შენ რა მის დატოვებას აპირებ?

ჰელინა: დიან, ვაპირებ. (ვიდრე ელისონი შეაწყვეტინებს,
ის აგრძელებს.) არ გეგონოს, რომ მე გვერდზე ვდგე-
ბი, რომ შენ დაბრუნდე. შენ რაც გინდა, ის გააკეთე.
გულწრფელად გეუბნები, შენ სულელი იქნები, თუ...
რა ვიცი, ეს შენი საქმეა. მე მგონი, საკმარისი რჩევა
მოგეცი.

ელისონი: მერე ის- მას არავინ ეყოლება.

ჰელინა: ო, ჩემო ძვირფასო, ის ვილაცას ნახავს. აქ ის,
რასაკვირველია, სასამართლოს მოგვიწყობს, რენესან-
სის ეპოქის პაპისავით. შენი სიტყვებით რომ ვთქვათ,
ახლა მე შენ წესების წიგნს გესვრი, მაგრამ, მერწ-
მუნე, ადამიანი არასოდეს არ იქნება ბედნიერი ამ წიგ-
ნის გარეშე. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ვცდი-
ლობდი თავიდან ამოგვლო ეს წესები, მაგრამ არ გამო-
დის. როდესაც შენ შემოხვედი კარებში, ავადმყოფი,
დაღლილი და გულგატეხილი, ჩემთვის ყველაფერი
დამთავრდა. მე არ ვიცოდი ბავშვის ამბავი. თავზარი
დამეცა. თითქოს განგების სასჯელია ჩვენს თავს.

ელისონი: შეეხვდით და მე იძულებული ვიყავი მეთქვა,
რა მოხდა. დავკარგე შვილი. ეს, უბრალოდ, ფაქტია.
არავითარი განგების სასჯელი. დამნაშავე არავინ არაა.
ჰელინა: იქნებ, არც არავინაა დამნაშავე, მაგრამ მე ასე-
თი შეგრძნება მაქვს.

ელისონი: ვერ ხედავ? ეს არალოგიკურია!

ჰელინა: არალოგიკურია (მშვიდად), მაგრამ ეს ასეა.
(საყვირის ხმა ძლიერდება.)

ელისონი: ჰელინა (მისკენ მიდის), არ უნდა მიატოვო.

მას შენ სჭირდება. ვიცი, რომ სჭირდება —
ჰელინა: ასე გგონია?

ელისონი: შეიძლება, შენ მილად ის არ ხარ, ვინც მას
სჭირდება — არც ერთი ჩვენთაგანი არ ვართ —

ჰელინა: (სცენის სიღრმისკენ მიდის.) ღმერთო, რატომ
არ შეწყვეტს, ამ საშინელ ხმაურს!

ელისონი: მას სჭირდება ჩვენგან სრულიად განსხვავებუ-
ლი ადამიანი. ზუსტად არ ვიცი, როგორი — რაღაც
საშუალო დედასა და ბერძენ კურტიზანს შორის,
კუზიანი ქალი, კლეოპატრასა და მოსუელის ნაჯ
ვარი. მაგრამ ცოტა დრო მიეცი —

ჰელინა: (ძალით გამოაღებს კარს). გთხოვ, გააჩუმე ეს
რაღაცა! ვერ ვფიქრობ!

(მცირე პაუზის შემდეგ, საყვირი ისევ აგრძელებს.
ჰელინა თავზე ხელებს ძიძღებს.) ჯიბი, ღვთის გუ-
ლისათვის! (საყვირი გაჩუმდება.)

ჯიბი, მინდა, დაგელაპარაკო.

ჯიბი: (სხვა ოთახიდან). შენი მეგობარი ისევ შენთანაა?
ჰელინა: ოპ, ნუ ხარ იდიოტი, მოდი აქ!

(ქალი მიდის სცენის წინა, მარცხენა მხარეს)

ელისონი: (წამოდგება). ჩემი დანახვა არ უნდა.

ჰელინა: დარჩი, სადაც დგახარ, და ნუ სულელობ. უკაც-
რაგად, ეს არ იქნება ძალიან სასიამოვნო, მაგრამ
გადავწყვეტე, წავიდე და ეს ახლა უნდა კუთხრა.
(შემოდის ჯიბი.)

ჯიბი: კიდევ ერთი შავბნელი სქამე გაქვს განზრახული?

(შეხედავს ელისონს.) დაჯდეს, არ ჯობია? კარგად ვერ გამოიყურება.

ჰელინა: ვწუხვარ, ძვირფასო. ჩაი არ გინდა კიდევ, ან იქნებ ასპირინი ან რაიმე გჭირდება? (ელისონი თავს გააქნევს და ჯდება. ვერცერთს ვერ უყურებს. ჯიმის ძველებური, უფროსული გამომეტყველება უბრუნდება.) სულ არაა გასაკვირი, უავადმყოფია, ის —

ჯიმი: (წყნარად). საჭირო არაა, შენ დაძინებ, რაშია საქმე — მეც ვხედავ, რაც გადაუტანია.

ჰელინა: შენთვის ეს სულერთია?

ჯიმი: სულაც არაა სულერთი, ვინმე თუ ავადაა, ან სტკივა რამე. ის ჩემი ბავშვიც იყო, იცი თუ არა? მაგრამ (მხრებს აიწურავს.) პირველი დანაკლისი არაა ჩემთვის.

ელისონი: (თითქოს, სუნთქვას ამოაყოლებს) ის ჩემი იყო. (ჯიმი გახედავს ელისონს, მაგრამ სწრაფადვე მიუბრუნდება ჰელინას.)

ჯიმი: რაღაც ძალიან სერიოზული იური გაქვს რას აკეთებს აქ?

ელისონი: ვწუხვარ, მე - (სახეზე ხელს აიფარებს.) (ჰელინა მიდის ცენტრისკენ, ჯიმისკენ და ხელში ხელს სტაცებს.)

ჰელინა: შეწყვიტე, გთხოვ. ვერ ხედავ, რა მდგომარეობაშია. არაფერი გაუკეთებია, არაფერი უთქვამს, არაფერი არაა მისი ბრალი.

(ჯიმი ხელს გამოსტაცებს და სცენის შიგნით მიდის.)

ჯიმი: რა არაა მისი ბრალი?

ჰელინა: ჯიმი, არ მინდა ჩხუბზე გადავიდეთ. გთხოვ —

ჯიმი: აბა, გისმენ, თუ აუცილებელია..

ჰელინა: ძალიან კარგი. ახლა მე ჩავალ ქვემოთ და ჩემს ნივთებს ჩავაწყობ. თუ ვინჩარებ, მივასწრებ ლონდონ

ნის მატარებელს, რომელიც 7 საათსა და 15 წუთზე გადის.

(ორივე შეხედავს კაცს, ჯიმი უბრალოდ მის წინ მდგომ მაგიდას მიეყუდება, არცერთს არ უყურებს.) ელისონის თხოვნით არ ვაკეთებ, არა- ალბათ, გასაგებია შენთვის. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა, მხოლოდ ჩემი. ფაქტიურად, ახლახან მეხვეწებოდა, ხელი ამელო ამ გადაწყვეტილებაზე. უცებ, ამ საღამოს გავაცნობიერე, რაც სულ ვიცოდი. არ შეიძლება ბედნიერი იყო, თუ რასაც აკეთებ, არასწორია ან ვიღაცას გულს სტკენს: ვერასოდეს ვიქნებოდით ბედნიერი, თუმცა, უნდა გითხრა, რომ ნამდვილად მიყვარხარ, ჯიმი. არასოდეს არ მეყვარება ვინმე ისე, როგორც შენ მიყვარხარ. (მარცხნივ მიტრიალდება.) მაგრამ მეტიც ატანა არ შემიძლია. (გრძნობით და გულწრფელად). ვერ მივიღებ მონაწილეობას — ამ ტანჯვში, არ შემიძლია!

(ელისონის რეაქციას, ის კი მხოლოდ დაჰყურებს მაგიდას და თავს აქნევს. ჰელინა გამოფხიზლდება და ცდილობს დაიბრუნოს მენტორული ტონი.) (ელისონს) შენ, ალბათ, ისე ვერ გრძნობ თავს, რომ იგივე გზა ამაღამ უკან გაიარო, მაგრამ ვიდრე წაყალ, შემიძლია, რომელიმე სასტუმროში მოგაწყო.

ნახევარი საათი მაქვს. მოგაწყობ სადმე — (კარისკენ წასასვლელად მიბრუნდება, მაგრამ ჯიმის ხმა შეაჩერებს.)

ჯიმი: (დაბალი, მორჩილი ხმით). ყველა გაურბის იმ ტკივილს, სიცოცხლე რომ ჰქვია. განსაკუთრებით, სიყვარულის ტკივილს. (მიდის ტრელაჟისკენ) ვიცოდი, რომ რაღაც ასეთი გამოტყვევებოდა — რაღაც პრობლემა, მაგალითად, ცოლის ავადმყოფობა — და ეს

უზომოდ დიდი ტვირთი იქნებოდა თქვენი სუსტი, სათბურში გამოყვანილი გრძნობებისთვის.

(გადმოყრის ჰელინას ნივთებს ტრელაჟიდან და მიემართება გარდერობისკენ. გარეთ კი ეკლესიის ზარები რეკვას იწყებენ.) აზრი არ აქვს, თავი გაისულელო სიყვარულზე ლაპარაკით. თუ სიყვარულის ორმოში ჩავარდი, იოლად ვერ ამოძვრები, ხელეხსაც გაითხუნი. (აწვდის მაკიაჟის პარფიუმერიას, ჰელინა ართმევს. ჯიმი გარდერობს აღებს.) სიყვარულში მთელი გული და სული უნდა ჩააქსოვო. და თუ ვერ აიტან (საკიდიდან ჩამოხსნის კაბას.) იმ აზრსაც კი, რომ შეიძლება ლამაზი და წკრიალა სული გაგიბინძურონ, (მისკენ გადაჭრის.) მაშინ გიჯობს, საერთოდ გაანებო თავი ცხოვრებას და გახდე წმინდანი. (კაბას ხელებში ჩაუღებს.) რადგან ვერასოდეს გაივლი ცხოვრებას, როგორც ადამიანური არსება. ან ამქვეყნიური უნდა იყო, ან იქითა სამყაროსი.

(ჰელინა უყურებს ერთ წაშს და სწრაფად გადის. ჯიმი განერვიულებულია და თვალს არიდებს ელისონს. ფანჯრისკენ მიდის. მიეგრძობა ფანჯარას და რაფაზე მუშტს ურტყამს.)

ოჰ, ეს ზარები!

(ირგვლივ ჩრდილები ჩამოწვება. ჯიმი დგას, თავი ფანჯრის რაფაზე ჩამოუდევს. ელისონი გადაჰყუდება მარჯვენა სავარძელს. წამოიწვეს და მაგიდისკენ მიდის.)

ელისონი: ვწუხვარ.. ახლა მე წავალ.

(მიდის სცენის სიღრმეში, მაგრამ ჯიმის ხმაზე ჩერდება.)

ჯიმი: ერთი ყვავილიც არ გამოუგზავნე დასაფლავებაზე, ერთი თაიგულიც კი. ამაზეც ზომ უარი მითხარი?

(ელისონი ცდილობს გზა გააგრძელოს, მაგრამ ჯიმი აგრძელებს ლაპარაკს.)

უსამართლობა თითქმის სრულყოფილია! ისინი არ შიმშილობენ, ვინც უნდა შიმშილობდნენ; ისინი არ უყვართ, ვინც უნდა უყვარდეთ; ისინი არ კვებიან, ვინც უნდა კვებოდნენ!

(ელისონი მიდის გაზის ფურისკენ. ჯიმი მობრუნდება და პირისპირ უყურებს.)

არასწორად მჯეროდა, რომ არსებობს, ერთგვარი, გონების და სულის სიმწიფე, რომელიც ეძებს თავის მსგავს გზებებს? ამ ქვეყნის უდიდესი, უძლიერესი არსებანი ყველაზე მარტოსული ჩანან, როგორც ბებერი დათვი, თავისივე სუნთქვას რომ მიჰყვება დაბურულ ტყეში. არსადაა მისი მშობლიური ხროვა, არც ნახირია მის საამოდ. ის რომ ხმას ამოუშვებს, განა შეიძლება ეს ხმა იყოს მისუსტებული? (ცოტა შემოიწვეს.) გახსოვს პირველ დამეს რომ გნახე იმ ბინძურ წვეულებაზე? არც კი შეგინიშნევარ, მე კი მთელ საღამოს თვალს გადევნებდი. შენ ისე გალალეული ერთობოდი, მიეხვდი: ია, ასეთი ლაღი სული მჭირდებოდა. ადამიანი მართლა ძლიერი უნდა იყო, რომ შეგწვედეს ეს ძალა – ძალა, იყო ლაღი. მას შემდეგ, რაც დაეჭორწინდი, აღმოვაჩინე, რომ შენ სულაც არ იყავი ლაღი. გალალეულად რომ იგრძნო თავი, პირველ რიგში უნდა შეგებლოს, მთელი შენი გრძნობათა სამყარო ამოანთხო. რაც შეგებება შენ, შენს თავზე თმის ღერი არ შეინძრევა და ზედმეტი მოქმედებით, ოფლის ერთი წვეთი არ ჩამოგელვინდება. (ელისონს ტირილი წასკდება, მუშტს პირზე მიიფარებს. მაგიდაზე ხელდაგრძნობილი მიდის სცენის წინა მხარეს.)

მე, შეიძლება, არარაობა ვარ, მაგრამ მეგონა, გიყვარ
დი. ეს იყო მთავარი.

(ქალი ჩუმად ტირის. კაცი უახლოვდება და პირისპირ
დგება.)

ელისონი: ღიას, მთავარი ესაა. მე ვცდებოდი, ვცდებოდი!

არ მინდა განზე ვიდგე; არ მინდა წმინდანი ვიყო.

მირჩევნია არარაობა ვიყო.

(კაცი დაბნეულია, მხოლოდ შეკვურებს, უსუსური
გამომეტყველებით. ქალს ხმა უფრო მტკიცე უხდება
და ხმამაღლა ლაპარაკობს.)

არ გესმის, დამთავრდა! დამთავრდა! ის - ის უსუ-
სური არსება ჩემს სხეულში აღარ არსებობს! მეგო-
ნა, ასე შეგნით შეეუფული, უსაფრთხოდ და საიმე-
ლოდ დაცული ვიყავი. ვერავინ წამართმევდა ამ სამ
ყაროს. ის ჩემი იყო, პასუხისმგებელიც მე ვიყავი.
მაგრამ ეს სამყარო დაგკარგე.

(ქალი ეშვება იატაკზე, მაგიდის ფეხს ეყუდება.)

მხოლოდ სიკვდილი მინდოდა. ვერასოდეს წარმოვიდ
გენდი, ასეთ დღეში თუ ჩაკვარდებოდი. ტკივილებმა
შემიპყრო, მხოლოდ შენზე შემძლო ფიქრი და მიე-
ტიროდი იმას, რაც დაგკარგე. (ძლივს ლაპარაკობს.)

ვფიქრობდი ხოლმე: ნეტავ - ნეტავ ახლა მხედავ-
დეს, რა სულები, უშნო და სასაცილო ვარ. ვიცი,
უნდა, რომ სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიგრძნო
თავი. ვიცი, უნდა ასე ვიხრჩობოდე! ცეცხლი მიკიდა
და ვიწვი, და ხმლოდ სიკვდილი მინდა! ჩემი ასეთი
ყოფა იმად დაუჯდა, რომ დაკარგა ეს ბავშვი და
სხვები, ვინც კიდევ შეიძლებოდა მასთან მყოლოდა!
მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას? სწორედ ასეთ
დღეში ჩავარდნილი უნდოდა, ვენახე!

(ქალი ასწევს სახეს და შეხედავს.) ვერ ხედავ!
ბოლოს და ბოლოს, ტალახში ვარ ამოსვრილი! დამ-
ცირებული ვდგავარ შენს წინაზე! მუხლებზე დაგობ-
დავ! ო, ღმერთო -

(ქალი დაეცემა კაცის ფეხებთან. კაცი დგას, წამიერ
ად გაშეშებული, შემდეგ ჩაიმუხლავს და მკლავებში
მოიტყვევს ქალის აკანკალებულ სხეულს. ჯიმი თავს
აქნევს და ჩურჩულით ამბობს.)

ჯიმი: ნუ, მეხვეწები, ნუ.. აღარ შემიძლია-

(ქალი ძლივს სუნთქავს, თითქოს პერს იჭერს.)

არა გიშავს. ახლა არა გიშავს. გთხოვ, მე - მე..
მეტად აღარ..

(ქალი უცებ მოეშვება. კაცი ზემოდან დაჰყურებს,
ძალაგამოცლილი, და ელაპარაკება ოდნავ დამცინავად,
ნახევრად ირონიით.)

ჩვენ ერთად ვიქნებით ჩვენს დათვის და ციყვის ბუ-
ნაგში, ვიცხოვრებთ თაფლსა და თხილზე, გვექნება
ბევრზე ბევრი თხილი. ვიმღერებთ ჩვენს თავზე -
როგორი თბილი ფერებისაა ხეები, როგორი მყუდროა
ჩვენი ბუნაგი და როგორ ვეფიცხებით მზეს. და მაგ
შენი დიდი თვალებით დამყურებ ბეწვზე და მეხმარე-
ბი, რომ კლანჭები წესრიგში მქონდეს, რადგან მე
ცოტა ბინძური და გაბურძნული დათვი ვარ. მე კი
ყურადღებას მივაქცევ, რომ შენი მზინავი, ფუმფულა
კუდი ბზინავდეს როგორც საჭიროა იმიტომ, რომ
შენ ხარ უმშვენიერესი ციყვი. მაგრამ ახლა არც შენ
ხარ ბრწყინვალე ფორმაში, იმიტომ ყურადღებით
უნდა ვიყოთ. ხომ იცი, ყველგან აგია საზიზღარი
რკინის მახე ყველასთვის - ზოგი ცოტა მოგიჟო, ზოგი
ცოტა ეშმაკეული და ზოგიც ძალიან მორცხვი პატარა

ცხოველისთვის. ასეა?
(ელისონი თავს უკრავს.)
(პათეტიკურად). საწყალი ციფვები!
ელისონი: (ისერთივე კომიკური ინტონაციით). საწყალი
დათვები!
(ელისონი ჩაიცინებს. შემდეგ ძალიან ნაზად შეხვდავს
ჯიმის და დაამატებს ძალიან, ძალიან თბილად.) ოჰ,
საწყალი, საწყალი დათვები!
(ელისონი მკლავებს შემოხვევს ჯიმის.)

ფარდა

ჯონ ოსბორნი —
“გაბრაზებული ახალგაზრდების” ეპიტომი
(1929 - 1994)

ბრიტანელი დრამატურგი ჯონ ჯეიმზ ოსბორნი იყო
“გაბრაზებული ახალგაზრდების” ერთ-ერთი პირველი
წარმომადგენელი. მან მთელი გადატრიალება მოახდინა
ინგლისური თეატრის ისტორიაში გასული საუკუნის
ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ტერენს რეტიგანის
ტრადიციული, “კომფორტული” თეატრალური სამყარო
უარყო და მის ნაცვლად სცენაზე წარმოადგინა თავისი
თანამედროვე ადამიანების, “გაბრაზებული ახალგაზრდე-
ბის” ტკივილიანი განცდებით სავსე ცხოვრება.

ჯონ ოსბორნი, დაიბადა 1929 წლის 12 დეკემბერს
უბრალო გადაშენებისა და ბარის მომსახურე ქალის
ოჯახში. სწავლობდა დევონში ბელმონტის კოლეჯში,
მაგრამ ახალგაზრდამ გული ვერ დაუღო სწავლას, და
მას შემდეგ, რაც სასწავლებლის დირექტორს სილა
გააწნა, კოლეჯიდან გარიცხეს. ასეთი ფიცხი ხასიათი
ოსბორნს მთელ სიცოცხლეში გაჰყვა.

წარმატება უცბად არ მოსულა. კოლეჯის მიტოვების
შემდეგ ჯონმა ჯერ ჟურნალისტობა სცადა. შემდეგ მონ-
ეტიალუ თეატრალური დასის ახალგაზრდა მსახიობებს
ამეცადინებდა. მალე გახდა ენტონი კრაიტონის პროვინ-
ციული მონეტიალუ დასის მენეჯერი და მსახიობი.
დასისთვის პიესების წერას მიჰყო ხელი. პირველი
სერიოზული პიესა The Devil Inside Him - “ეშმაკი
კაცში” დაწერა სტელა ლინდენთან ერთად, რომელმაც

პიესა დადგა ჰადერფილდის სამეფო თეატრის სცენაზე 1950 წელს. ამ დროს ოსბორნმა ცოლად მოიყვანა პამელა ლეინი.

მეორე პიესა Personal Enemy – “პირადი მტერი” ოსბორნმა დაწერა ენტონი კრაიტონთან ერთად 1955 წელს. პიესა დაიდგა რეგიონულ თეატრებში.

ამ პიესას 1956 წელს მოჰყვა ოსბორნის განმარტებული პიესა Look Back in Anger - “განრისხებულმა მოიხედე”. ეს პიესა ჩვიდმეტ დღეში დაწერა, როდესაც ერთ პროვინციულ შოუში “თოლიები სორენტოს თავზე” მონაწილეობდა და გემბანზე გაშლილ შეზღონგზე ცხოვრობდა და მუშაობდა. პიესა “განრისხებულმა მოიხედე” მრავალმხრივ ავტობიოგრაფიულია და პამელა ლეინთან მისი ცხოვრების მომენტებს ასახავს. პიესა დაარიგა ლონდონის თეატრებში, მაგრამ ყველგან უარი მიიღო. ამან გააღიზიანა და მეტი აგრესიულობით განაგრძო მუშაობა. ბოლოს, ლონდონის “სამეფო თეატრ-თან” ახლადჩამოყალიბებული English Stage Company “ინგლისური სასცენო დასის” მხატვრული ხელმძღვანელის ჯორჯ ღივიანის ინიციატივით დაიდგა პიესა. მაგრამ პირველ ორ წარმოდგენას წარმატება არ ჰქონია. ოსბორნის სახლი ჯერ კიდევ იყო მდინარე ტემზაზე მდგარი ნავი, და ამ ბინას ენტონი კრაიტონთან იყოფდა, როცა ჯორჯ ღივიანმა ნავით მიაკითხათ და შეატყობინა, რომ უნდოდა ხელახლა დაედგა პიესა და რეჟერტუარში შეეტანა. მაშინ იყო, რომ თეატრის პრეს-სამსახურის ერთმა თანამშრომელმა თავის სტატიამი ოსბორნს უწოდა “გაბრაზებული ახალგაზრდა”, რაც შემდეგ ამ თაობის ლიტერატორების ზოგად სახელად იქცა - “გაბრაზებული ახალგაზრდების

თაობა” და ოსბორნი მისი ეპიტომი ანუ განსახიერება იყო.

პიესის ახალი პრემიერა ახალი ცხოვრების დასაწყისი გახდა ოსბორნის ცხოვრებაში. თეატრი გაჭედული იყო ყოველ საღამოს. კრიტიკოსების აზრი გაიყო. ზოგიერთი თვლიდა, რომ პრემიერა ისევ ჩავარდა და თეატრი გაკოტრდებოდა. მაგრამ მალე “ობზერვერის” ყველაზე გავლენიანმა თეატრალურმა კრიტიკოსმა კენეტ ტინანმა ცამდე აიყვანა სპექტაკლი: “ვერავის ჩავთვლი ღირსეულ ადამიანად, ვისაც არ სურს ნახოს პიესა “განრისხებულმა მოიხედე”. ეს არის ამ ათწლეულის საუკეთესო ახალგაზრდული პიესა”. “სანდი ტაიმზში” ჰეროლდ ჰობსონმა ოსბორნს უწოდა “მწერალი, რომელსაც დიდი მომავალი აქვს”. ამ პერიოდში ოსბორნი გამოირდა პამელა ლეინს და 1957 წელს ცოლად შეირთა პიესაში მონაწილე მსახიობი მეარი იუე. ამასობაში პიესას დიდი კომერციული წარმატება ჰქონდა, დაიდგა უესტ ენდში, ბროდუეიზე, მოსკოვში და 1958 წელს მის მიხედვით გადაიღეს ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ მისი მეუღლე მეარი იუე და რიჩარდ ბერტონი. პიესამ წარმატებისთვის მებრძოლი დრამატურგიდან ოსბორნი აქცია მდიდარ და ცნობილ “გაბრაზებულ ახალგაზრდად” და მოუტანა Evening Standard Drama ჯილდო, როგორც წლის საუკეთესო დრამატურგს. ლორენს ოლივიე ჯერ ეჭვით უყურებდა თეატრის ამ რევოლუციონერს. თავად ამ დროს დგამდა სპექტაკლს ტ. რეტიგანის მიხედვით, მერილინ მონროს მონაწილეობით. ბოლოს ლონდონში დაესწრო სპექტაკლს “განრისხებულმა მოიხედე” მერილინ მონროსა და მის მომავალ მეუღლესთან, ცნობილ ამერიკელ დრამატურგ არტურ

მიღერთან ერთად. ა. მიღერმა ურჩია ლ. ოლივიეს ეთანამშრომლა ჯ. ოსბორნთან და ასე შეიქმნა პიესა Entertainer “კონფერანსიუ“ 1957 წელს, რომლის მიხედვითაც ფილმი გადაიღეს 1959 წელს. კრიტიკოსების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ ამ პიესაში უფრო ნათლად გამოჩნდა ოსბორნის ნიჭი.

წარმატება არ ჰქონია მისი პიესის მიხედვით შექმნილ მიუზიკლს “პოლ სლიკერის სამყარო” (1959), დადგმას “პიესები ინგლისისათვის” (1962). მაგრამ წარმატებული დადგმები მეტი ჰქონდა:

“ლუთერი” (1962)- ცხოვრება მარტინ ლუთერის, წარსულის მეამბოხე სულის, რომელიც დაიდგა ბროდუეიზზე და მოიპოვა ტონის ჯილდო.

კინოსცენარისტისთვის “ტომ ჯოუნზი” (1963) ოსბორნმა მიიღო ოსკარი, როგორც სცენარის ავტორმა.

“მიუღებელი მტკიცებულება” Inadmissible Evidence (1964) წარმატებული დადგმა იყო. “ტაიმზი” წერდა:

“როგორც ჩანს, ბ-ნი ოსბორნი ერთადერთია თანამედროვე ბრიტანელ დრამატურგებს შორის, რომელსაც შეუძლია შექმნას ჩვენი დროის გმირები”.

“პორტრეტი ჩემთვის” A Portrait for Me (1965) ჰომოსექსუალიზმს ეხება და მრავალ ჭორს მისცა დასაბამი.

“სასტუმრო ამსტერდამში” A Hotel in Amsterdam (1968), წინა პიესასთან ერთად, დაჯილდოვდა, როგორც წლის საუკეთესო ნაწარმოები.

აღბათ, შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლები იყო ოსბორნის შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდი. 70-იან წლებშიც წერს ოსბორნი, მაგრამ შედარებით წარუმატებლად, თითქოს დრამატურგმა დაკარგა თავისი თემა. რამდენიმე პიესა დაწერა ლოპე

დე ვეგას, იბსენის, შექსპირის, უაილდის მიხედვით. ამ წლებში მან მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ფილმში, როგორც მსახიობმა, მაგ., ფილმებში “ხეალ არასოდეს დგება” (1978), “ფლეშ გორდონი” (1980).

უკანასკნელი წარმატება ხვდა ოსბორნის ავტობიოგრაფიის ორ ტომს: “მაღალი კლასის ადამიანი” A Better Class of Person (1981) და “თითქმის ჯენტლმენი” Almost a Gentleman (1991).

წარმატებით სარგებლობდა ოსბორნი ქალებში: მრავალი საყვარელი ჰყავდა და ხუთი ცოლი, ბოლოს - ჰელენ დოუსონი. ამბობენ, მისმა მეოთხე ცოლმა, ჟურნალისტმა ვილ ბენეტმა თავი იმიტომ მოიკლა, რომ ოსბორნმა მიატოვა. ჯ. ოსბორნი გარდაიცვალა 1994 წლის 24 დეკემბერს, დიაბეტით, 65 წლის ასაკში, შეერთებულ სამეფოში, დასაფლავებულია ფროპშირში.

ჯ. ოსბორნის დრამატურგიამ გავლენა იქონია ბრიტანული დრამის შემდგომ მიმართულებაზე, კერძოდ, ვლუარდ ოლბის და მაიკ ლის შემოქმედებაზე.

დიდი ბრიტანეთის მწერალთა გილდიამ ჯონ ოსბორნს მიანიჭა “ჯილდო შემოქმედებითი მიღწევებისათვის” Lifetime Achievement Award.

“ოსბორნის პიესებმა შეცვალა ბრიტანული თეატრი. მან მოისროლა წინა თაობის დრამატურგების შეზღუდვები, ჩვენი ყურადღება მეტად მიაპყრო ენას, თეატრალურ რიტორიკას და ემოციურ გამოსახვას. ის თეატრს უყურებდა როგორც იარაღს, რომლითაც ჩვეულებრივ ადამიანებს შეეძლოთ, დაემსხვრიათ კლასობრივი ბარიერები. სურდა, რომ მის პიესებს ადამიანებისთვის შეეხსენებინათ

ნათ, როგორია ნამდვილი სიამოვნება და ნამდვილი ტკივილი..” (Wikipedia)

დეივიდ ჰეარი: “ჯონ ოსბორნმა თავისი სიცოცხლე მოუძღვნა იმას, რომ მტკიცე ხიდი გაეღო თავის მახვილ გონებასა და არაჩეულებრივად მგრძობიარე გულს შორის”.

“ტაიშინი”: “ბ-ნი ოსბორნი ერთადერთია თანამედროვე ბრიტანელ დრამატურგებს შორის, რომელსაც შეუძლია, შექმნას ჩვენი დროის გმირები”.

პიესაში “განრისხებულმა მოიხედე” ოსბორნი წერს: “ო, ღმერთო, როგორ მენატრება ჩვეულებრივი, ადამიანური გრძობები, სიცოცხლით სავსე ხმა - მეტი არაფერი. მინდა, მესმოდეს თბილი, ათრთოლებული ამოძახილი - ალილუია! ალილუია! მე ცოცხალი ვარ! “ეს სიტყვები ჯ. ოსბორნის შემოქმედების არსს გამოხატავს.

მთარგმნელი

რამდენიმე შენიშვნა თარგმანზე

მსურს, ყურადღება გავამახვილო, რა თავისებური დაბრკოლებები შემხვდა ჯ. ოსბორნის პიესის “განრისხებულმა მოიხედე” თარგმნისას.

1. You are ინგლისური ფრაზის თარგმნისას ქართულ ენაზე უნდა შემერჩია “თქვენ ხართ (ბრძანდებით) “ ან “შენ ხარ”. მხოლოდ ტექსტის ფართე კონტექსტი გვკარნახობს, რომელი ფორმაა ქართულად სწორი: პიროვნებებს შორის ურთიერთობა ოფიციალურია, თუ ახლობლური, მიმართვა ზრდილობიანია თუ არაფორმალური. ასევე უნდა განმესაზღვრა, კუთვნილებითი ნაცვალსახელი your მეთარგმნა “თქვენი” თუ “შენი”.
2. He, she -ორივე ითარგმნება “ის”, რაც ქართულ თარგმანში ერთგვარ გაუგებრობას ქმნის, რადგან he-ინგლისურ ენაზე გვამცნობს, რომ კაცზეა ლაპარაკი, she კი - ქალზე, ქართული “ის” ამ ინფორმაციას მოკლებულია. ინგლისურ ტექსტში ხშირად ისინი ზედიზედაა ნახმარი, ამიტომ ქართულ თარგმანში საჭირო გახდა ნაცვალსახელის შეცვლა სიტყვებით “კაცი”- “ქალი”, ან “გოგო”- “ბიჭი”, ან საკუთარი სახელით.
3. Yes, he did ან ნებისმიერი მოკლე პასუხი დამხმარე ზმნით, სრულმნიშვნელოვანი ზმნით შეცვალე, მაგ. “დიახ, გაჰყვა”, რადგან ასეთი მოკლე პასუხის სტრუქტურა ქართულში არ გვაქვს, და მხოლოდ “დიახ” ან “არა” ხშირად არასაკმარისია თარგმანში.
4. Builder's Arms- კაფეს სახელწოდებაა. ჯიმი სთავაზობს ჰელინას იქ წასვლას. არავითარი სემანტიკური დატვირთვა ფრაზას არ აქვს, მხოლოდ შეთხზული სა-

ხელწოდებაა. ამიტომ ვერ ვთარგმნი - “ წავიდეთ კაფეში “შშენებლის მკლავები.” თუ გადავიტანთ პრანსკრიფციულად - “კაფე “ბილდერს არმზ”-ში წავიდეთ”, რაღაც ზედმეტი გაუცხოებაა. ვარჩიე, მხოლოდ “კაფეში წავიდეთ” მეთარგმნა. რასაკვირველია, ეროვნული სპეციფიკის შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ როდესაც სპეციფიკა მხოლოდ ლოკალურია ან, მითუმეტეს, შეთხზული, მისი შენარჩუნება არაფერს მატებს ნაწარმოებს.

5. არის ერთი ქვეყნის კულტურული მოვლენები, რაც საყოველთაოდ ცნობილია, მათი გადმოტანა აუცილებელია. მაგრამ როდესაც მოვლენა, შედარებით უნიშვნელოა და არა საყოველთაოდ ცნობილი, შესაძლებელია გადმოიტანო- და მაშინ აუცილებელი ხდება კომენტარის დართვა, ან შეიძლება არ გადმოიტანო და ზოგადი აზრი თარგმნოს. მაგ. We could scrub Jock and Day - “იქნებ მიგვებადა ჯოკისა და დეისთვის”- ასე თუ ვთარგმნი, უნდა მიუუთითო, ვინ არიან ჯოკი და დეი. ჩვენს ხელთ არსებულ საცნობარო მასალაში ამგვარი ინფორმაცია არ მოიძებნა და აზრი ვთარგმნე- “იქნებ სხვებისთვის მიგვებადა და ..” ასევე დაიკარგა შედარება სახელებთან Flanagan and Allen, ან კიდევ მაღაზიის დასახელება Pinner and Guildford. რასაკვირველია, შედარება რომ ბიტლზებს ეხებოდეს, მათი ხსენება ქართველი მკითხველისთვისაც გასაგები იქნებოდა. როდესაც შედარება გაუგებარია, რა აზრი აქვს მის გადმოტანას ქართულ თარგმანში.

ან კიდევ, That is the famous American Question- you know, the sixty four dollar one! სამოკლავოთხ დოლარიანი კუპონური არ არსებობს. ლაპარაკია იმაზე, რომ ზოგჯერ დაუჯერებელი პრობლემა იჩენს თავს. ამიტომ, ამ

შემთხვევაშიც აზრი ვთარგმნე და მზატვრული სახე დაიკარგა.

6. Midlands accent- მიდლენდზის აქცენტი. ჯიმი ერთ მონაკვეთში ლაპარაკობს ამ აქცენტით. როგორ ვთარგმნოთ? კუთხური ლაპარაკის გადატანა შეუძლებელია. შუაინგლისის კილოს ნაცვლად კახურად ან მეგრულად ამეტყველო მოქმედი პირი, აბსოლუტურად მიუღებელია. შეიძლება, რაიმე არალიტერატურული ელემენტი შეიტანოს მთარგმნელმა, მაგრამ ძალიან ფრთხილად. რასაკვირველია, თარგმანში ამ შემთხვევაში დაიკარგა ორიგინალის ეფექტი.

7. boyo, dullin', perlease- ამ დამახინჯებულ ფორმებს სიტყვებისა boy, darling, please ხშირად ხმარობს პიესაში. მეტყველების ეს თავისებურება თარგმანში დაიკარგა.

8. New-nothing-very-much-thank-you- ამგვარი გაღაბული და უაზრო ფრაზა “თამამის” განწყობას ქმნის, და ქართული თარგმანიც უაზრო შესიტყვებაა “არაფერია-ახალი-ძალიან-დიდ-მადლობას-გიხდით”.

9. სირთულეს ქმნის ალიტერაციული ფრაზების თარგმნა.

She said she was called a little Gidding, but she was like a Gelding iron (Gidding-Gelding). ფრაზა გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ქალისადმი. აქ აზრი ვთარგმნე, მაგრამ ალიტერაცია ვერ შევინარჩუნე: “ამბობს, რომ ჰქვია “კრავი”, მაგრამ კასტრირების იარაღს უფრო ჰგავს.” (“კრავი-კასტრირება” არც ისე მკაფური ალიტერაციაა.)

მეორე შემთხვევა: ჯგუფის ბრჭყვიალა დასახელებაზე ლაპარაკისას, ქლიფი სთავაზობს დაარქვან ალიტერაციული სახელი Mirth-mellery- madness. სიტყვების მნიშვნელობა აქ არაფერ შუაშია, ალიტერაციული

ჟღერადობა მთავარი, ამიტომ თარგმანში მოცემული შესაბამისი ფრაზაა “ხარხარი-ხითხითი-ხორხოცი”, რაც არაა თარგმანი, მაგრამ ალიტერაციული შესაბამისობაა. 10. W. Sh. – ინგლისური მეტყველებისთვის დამახასიათებელია ავტორების მოხსენიება ინიციალებით. ეს თავისებურება თარგმანში დაიკარგა: სრულად ვწერ “უილიამ შექსპირს.”

11. Pussillanimous- ჯიმი ამ სიტყვას ხშირად ხმარობს ელისონის და მისი წრის დასახასიათებლად “მლიქვნელის, ფლეგმატურის და შშიშარას” აზრით. სიტყვა ერთხელ განმარტებულია და შემდეგ სიტყვის ტრანსკლიფიციული ჟღერადობა გადმოვიტანე თარგმანში: “პუსილანიმუსი.”

ი. მაცაბერიძე-პაპავა

მთარგმნელისაგან



დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ინგლისური ენის პეციალობით. თაღდაპირველად ვასწავლიდი ინგლისურ ენას საშუალო სკოლებსა და

უმაღლეს სასწავლებლებში. ვმუშაობდი საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირში რეჟერენტ-მთარგმნელად, შემდეგ გამოცემლობა “ხელოვნებაში” ინგლისურენოვანი გამოცემების რედაქტორად და “საბჭოთა საქართველოში” მთარგმნელობითი რედაქციის რედაქტორად. 1994-2004 წლებში ვმუშაობდი უცხოური პროექტების მთარგმნელად.

1980-იანი წლებიდან დაეიწყე მთარგმნელობითი საქმიანობა. ვაქვეყნებდი წერილებს თარგმნის თეორიის ერთ-ერთ საინტერესო საკითხზე – ონომასტიკაზე (სახელთა გადატანა თარგმანში).

ვ. ეულფის “საკუთარი ოთახი” და სხვა ესეები, დღორთი პარკერის მოთხრობები, ინგლისური ლექსების ბწყარელი თარგმანი, აგრეთვე, თარგმანი წერილებისა ქართული კინოს შესახებ და სტატიები ონომასტიკის საკითხებზე გამოქვეყნებული მაქვს ჟურნალებში “საუნჯე,” ხელოვნება,” პრესაში.

2006 წელს წიგნად გამოვეცი ვირჯინია ეულფის ესეების კრებული “საკუთარი ოთახი”. ჩემს მეორე წიგნში შევიდა “ესკიზები, 1991”, თარგმანები და წერილები ონომასტიკაზე. ოსბორნის პიესა ჩემი მესამე წიგნია.

გამომცემლობა „კონსტანტინე“

2006 წელს გამოსცა:

1. ვირჯინია ვულფი, „საკუთარი ოთახი“, ესეები
2. ინგა მაცაბერიძე-პაპავა, „ესკიზები 1991, თარგმანები, სტატიები ონომასტიკაზე“
3. ჯონ ოსბორნი, „განრისხებულმა მოიხუდე“, პიესა

გამოსაცემად შზადდება:

1. ვირჯინია ვულფი, „შუქურისაკენ“, რომანი
2. ინგლისური საბავშვო ლექსების კრებული
3. ვირჯინია ვულფი, „სამი გინეა“, ესეი
4. ინგლისური ანბანი

რედაქტორი – მანანა ეჯიბია
ლიზაინერი – რუსუდან ხუციშვილი

© გამომცემლობა „კონსტანტინე“
რეგისტრაციის №03/6554
ISBN 99940-67-74-5

გამოცემა – I, 2006

ტირაჟი – 500

61069 4.40

“ი, ცმუთო, როგორ მენატრება ჩვეულებრივი,
დამიანური გონივრული, სურვილით სავსე სხვა”
მეტი არაფერი. მინდა, მესმოდეს თბილი,
აღიზიანებული ამოხსილი:
აღიზიანებული, აღიზიანებული, მე ურთავალი ვარ!
აღიზიანებული, აღიზიანებული, მე ურთავალი ვარ!
“განრისხებული მოხილვე”